პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—88
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- „ლიუმანიტე“ ჟუოსა და ბონკურის შესახებ.
- კენვორტის შეკითხვა თემთა პალატაში.
- ფაშისტები პროფ. ბეზოლუნეკს ემუქრებიან.
- პროტესტი იტალიელ პოლიტემიგრანტ მორელის გაცემის წინააღმდეგ.
- რენეტურის შეკითხვა და პუანკარეს პასუხი.
- კონფლიქტი გერმანიის ხის დამმუშავებელ მრეწველობაში.
- პეკინში ჩავიდა ალბერ ტომა.
- გადაარჩინეს პროფ. კულიკი.

ოთხშაბათი, 21 ნოემბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 269 (2312)

მხურვალე სალამი სრულიად საქართველოს პროფორგანიზაციების მეშვიდე ყრილობას

დღეს, ნოემბრის 21-ს საღამოს 7 საათზე
შესდგება
სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი ი. ვარძიელი

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საქართველოს პროფესიონალური კავშირების მეშვიდე ყრილობა

დღეს გაიხსნება საქართველოს პროფესიონალური კავშირების მეშვიდე ყრილობა.

ამჟამად პროფესიონალური კავშირები აერთიანებენ 180 ათას წევრს,— თითქმის ოთხჯერ მეტს, ვიდრე აერთიანებდენ კავშირები 1919-20 წლებში, მენშევიკების დროს. კავშირებში დარაზმულია დაქირავებით მომუშავეთა 91 პროც. რამოდენიმე წლის წინათ კავშირებში დარაზმულთა რიცხვი უფრო მცირე იყო და კავშირის გარეთ იმყოფებოდა მუშა-მოსამსახურეთა 12-13 პროცენტი. კავშირებში დარაზმულთა რიცხვის როგორც აბსოლიუტური, ისე პროცენტული ზრდა კავშირების ორგანიზაციულ მიღწევების მაჩვენებელია.

პროფესიონალური კავშირები ამჟამად წარმოადგენენ ფრიად დიდ და მძლავრ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის არც ერთი ცოტად თუ ბევრათ მნიშვნელოვანი საკითხი არ ირჩევა კავშირების გარეშე. კავშირების უშუალო მონაწილეობით იჭრება ჩვენი მეურნეობის მიმდინარე საკითხები. მათივე მონაწილეობით მუშავდება მეურნეობის ყოველწლიური და ხუთწლიანი გეგმები. კავშირები მუშათა მასების წარმოებითი გამოცდილების დაგროვებით ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სოციალისტურ მშენებლობაში.

პროფესიონალურ კავშირებში დარაზმული მუშათა მასები პროლეტარულ დიქტატურის უმთავრესი დასაყრდენი ძალა არის. ჩვენი კავშირები არ წარმოადგენენ ცეხურ ინტერესების დამცველ ორგანიზაციას. უპირველეს ყოვლისა მათთვის არსებობს საერთო კლასიური ინტერესი. არა მარტო კავშირების წესდებით, არამედ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში საბჭოთა პროფესიონალური კავშირები ხელმძღვანელობენ იმით, რომ მათი ერთად ერთი მიზანია სოციალიზმის განხორციელება პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით.

თავის წევრების ინტერესების დაცვა, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, მუშათა მასების დარაზმვა, აღზრდა, მათი კულტურული დონის აწევა, მათი ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში და მუშათა სახელმწიფოსათვის პირდაპირი დახმარება გიგანტიურ ამოცანების შესრულებაში — წარმოადგენს პროფესიონალური კავშირების ყოველდღიურ მუშაობის პროგრამას. როგორია ამ მხრივ მიღწევები?

ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა განუწყვეტლად იზრდება. მუშების მდგომარეობის, მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება მჭიდროთ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის განვითარებასთან. მაქსიმალურ შესაძლებლობის ფარგლებში სწარმოებს ყოველწლიურად მუშების ხელფასის მომატება. უკანასკნელი სამეურნეო წელიც ნომინალური ხელფასის საგრძნობ ზრდას იძლევა თითქმის ყველა სამრეწველო დარგებში. მაგალითად, მხოლოდ 1927-28 წლის განმავლობაში ხელფასი გაიზარდა: ლითონის წარმოებაში—15 %, ხე-ტყის —9, % ტყავის — 19 %, აბრეშუმის—25 %, თამბაქოს—15 % პოლიგრაფიულ მრეწველობაში 11 %, ქვა-ნახშირის — 9 % და სხვ. საქართველოს საწარმოებში, მიუხედავათ იმისა, რომ თავის ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობით ისინი ბევრად ჩამორჩებიან საბჭოთა კავშირის მსხვილ მრეწველობას, ხელფასი თავის რაოდენობით იმდენივეა, რამდენიც საბჭოთა კავშირში.

საქართველოს პროფკავშირების მიღწევები, ცხადია, არ ამოიწურება თავის წევრთა მატერიალური გაუმჯობესებისათვის ზრუნვით. ამასთან ერთად კავშირების ყოველდღიურ საქმიანობაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მასების სამეურნეო მუშაობაში ჩაბმას და ამით საბჭოთა წარმოების გაუმჯობესების საქმეს. საწარმოო ცხოვრებაში მუშების მონაწილეობის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს საწარმოო თათბირები. მიუხედავათ იმისა, რომ ამ თათბირების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის დაყენებული სასურველ დონეზე, მიღწევები ამ დარგში თვალსაჩინოა. თუ 1926 წელში მასიურ ეკონომიურ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 23 ათასმა მუშა-მოსამსახურემ, 1927 წელში მონაწილეთა რიცხვი შეადგენდა 38 ათასს. წარმოებისათვის სასარგებლო ხუთი ათასი პრაქტიკული წინადადები თათბირების მხრით მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმის დამამტკიცებელია, რომ მუშათა კლასი ფრიად დიდ მზრუნველობას იჩენს სამეურნეო მშენებლობაზე. დაუმატეთ კიდევ მას ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიის ჩატარების დროს გამოჩენილი ენტუზიაზმი და ყველა მუშების მიერ თავის წვლილის შეტანა ქვეყნის მშენებლობის საქმეში. ეს საუკეთესო მაჩვენებელია პროლეტარული კადრების კლასიური თვითშეგნების და მათი განწყობილების.

აქ კიდევ შეიძლებოდა მოგვეყვანა პროფესიონალური კავშირების სხვა მიღწევები. მაგრამ ამას უფრო დაწვრილებით აღნიშნავს ყრილობა. ამასთან ერთად, ყრილობა უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს კავშირების მუშაობაში არსებულ დეფექტებს. ეს ყრილობა უნდა გადაიქცეს პროფკავშირების ფართო თვითკრიტიკის პირველ ყრილობად. მერვე წელიწადია, რაც პროფესიონალური კავშირები მუშაობენ. თვითეული ყრილობა, როგორც საერთო საკავშირო, ისე ცალკე კავშირების, გვერდს არ აუხვევდა პროფესიონალური მუშაობის სუსტ მხარეებს. ამ მხრივ ნამდვილი ბოლშევიკური ხაზი ტარდებოდა. თავის დეფექტების გამოაშკარავებას ადგილი ქონდა აქამდისაც. მაგრამ ამ ყრილობაზე უფრო ფართედ და უფრო ღრმად უნდა გაიშალოს თვითკრიტიკა. რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ საჭიროა პროფესიონალური მუშაობის ძირითადი შემოწმება.

არის თუ არა ჩვენს პროფესიონალურ მუშაობაში დეფექტები? თავისთავის მოტყუება იქნებოდა იმის თქმა, რომ დეფექტები არ არის. მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად, ჩვენ გვაქვს ფრიად საგრძნობი ნაკლოვანებები. ეს აღნიშნა საქართველოს ცენტრ. კომიტეტის უკანასკნელმა ორმა პლენუმმა. უმთავრესი ნაკლი არის მასიური მუშაობის სისუსტე. გასულ წლებთან შედარებით მასიური მუშაობა გაძლიერდა. ამის დასამტკიცებლათ შეიძლება მოვიყვანოთ მთელი რიგი ფაქტები. მაგრამ ჯერ მაინც კიდევ მასიური მუშაობა ვერ დგას თავის სიმაღლეზე. მასიური მუშაობის წარმოება კი წარმოადგენს კავშირების ძირითად ამოცანას. კავშირები არ შეიძლება გახდენ კომუნიზმის სკოლად, თუ მუშათა მასები აქტიურად არ ჩაებენ პროფესიონალურ და სამეურნეო მუშაობაში. მასიური მუშაობა, ცხადია, არ გამოიხატება მარტო მრავალრიცხოვან კრებებში. საჭიროა არსებითად მასიური მუშაობის წარმოება. ყრილობას მოუხდება კავშირების ამ ფრიად სუსტ და ამასთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე მთავარი ყურადღების მიქცევა.

ფართო მასიურ თვითკრიტიკის განხორციელების საქმეში კავშირებმა დიდი როლი უნდა ითამაშონ. კავშირები ამ მასიურ თვითკრიტიკის ორგანიზატორები არიან. კავშირების საშუალებით მასიური თვითკრიტიკა უნდა იქნეს მიმართული ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ, ბიუროკრატიულ დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მასიური თვითკრიტიკა ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არის.

რომ კავშირები ნამდვილათ მასიური თვითკრიტიკის ორგანიზატორები გახდენ, ამისათვის საჭიროა ფართო თვითკრიტიკის გატარება თვით შიგნით კავშირებში. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ვერ არის სასურველი შედეგები და თვითკრიტიკის გაფართოვება პროფესიონალურ კავშირებში ჯერ-ჯერობით არ მიმდინარეობს ჩქარი ტემპით. ეხლანდელი ყრილობა ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მიიღებს შესაფერ ზომებს და ამით ხელს შეუწყობს მასიურ მუშაობის გაუმჯობესებას.

გერმანიის საგარეო პოლიტიკა

გერმანიის პრესა გერმანიის, ამერიკის და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის შესახებ

ინგლისის პრესის კომენტარიები კულიჯის განცხადების გამო

შტრეზემანის გამოსვლა რეიხსტაგში

ბერლინი, 20 ნოემბერი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, დღეს შტრეზემანმა რეიხსტაგში წარმოსთქვა სიტყვა საგარეო პოლიტიკის შესახებ. მან განაცხადა, რომ რეინის ოლქის ოკუპაციის გაგრძელება აღმაშფოთებელ წინააღმდეგობას წარმოადგენს უკანასკნელი წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ საკითხზე ჟენევაში გამართული მოლაპარაკების შედეგმა გერმანიის ხალხს იმედები გაუცრუვა. გერმანია ფიქრობს, რომ მას უფლება აქვს მოითხოვოს რეინის ოლქის დაუყოვნებლივ დაცლა. ამასთანავე გერმანიას არავითარ შემთხვევაში **არ შეუძლია** რეინის ოლქის დაცლის სამაგიეროდ იკისროს რაიმე **პოლიტიკური ან ფინანსიური ვალდებულებანი.**

შემდეგ შტრეზემანი შეეხო ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას და სთქვა: „თუმცა უკანასკნელ დროს გამოაშკარავებული ფაქტების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ინგლის-საფრანგეთის კომპრომისს ბოლო მოეღო, მაგრამ საჭიროა პრინციპიალურად გაესვას ხაზი იმას, რომ ყველა ასეთ ცალკე შეთანხმებას დასახული უნდა ჰქონდეს ყველასათვის საერთო მიზანი — განიარაღება, და არა ის, **რომ უზრუნველჰყოს შეთანხმებაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის შეიარაღების იმ ფაქტორების შენარჩუნება, რომლებითაც ამჟამად ეს სახელმწიფოები განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი“.**

შემდეგ შტრეზემანი შეეხო რეპარაციების საკითხის ახალი მოწესრიგების პროექტს ექსპერტთა საერთაშორისო კომისიების მონაწილეობით და სთქვა: „საჭიროა, რომ ეს კომისია თავისუფალი იყოს და ცალმხრივი პოლიტიკური თვალსაზრისისაგან და ხელმძღვანელობდეს მსოფლიო მეურნეობის აღდგენის საერთო ინტერესებით. მთავრობები, რა თქმა უნდა, იტოვებენ უფლებას გამოიტანონ ესა თუ ის გადაწყვეტილება ექსპერტების წინადადებათა გამო. სარეპარაციო საკითხის ნამდვილ გადაჭრაზე ლაპარაკი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიას საშუალება მიეცემა შეასრულოს თავისი ვალდებულებები საკუთარი სამეურნეო რესურსებიდან და ამასთანავე გერმანიის ხალხის არსებობისათვის საფრთხის შეუქმნელად“.

დასასრულ შტრეზემანი შეეხო კელოგის პაქტს და უწოდა მას „სერიოზული ნაბიჯი საერთაშორისო ურთიერთობათა შესაქმნელად“.

შტრეზემანმა პასუხი გასცა მისი საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკას; **უარყოფდა იმას, რომ ეს პოლიტიკა მიაჩნიათ გერმანიის მტკიცე შეერთებად დასავლეთის დიდ სახელმწიფოებთან.** „სინამდვილეში ,— სთქვა მან,— გერმანია თავისუფლად ეძებს დახმარებას იქ, სადაც კი შეუძლია დახმარების პოვნა. **მე ვერ ვხედავ რაიმე ისეთ მჭიდრო კავშირს გერმანიასა და ცალკე დიდ სახელმწიფოებს შორის, რის გაწყვეტაც საჭირო იყოს.** რათა გერმანიას მიეცეს მოქმედების თავისუფლება, რომელიც აუცილებელია მშვიდობიანი შეთანხმებისათვის სხვა სახელმწიფოებთან“ (ადს).

კამათი საგარეო პოლიტიკის შესახებ

ბერლინი, 20 ნოემბერი. რეიხსტაგში შტრეზემანის სიტყვის შემდეგ საგარეო პოლიტიკის შესახებ გამართულ კამათში ნაციონალისტი ვესტარპი, ცენტრის პარტიის წარმომადგენელი კაასი, დემოკრატი დერნბურგი და სამეურნეო პარტიის წარმომადგენელი ბრედტი აღნიშნავდნენ „გერმანიის საგარეო პოლიტიკის უდავო დამარცხებებს“. ყველა ორატორი მოითხოვდა, რათა უარყოფილ იქნას კავშირი რეინის ოლქის საკითხსა და სეპარაციების საკითხს შორის; ორატორები აგრეთვე მოითხოვდნენ, რომ გერმანიის მთავრობამ უარჰყოს ყოველგვარი ისეთი შეთანხმება სარეპარაციო საკითხზე, რომელიც გაითვალისწინებს ისეთ გადასახადებს, რაც გადააჭარბებს „გერმანიის“ საკუთარ სამეურნეო რესურსებს“. ყველა ორატორი მოითხოვდა აგრეთვე იმას, რომ გერმანიის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდეს რეინის ოლქზე დაწესებული კონტროლის ამა თუ იმ ფორმით 1935 წელზე გვიან განგრძობაზე (1935 წელს ვერსალის ზავის თანახმად ოკუპაცია უნდა მოისპოს) და რომ გერმანიის მთავრობამ არ იკისროს რაიმე ახალი ვალდებულებანი ოკუპაციის შეწყვეტის დაჩქარების სამაგიეროდ. ამასთანავე კაასმა მკაცრად გააკრიტიკა ინგლისის მოქმედება და განაცხადა, რომ ინგლისმა დადო შეთანხმება საფრანგეთთან, ხოლო „გერმანია ბედის ანაბარა მიატოვა“.

ეგრედ წოდებული „აღმოსავლეთის პოლიტიკის“ საკითხებს ჯერ ჯერობით შეეხო მხოლოდ ნაციონალისტი ვესტარპი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიისათვის აუტანელია პოლონეთის კორიდორი და სილეზის ეხლანდელი საზღვარი. ის აგრეთვე ამტკიცებდა, რომ საჭიროა „პრუსიაში“ შეიქმნას ზღუდე პოლონეთის საფრთხის წინააღმდეგ“. (ადს).

ცერერი გერმანიის, ამერიკის და საბჭ. კავშირის თანამშრომლობის შესახებ

ბერლინი, 19 ნოემბერი **„ფოსიშე ცეიტუნგში“** ცერერი (ცნობილი ჟურნალისტი, საერთაშორისო ხასიათის წერილების ავტორი) **არკვევს გერმანიის, ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებისა და საბჭოთა კავშირის სამეურნეო და პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხებს.**

ცერერი ამ საკითხს ეხება იმის გამო, რომ იწყება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ეკონომიური ხასიათის მოლაპარაკება, აგრეთვე იმის გამოც, რომ მოსკოვში იმყოფება ჩრ. ამერ. შეერთ. შტატების მრჩეველი პოლონეთში დიუი. ცერერის აზრით, ამ საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მოლაპარაკების შედეგს, კერძოდ „იმ გარემოებას, თუ რამდენად გამოიჩენს მოსკოვი შეთანხმების სურვილს“.

დასასრულ, ცერერი აღნიშნავს: **გერმანიის, ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა სავსებით შეეფერება სამივე ქვეყნის ინტერესებს' ეს თანამშრომლობა ყოველგვარ მნიშვნელობას დაუკარგავს ინგლისის ცდას, რომ მახვილი ჩასცეს საბჭოთა კავშირს ურთიერთობის შეწყვეტის საშუალებით; ინგლისის იმპერიალიზმი იძულებული იქნება „დაემორჩილოს შექმნილ გარემოებას“.** (ადს).

კომენტარიები კულიჯის განცხადების გამო

ლონდონი, 9 ნოემბერი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, კულიჯმა განაცხადა: ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების მთავრობა მზად არის განიხილოს ყოველგვარი წინადადება საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ლორდ ხესილის იმ წინადადების ნიადაგზე, რომელიც მან ლორდთა პალატაში შეიტანა (ხესილი ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარედ იყო ერთა ლიგაში; იგი ლორდთა პალატაში მოითხოვდა შეთანხმებას ინგლისისა და ამერიკის ფლოტების სრული თანაბრობის ნიადაგზე). კულიჯის განცხადების გამო ლიბერალური გაზეთი „დეილი ნიუსი“ სწერს:

„კულიჯის ნათქვამი გვიჩვენებს, რომ ჩრ. ამერ. შეერთ. შტატების მთავრობა უარს არ ამბობს ინგლისთან თანამშრომლობაზე. მაგრამ ეს თანამშრომლობა რომ ნაყოფიერი იყოს, საჭიროა საერთო ენის გამონახვა ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებსა და ინგლისს შორის“.

დასასრულ, გაზეთი აცხადებს, რომ ინგლის-ამერიკის შეთანხმება შეუძლებელია, სანამ ინგლისს კონსერვატორთა მთავრობა განაგებს. (ადს).

ევროპისა და ამერიკის მტრობის შედეგები

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. პოლიტიკურ წრეებში შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ მტრული განწყობილება ევროპასა და ამერიკას შორის, რასაც კულიჯი ხელს უწყობს, გამოიწვევს იმას, რომ სენატი დააგვიანებს კელოგის პაქტის რატიფიკაციას. არის ცნობები, რომ მრავალი სენატორი მოითხოვს ჩემბერლენისა და ბრიანის წერილების მნიშვნელობის განმარტებას, ვინაიდან, კელოგის სიტყვით, ეს წერილები პაქტს არ ეხებიან, ხოლო საერთაშორისო უფლების მცოდნეთა აზრით, ამცირებენ პაქტის მნიშვნელობას. (ადს).

გუვერის მოგზაურობა

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. 19 ნოემბერს გუვერი შეუდგა მოგზაურობას ლათინურ ამერიკაში. გუვერი მოგზაურობს ჯავშნოსან „მერილენდ“-ით, რომელიც ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე უფრო ძლიერი სამხედრო გემია. გუვერის გამგზავრების დროს რკინის გზის სადგურზე გაიმართა კომუნისტური დემონსტრაცია, რომელსაც მიზნად ჰქონდა გუვერის მოგზაურობის ნამდვილი ხასიათის გამოაშკარავება. მრავალი დემონსტრანტი დააპატიმრეს. (ადს).

ჯავშნოსანის აგების გარშემო

სოციალ-დემოკრატებმა მოიწონეს ველსის პოზიცია

ბერლინი, 19 ნოემბერი. შესდგა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საკონტროლო კომისიის გაერთიანებული სხდომა „საერთო პოლიტიკური მდგომარეობის“ განსახილველად. სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პოზიციას ჯავშნოსანის საკითხში და აგრეთვე პარტიის თავმჯდომარის ველსის მიერ ამ საკითხის შესახებ რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვას (სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ რეიხსტაგში წინადადება შეიტანა ჯავშნოსანის აგების შეწყვეტის შესახებ, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ წინადადება არ იქნებოდა მიღებული). ამ წინადადების განხილვის დროს სოც.-დემოკ. ფრაქციის სახელით გამოვიდა ველსი, რომელმაც განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები „თავდაცვის წინააღმდეგნი არ არიან, პირიქით, ისინი მხარს უჭერენ თავდაცვა“-სო. მან დაადასტურა, რომ ჯავშნოსანის აგება, რასაც კაბინეტში ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატ მინისტრებმა, ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შესაძლებლობას).

კლასობრივი ბრძოლა გერმანიაში

კავშირიდან გამორიცხვა კლასობრივი ხაზისათვის

ბერლინი, 19 ნოემბერი. სრულიად გერმანიის ფეიქართა რეფორმისტული კავშირის ც. კ.-მა დაადგინა—გამორიცხოს კავშირიდან 8 კაცი იმის გამო, რომ მათი მოქმედება ვითომ, „კავშირის ინტერესებს ეწინააღმდეგება“. ნამდვილი მიზეზი კი ის არის, რომ გამორიცხულნი სისტემატიურად იცავდნენ რევოლიუციონურ კლასობრივ პოლიტიკას დამქირავებლებთან ბრძოლის დროს. (ადს).

კონფლიქტი ხის დამმუშავებელ მრეწველობაში

ბერლინი, 19 ნოემბერი. ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირებმა დამქირავებლებს განუცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ არსებულ შეთანხმებაზე, რომლის ვადა 15 თებერვალს თავდება. დამქირავებლებს განზრახული აქვთ უარჰყონ მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ გაუმჯობესდეს შრომის პირობები და დაიდოს ახალი შეთანხმება. ხის დამმუშავებელ მრეწველობაში, ალბად, თავს იჩენს მწვავე კონფლიქტი, რომელშიაც ჩაბმული იქნება 100.000 კაცი (ადს).

დახმარება ლოკაუტგამოცხადებულებს

ბერლინი, 19 ნოემბერი. მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტი დღითი დღე აფართოვებს თავის მოქმედებას: იგი სურსათს აწვდის ლოკაუტგამოცხადებულ მუშებს. ლოკაუტის გამოცხადების დღიდან 18 ნოემბრამდე მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა გაანაწილა 93.500 სადილი. (ადს).

სამედიატორო გადაწყვეტილების მოლოდინში

ბერლინი, 19 ნოემბერი. სამედიატორო გადაწყვეტილება გერმანიის საფეიქრო მრეწველობაში ჩამოვარდნილი კონფლიქტის შესახებ, (ეს გადაწყვეტილება 500.000 მუშას ეხება) გამოცხადდება ნოემბრის დამლევს. კონფლიქტი დაიწყო იმის გამო, რომ დამქირავებლებმა უარჰყვეს არსებული შეთანხმებანი ხელფასის შემცირების მიზნით (ადს).

რენეტურის შეკითხვა და პუანკარეს პასუხი

პარიზი, 19 ნოემბ. 31 ოქტ. „ჟურ. ოფისიელ“-მა გამოაქვეყნა პალატის წევრის რენეტურის წერილობითი შეკითხვა ძველი რუსეთის ვალების შესახებ რენეტური ეკითხება ფინანსთა მინისტრს, რა ზომების მიღებას აპირებს მთავრობა საფრანგეთში დარჩენილი რუსეთის ქონებიდან რუსეთის ვალის იმ ნაწილის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოდის ძველი რუსეთიდან გამოყოფილ ქვეყნებზე. პუანკარემ უპასუხა, რომ საკითხი საფრანგეთში დარჩენილ რუსეთის ქონების შესახებ დაკავშირებულია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შემდგომ მსვლელობასთან, რომლის შედეგების გათვალისწინება ჯერ-ჯერობით ნაადრევია. (ადს).

მოითხოვენ ოპორტუნისტების გამორიცხვას

ბერლინი, 19 ნოემბერი. გერმანიის კომპარტიის მაინის ფრანკფურტის საოლქო კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია (67 ხმის უმრავლესობით ერთი ხმის წინააღმდეგ, თავი შეიკავა ორმა), რომლითაც იგი უერთდება პარტიული მუშაკების სრულიად გერმანიის კონფერენციის რეზოლიუციას. ამავე დროს **რეზოლიუცია მოითხოვს ულმობელ ბრძოლას ლიკვიდატორებისა და ლიკვიდატორული მიმდინარეობის წინააღმდეგ პარტიაში.** იმავე რაიონის ზოგიერთ უჯრედებში მიიღეს რეზოლიუციები, რომლებიც მოითხოვენ ბრანდლერის, ტალგეიმერის და ოლქის მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების — ჰალმის, ხეიკეს და რებეინის გამორიცხვას პარტიიდან. (ადს).

მეტი ყურადღება ტრანსპორტს

პარტიის მე-15 ყრილობამ, როცა იგი გვიხაზავდა დირექტივებს საპერსპექტივო გეგმის შესადგენად ტრანსპორტის დარგში, პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე დასვა „ტრანსპორტის და მისი მუშაობის ისეთი გაფართოვების ამოცანა, რომელიც დააკმაყოფილებდა წარმოებისა და საქონლის ბრუნვის მოთხოვნილებებს და ამასთანავე ახალ რაიონებს ჩააბამდა ჩვენი ქვეყნის სახალხო სამეურნეო ცხოვრების ფერხულში,აღმოაჩენდა საწარმოო ძალთა განვითარების ახალ უდიდეს წყაროებს და უზრუნველყოფდა თავდაცვას“.

განვლილმა წელმა ნათლად გვიჩვენა, რომ ტრანსპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. როგორც კი შეიცვალა ჩვენი მოსავლის გეოგრაფია და როგორც კი გამოირკვა, რომ უკეთესი მოსავალი აღმოსავლეთ რაიონებშია, მაშინვე გამოაშკარავდა, რომ, ჩვენი სატრანსპორტო საშუალებების განუვითარებლობის გამო, ძალიან ძნელია ამ მოსავლის ხელში ჩაგდება. პურის გადატანა ყაზახსტანის და ციმბირის პურის მიმღები პუნქტებიდან რკინისგზებზე, პურის გაგზავნა აღმოსავლეთის რკინისგზის სადგურებიდან საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში,—ყველა ამ ამოცანის შესრულებას ხელს უშლიდა სატრანსპორტო დაბრკოლება.

რაც უფრო მეტად გაიწევს აღმოსავლეთისაკენ ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ცენტრი, მით უფრო გამწვავდება ჩვენი ტრანსპორტის განუვითარებლობის პრობლემა.

ჩვენი აღმოსავლეთის რაიონების—უზბეკისტანის (ბამბა), თურქმენისტანის, ყაზახსტანის და ციმბირის—სოფლის მეურნეობის განვითარებას აბრკოლებს იმ სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობა, რომლებიც ამ რაიონების სოფლის მეურნეობას აკავშირებს საბჭოთა კავშირის და მსოფლიო ბაზრებთან. სატრანსპორტო ხასიათის დაბრკოლებანი არანაკლებ საგრძნობია მრეწველობის დარგშიაც.

ყოველი ახლად აგებული ქარხანა, ყოველი ახალი მაღარო, ყოველი ახალი საქმე ხე-ტყის დამუშავების დარგში ხელახლა აყენებს ჩვენი მრეწველობის წინაშე ტრანსპორტის პრობლემას

მრეწველობის დარგში, ისე, როგორც სოფლის მეურნეობის დარგში, გარკვევით სჩანს ტენდენცია ჩვენი მრეწველობის გაფართოვებისა აღმოსავლეთისაკენ, სადაც თავმოყრილია ჩვენი მომავალი ინდუსტრიალური განვითარებისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსების მთავარი მასა (ხე-ტყე, ქვანახშირი, ფერადი და შავი ლითონები, ქიმიური ნედლეული, ბამბა, პური). მაგრამ ამ მიმართულებით გადადგმულ ყოველ ჩვენს ნაბიჯს თან უნდა სდევდეს ჩვენი სატრანსპორტო საშუალებების მნიშვნელოვანი გაძლიერება, ვინაიდან ჩვენი სატრანსპორტო საშუალებები განსაკუთრებით ნაკლებ განვითარებულია საბჭოთა კავშირის სწორედ აღმოსავლეთ ნაწილში.

რა თქმა უნდა, ტრანსპორტის გაფართოვების წინასწარ პირობებს წარმოადგენს მრეწველობის იმ დარგების განვითარება, რომლებიც ამზადებენ ტრანსპორტის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო საშუალებებს, ესე იგი, უწინარეს ყოვლისა, მძიმე მრეწველობის განვითარება. განუვითარებელი მეტალურგიისაა და განვითარებული მანქანათმშენებლობის გარეშე სასაცილოა ფიქრი ტრანსპორტის ცოტად თუ ბევრად სერიოზულ გაფართოვებაზე. მაშასადამე, ტრანსპორტის დარგში, ურომლისოდაც არ შეიძლება მრეწველობის არცერთი დარგის განვითარება და, უწინარეს ყოვლისა, შეუძლებელია სოფლის მეურნეობის წინსვლა, ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ სავსებით სწორია პარტიის მიერ აღებული კურსი: მძიმე მრეწველობის უფრო სწრაფი ტემპით განვითარება მსუბუქ მრეწველობასთან შედარებით მძიმე მრეწველობა იყო,არის და იქნება ტრანსპორტის განვითარების უმთავრესი საფუძველი.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნება ტრანსპორტის პრობლემის გადადება მძიმე მრეწველობის საბოლოო განვითარებამდე.

მეურნეობის ყველა დარგში სატრანსპორტო მრეწველობა განირჩევა ერთი დამახასიათებელი თვისებით: ეს ის დარგია, რომელშიაც განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ძირითადი კაპიტალი. საკმაოა ითქვას, რომ საბჭოთა ტრანსპორტის ძირითადი კაპიტალის რაოდენობა ბევრად სჭარბობს საბჭოთა მრეწველობის ძირითადი კაპიტალის რაოდენობას.

ეს გარემოება ბევრ რამეს გვავალებს. ის, უწინარეს ყოვლისა, გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდი ღონისძიებების გამოჩენა დასჭირდება საბჭოთა კავშირს, როდესაც იგი პირისპირ მიუდგება ტრანსპორტის შემდგომი განვითარების პრობლემას.

სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც მოითხოვენ ლითონისა და მანქანების ვეებერთელა მასებს, არ შეიძლება ერთბაშად შეიქმნან და გაფართოვდნენ. ტრანსპორტის პრობლემების გადასაჭრელად ყოველთვის წლებია საჭირო. ამავე დროს კი ტრანსპორტის პრობლემის გამწვავება ჩვეულებრივ შეუმჩნევლად იჩენს ხოლმე თავს.

რათა ეს თავიდან ავიცილოთ, უნდა შევქმნათ სატრანსპორტო საშუალებათა თუნდაც მცირეოდენი რეზერვი. ყველა ჩვენთვის საჭირო რეზერვიდან სატრანსპორტო რეზერვს ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს, ვინაიდან ეს ისეთი რეზერვია, რომლის სწრაფად შექმნა არავითარი ღონისძიებებით არ შეიძლება.

ამიტომ ბუნებრივია ის ყურადღება, რომელიც უნდა მიაქციონ ამჟამად პარტიამ და საბჭოთა ორგანოებმა ტრანსპორტის საკითხებს.

უწინარეს ყოვლისა უნდა მოვაწესრიგოთ ტრანსპორტის არსებული საშუალებებით სარგებლობა, რისთვისაც დაუზოგავად უნდა ვებრძოლოთ უსარგებლო და ზედმეტ გადაზიდვა-გადმოზიდვას. სასტიკად უნდა ვებრძოლოთ იმ სამეურნეო ორგანოებს, რომლებიც მთელი კვირეების განმავლობაში აცდენენ სატრანსპორტო საშუალებებს დატვირთვისა და გადმოტვირთვის მოლოდინში. დასასრულ, ტრანსპორტზე კაპიტალური ხარჯების გაწევის დროს ისე უნდა გავანაწილოთ მშენებლობის ობიექტები, რომ რაც შეიძლება მცირე მანძილზე დაგვჭირდეს ნედლეულის, სათბობის და მასალის გადაგზავნა.

ამასთან ერთად ჩვენ, საქმის გადაუდებლად, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ სატრანსპორტო საშუალებათა გაფართოვებას და უზარმაზარ სატრანსპორტო მეურნეობის რეკონსტრუქციას. დაყოვნებას სატრანსპორტო საკითხში შეიძლება საბედისწერო შედეგები მოჰყვეს მთელი სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის.

რათა ტრანსპორტი სერიოზულ დაბრკოლებად არ გადაიქცეს ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარების გზაზე და ამასთან ისეთ დაბრკოლებად, რომლის გადალახვა მეტად ძნელი იქნება, ჩვენ ეხლავე უნდა უზრუნველვჰყოთ მისთვის განვითარების სათანადო ტემპი, ცოტა უფრო სწრაფი, ვიდრე ის ტემპია, რომელიც ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დღევანდელ დღის თვალსაზრისით.

ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის მიმართ სწორი ფინანსიური პოლიტიკის წარმოებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში ტრანსპორტის უმნიშვნელოვანეს დარგში, რკინის გზის ტრანსპორტში, აღნიშნულია მრავალი უდიდესი მიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინოდ გაიზარდა სამუშაოთა მოცულობა და სამუშაოებმა 1927—28 წელს ომის წინადროის დონეს 25,8 პროცენტით გადააჭარბეს, მაინც ტრანსპორტი ყოველწლიურად ისე აწარმოებს გადაზიდვას, რომ სამუშაო ერთეულზე მოძრავი შემადგენლობისა და სამუშაო ძალის ხარჯი თანდათან კლებულობს. 1928—29 წლისთვის გადაზიდვის თვითღირებულება ტონა კილომეტრზე გათვალისწინებულია 13 კაპეიკი, ნაცვლად 1927—28 წელს, 1,16 კაპიკისა და 1926—27 წლის 1,25 კაპიკისა.

ყოველ წლიურად იზრდება ტრანსპორტისთვის გაღებული კაპიტალური ხარჯები და 1928—29 წელს ამ ხარჯებმა 400 მილიონ მანეთს მიაღწიეს. არსებული რკინის გზის ქსელი ამ ხარჯებმა მაინც ვერ უზრუნველჰყვეს, და ტრანსპორტის რაციონალიზაციისა და რეკონსტრუქციის დარგში ხსენებულ ხარჯებს რაიმე არსებითი ცვლილება არ შეუტანიათ. გასული დროის განმავლობაში ხარჯების მთავარი ნაწილი ხმარდებოდა და წელსაც უმთავრესად ხმარდება ტრანსპორტის აღდგენის საქმეს, ე. ი. ტრანსპორტის მომზადებას იმისათვის, რომ ან შესძლოს დაკმაყოფილება ტვირთტრიალისა, რომელიც ყოველწლიურად იზრდება.

მახლობელი დროისთვის ტრანსპორტის უპირველეს ამოცანას შეადგენს მე-15 პარტიული ყრილობის იმ დირექტივის განხორციელება, რომელიც შეეხება სატრანსპორტო მეურნეობის ძირითად რეკონსტრუქციასა და მისი მუშაობის რაციონალიზაციას — ტეხნიკის მხრივ ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყნების მსგავსად. ეს კი დაკავშირებულია სერიოზული სახსრების გაღებასთან.

ყველა სატრანსპორტო ორგანოს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ტრანსპორტის მუშაობაში გეგმიანობის პრინციპის გაძლიერებით, მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესებით (ორთქლმატარებელისა და ვაგონის ბრუნვის დაჩქარება და სხვ.) და უნაყოფო ხარჯებთან ბრძოლით მივაღწიოთ ტრანსპორტის შიგნით საშუალებათა ისეთ გადაჯგუფებას, რომელიც უზრუნველჰყოფს სატრანსპორტო მეურნეობის რაციონალიზაციისა და რეკონსტრუქციის მაქსიმალურ ტემპს.

სატრანსპორტო მეურნეობის რაციონალიზაციისა და რეკონსტრუქციის საკითხები მთელი ჩვენი სატრანსპორტო პოლიტიკისა და მუშაობის მთავარ საკითხებად უნდა გადაიქცნენ. ისინი ნამდვილი ბრძოლის ამოცანებად უნდა იქნენ ჩვენი პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოებისათვის.

„პრავდა“, 20 ნოემბერი.

უკანასკნელი ცნობები

კომუნისტი დეპუტატის დორიოს საქმე

პარიზი, 20 ნოემბერი. სააპელაციო სასამართლოში ირჩეოდა კომუნისტი დეპუტატის დორიოს ორი საქმე. პირველ საქმეზე დორიოს 1927 წლის ნოემბერში მისჯილი ჰქონდა ერთი წლის პატიმრობა და ათასი ფრანკი ჯარიმა იმის გამო, რომ ის „მოუწოდებდა სამხედრო მოსამსახურეებს არ დამორჩილებოდნენ უფროსებს“, და აგრეთვე საფრანგეთის კომკავშირის ორგანო „ავანგარდ“-ში მოთავსებული წერილებისათვის. (დორიო იყო „ავანგარდ“-ის რედაქტორი).

მეორე საქმეზე დორიოს 1928 წლის თებერვალში მისჯილი ჰქონდა სამი წლის პატიმრობა და 3,000 ფრანკი ჯარიმა ჩინეთში ყოფნის დროს წარმოთქმული სიტყვებისათვის. სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა პირველი განაჩენი და 2 წლამდე შეამცირა პატიმრობის ვადა მეორე საქმეზე. (ადს).

პროტესტი მორელის გაცემის წინააღმდეგ

პარიზი, 19 ნოემბერი. კომპარტია, შრომის უნიტარული კონფედერაცია, რემედასის საფრანგეთის სექცია, ადამიანის უფლებათა ლიგა, იტალიის კომპარტიის ჯგუფების კომიტეტი და პროლეტარებისა და ანტიფაშისტების კომიტეტი პროტესტს აცხადებენ საფრანგეთის სასამართლოს იმ დადგენილების წინააღმდეგ, რომელიც შეეხება პოლიტიკური ემიგრანტის მორელის გადაცემას იტალიის მთავრობისათვის. (ადს).

პროტესტი კომუნისტური გაზეთების აკრძალვის წინააღმდეგ

პრაღა, 19 ნოემბერი. ზოგიერთ გაზეთში გამოქვეყნებულია ჩეხო-სლოვაკიის ინტელიგენციის რამდენიმე ცნობილი წარმომადგენლის პროტესტი კომუნისტური გაზეთების აკრძალვის წინააღმდეგ. პროტესტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბურჟუაზიულმა პრესამ მთელი კამპანია დაიწყო პროტესტზე ხელის მომწერთა წინააღმდეგ. (ადს).

ლაიდონერი ხოტბას ასხამს პოლონეთს

რეველი, 19 ნოემბერი. „პაევალეხტ“-მა გამოაქვეყნა საუბარი გენერალ ლაიდონერთან, რომელიც ესტონეთის წარმომადგენლად იყო ვარშავის ზეიმზე პოლონეთის დამოუკიდებლობის ათი წლის თავის გამო.

„საგარეო პოლიტიკის საკითხებში, — განაცხადა ლაიდონერმა, — ესტონეთი და პოლონეთის შეხედულებები ერთნაირია. პოლონეთი დიდ როლს თამაშობს, ევროპის წონასწორობის შენარჩუნების საქმეში. ამიტომ ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ იგი ძლიერი იყოს. პოლონეთი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა და იგი გულგრილობას არ გამოიჩენს ესტონეთის მიმართ“. (ადს).

დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა

რიგა, 19 ნოემბერი. გაზეთების ცნობებით, სეიმის მუშურ-გლეხურმა ფრაქციამ უარი სთქვა მონაწილეობა მიეღო სეიმის საზეიმო სხდომაზე, რომელიც გაიმართა ლატვიის დამოუკიდებლობის ათი წლის თავის აღსანიშნავად, აგრეთვე უარი სთქვა ალლუმებსა და საიუბილეო ბანკეტებზე დასწრებაზე. ადგილობრივმა პროფკავშირებმაც, კერძოდ რეფორმისტულ გაერთიანებაში შემავალმა პროფკავშირებმა განაცხადეს, რომ ისინი მო-

სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენლის დაპატიმრება ლატვიაში

რიგა, 19 ნოემბერი. გაზეთების ცნობით, რიგაში დააპატიმრეს წიგნის მაღაზიის „დაილე უნ დარბს“-ის გამგე, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენლად იყო ლატვიაში. გაზეთები აღნიშნავენ, ვითომ დაპატიმრების მიზეზი იყოს „ხშირი მგზავრობა მოსკოვში“ (ადს).

დახმარება პოლონეთის გაფიცულებს

ვარშავა, 19 ნოემბერი. „ფოლკსცეიტუნგის“ ცნობით, სეიმის კომფრაქციამ წერილი გაუგზავნა ფეიქართა პროფკავშირის თავმჯდომარეს დეპუტატ შჩერკოვსკის. წერილში ნათქვამია: საბჭოთა კავშირის მუშებმა, მას შემდეგ, რაც პოლონეთის ფოსტამ არ გადასცა მათ მიერ გამოგზავნილი ფული ლოძის გაფიცულ ფეიქრებს, 10.000 დოლარი გაუგზავნეს სეიმის კომფრაქციას გაფიცულთა დასახმარებლად. გაფიცულთა დასახმარებლად კომფრაქციამ ფული მიიღო აგრეთვე გერმანიიდან და ჩეხო-სლოვაკიიდან. რადგან გაფიცვა დამთავრდა, კომფრაქცია წინადადებას იძლევა, რომ მიღებული ფული მიეცეთ იმ მუშებს, რომლებიც გაფიცვას განაგრძობენ ან დათხოვნილნი არიან გაფიცვის გამო, დაპატიმრებულ ფეიქართა ოჯახებს და აგრეთვე პოლიციის ძალმომრეობისაგან დაზარალებულებს. კომფრაქცია წინადადებას იძლევა, რომ ფული გაანაწილოს თვით მუშების მიერ ამორჩეულმა საგანგებო კომიტეტმა. შჩერკოვსკიმ აცნობა, რომ წერილზე პასუხს გასცემს რამდენიმე დღის შემდეგ, მაგრამ „პასუხი, ალბად, უარყოფითი იქნება“. კომფრაქციამ ფულის ნაწილი გადასცა ვიძევის მანუფაქტურის საგაფიცვო კომიტეტს, რადგან ამ მანუფაქტურის მუშები განაგრძობენ გაფიცვას. გაფიცულებმა პირველი დახმარება უკვე მიიღეს. (ადს).

მანიუ არ შესცვლის ბრატიანუს რეჟიმს

რუმინეთის ახალი მთავრობის თავმჯდომარე
მანიუ

პარიზი, 19 ნოემბერი. საფრანგეთის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს რუმინეთის ახალი მთავრობის დეკლარაციას, რომელიც დაპირებას იძლევა, რომ რუმინეთის და უცხოეთის კაპიტალი გათანასწორებული იქნება უფლებრივად.

„ეს ღონისძიება,—სწერს „ჟურნალ დე დება“,—უზრუნველჰყოფს უცხოეთის ფინანსიური წრეების თანაგრძნობას მანიუს (ახალი პრემიერი) მიმართ და გაადვილებს რუმინეთის ვალიუტის სტაბილიზაციის განხორციელებას“.

„ეკო დე პარი“-ს რედაქტორი პერტინაკსი აფრთხილებს მანიუს არ დაუახლოვდეს ორ „საშიშარ“ მეზობელს—საბჭოთა კავშირს და უნგრეთს.

რეფორმისტული „პოპიულერ“-ი აცხადებს, რომ მანიუს მთავრობით იწყება „ნამდვილი დემოკრატიული ხანა“-ო.

კომუნისტური „ლიუმანიტე“ ეხება გლეხთა ნაციონალური პარტიის (რომელსაც ხელმძღვანელობს მანიუ) პროგრამას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს პარტია ნამდვილად არის არა გლეხთა მასების წარმომადგენელი, არამედ ბანკირების მონა-მოსამსახურე და ამიტომ იგი ვერ შესცვლის დიქტატორ ბრატიანუს მიერ შემოღებულ რეჟიმსო. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მენშევიკური ცინიზმი

მოსკოვი, 20 ნოემბერი. „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება:

გერმანიის კომუნისტურ პარტიამ უარყო ის ღონისძიებები, რომელნიც გამოიმუშავა რეიხსტაგმა რურის ოლქში გამოცხადებულ ლოკაუტის გამო. კომპარტია აღნიშნავს, რომ რეიხსტაგის ღონისძიებები თითქმის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ რურის ოლქის პროლეტარიატისათვის.

სოციალ-დემოკრატიული პრესა ცინიკურად აფრთხილებს მუშებს, ტყუილა იმედებს ნუ იქონიებენ იმის შესახებ, რომ შეიძლება იმაზე მეტის მიღება, რაც რეიხსტაგმა უკვე „მისცა“ მათ.

პოლონეთის ნოტა ჩეხო - სლოვაკიას

მოსკოვი, 20 ნოემბერი. „იზვესტია“-ს საკუთარი კორესპონდენტი პრაღიდან გადმოგვცემს შემდეგს:

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ პოლონეთის მთავრობამ გაუგზავნა საპროტესტო ნოტა ჩეხოსლოვაკიას. ნოტა გამოწვეულია იმ თავდასხმით, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად მოხდა მკვლელობის მიზნით პოლონეთის კონსულზე.

პოლონეთი მოითხოვს ჩეხო-სლოვაკიის მთავრობისაგან, რომ ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ დაშალოს უკრაინელ ნაციონალისტების ლიგა, რომელნიც, პოლონეთის მთავრობის აზრით, დამნაშავეა თავდასხმაში. ამასთან ერთად ნოტა მოითხოვს უკრაინის ნაციონალისტების ლიგის ხელმძღვანელთა გადასახლებას ჩეხიიდან.

საძოვრები საქართველოს მეცხვარეებისათვის

მოსკოვი, 20 ნოემბერი. საკავშირო ცაკის სათანადო ორგანოებში კარგა ხანია დგას საქართველოს მეცხვარეთა საძოვრებით უზრუნველყოფის საკითხი. ვინაიდან საძოვრების საქმის მოგვარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მეცხვარეობის განვითარებისათვის, გადაწყვეტილია სპეციალური თათბირის მოწვევა, რომელიც განიხილავს ამ საკითხს.

ამ მიზნით საკავშირო ცაკის მესამე სესიის დროს მოსკოვში შესდგება აღნიშნული თათბირი, სადაც გაირჩევა საკითხი საქართველოს მეცხვარეობისათვის დაღესტანის საძოვრების გადაცემის შესახებ ახალ პირობებში.

ზომები რიგების წინაალმდეგ

მოსკოვი, 20 ნოემბერი. სავაჭრო ქსელის გამოკვლევამ ცხად ჰყო, რომ უმეტეს შემთხვევაში რიგები მაღაზიებთან გამოწვეულია სავაჭრო პუნქტების რიცხვის სიმცირით. რიგები ჩნდება ისეთი საქონლის მისაღებადაც კი, რომელიც საკმაოზე გაცილებით მეტად მოიპოვება ბაზარზე.

ამ არანორმალური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გადაწყდა მუშათა კოოპერაციის გამგეობას დაევალოს სავაჭრო პუნქტების გამრავლება. გარდა ამისა, გადაწყვეტილია, რომ იმ საქონლით, რომლის ნაკლებობაც არის ბაზარზე, კოოპერატივებმა უნდა ივაჭრონ სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, რომ ამით მუშებს საშუალება მიეცეთ შეიძინონ ასეთი საქონელი.

როდის გაიხსნება საჰაერო ხაზი მოსკოვი - თბილისი - ბაქო

მოსკოვი, 20 ნოემბერი. მომავალი წლის 15 იანვრიდან გაიხსნება საჰაერო ხაზი მოსკოვი - თბილისი-ბაქო. სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა წინასწარ ჩატარებული მუშაობა და სცნო, რომ ახალი ხაზი საშიშროებას არ წარმოადგენს მგზავრობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

თათბირი ეკონომიური მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 20 ნოემბერი. პროფკავშირების ეკონომიური მუშაობის შესახებ გამართულ თათბირზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარი ამხ. შმიდტი. შემდეგ გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგე ამხ. გინსბურგი, რომელმაც აღნიშნა, რომ ნოემბერში 10 წლისთავი სრულდება მას შემდეგ, რაც ამხ. შმიდტი შრომის სახ. კომისარიატს სათავეში ჩაუდგა.

ამხ. შმიდტი ამ ხნის განმავლობაში ახერხებდა მუშათა კლასის და სახელმწიფოს ინტერესების შეთანხმებას. იგი შრომის სახალხო კომისრის თანამდებობაზე წამოაყენეს ჩვენმა პროფკავშირებმა, ამხ. შმიდტს მთელი 10 წლის განმავლობაში მათთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა გაბმული.

თათბირის დელეგატები ამხ. შმიდტს ხანგრძლივი ტაშისცემით მიესალმნენ.

ამხ. ტომსკიმ ილაპარაკა საწარმოო თათბირებისა და საკონტროლო კომისიების როლის შესახებ პროფკავშირების მუშაობაში. ამხ. ტომსკიმ დაახასიათა პროფკავშირების საერთო ამოცანები და აღნიშნა, რომ ლენინის განსაზღვრით, პროფკავშირები წარმოადგენენ გადამცემ აპარატს მუშათა კლასის ავანგარდსა და მის პარტიას შორის. მუშათა მასა, თავის მხრით, ფართო ზეგავლენას ახდენს გლეხობაზე. რამდენადაც პროფკავშირები თავიანთ ძირითად ამოცანას ასრულებენ იმდენად ისინი კომუნიზმის სკოლას წარმოადგენენ და უზრუნველჰყოფენ კავშირს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. პროფკავშირების შემდეგი ამოცანა ის არის, რომ მათ თავიანთი მუშაობის სისტემით ჩააბან მუშათა მასა მეურნეობისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. ამხ. ტომსკიმ განსაზღვრა საწარმოო თათბირების როლი პროფმოძრაობის საერთო სისტემაში და სთქვა—საწარმოო თათბირები პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მუშათა კლასის საერთო ეკონომიური მუშაობის ნაწილს შეადგენენ. მუშათა კლასი სოციალიზმს შექმნის ინდუსტრიალიზაციის, ახალი ფაბრიკების და ახალი ქარხნების საშუალებით. პროფკავშირებმა მუშათა კლასი უნდა ჩააბან შენების შემოქმედებაში, ხელი უნდა შეუწყონ მუშათა კლასს, რომ მან შეიგნოს თავისი კლასობრივი ამოცანები. საწარმოო თათბირები მუშათა კლასის ეკონომიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ფორმაა, რომლის საშუალებითაც მუშათა კლასის დარაზმულმა ნაწილმა გავლენა უნდა მოახდინოს მუშათა ჩამორჩენილ ნაწილზე. ამგვარად, საწარმოო თათბირების მთავარი როლი ის არის, რომ აღზარდოს მუშათა ახალი და ჩამორჩენილი ფენები, გაატაროს ისინი პროლეტარულ სკოლაში. საწარმოო თათბირები, ერთის მხრით, თანდათან აბამენ მუშას მეურნეობის მართვა-გამგეობაში, მეორეს მხრით, ამა თუ იმ საწარმოო ღონისძიებათა ფართო განხილვის საშუალებით, ეხმარებიან ჩვენს სამეურნეო მუშაკებს, რომ გამოასწორონ წარმოების ამა თუ ის დეფექტები.

შემდეგ ამხ. ტომსკიმ ილაპარაკა დროებითი საკონტროლო კომისიების როლის შესახებ. დროებითი საკონტროლო კომისიები—ჩვენი წარმოების გამოკვლევის კონტროლის და მეთვალყურეობის ჯანსაღი ფორმაა. საწარმოო თათბირების ავტორიტეტი გაცილებით უფრო დიდია იქ, სადაც არსებობენ საკონტროლო კომისიები. პროფკავშირები კი საკმაო ყურადღებას არ აქცევენ საკონტროლო კომისიების მუშაობას. პროფკავშირები უნდა ეცადონ, რომ საკონტროლო კომისია ყველა საწარმოში დაარსდეს. საკონტროლო კომისია უდიდესი იარაღია იმ მიზნისათვის, რომ მასა სამეურნეო მშენებლობაში ჩაებას და კონტროლი გაეწიოს აშენებლობას. ამავე დროს საკონტროლო კომისიები დიდ ზეგავლენას ახდენენ სამეურნეო აპარატზე ნედლეულისა და წარმოების ყველა პროცესის გაუმჯობესების მხრივ.

ამხ. ტომსკიმ თავისი სიტყვის დასასრულ სთქვა:

პროფკავშირები პასუხს აგებენ საწარმოო თათბირებისა და საკონტროლო კომისიების სწორი და შეუფერხებელი მუშაობისათვის. საწარმოო თათბირები და საკონტროლო კომისიები საუკეთესო ფორმაა მუშათა ახალი კადრების აღსაზრდელად პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების ნიადაგზე. პროფკავშირები კომუნიზმის ნამდვილ სკოლად გადაიქცევიან მხოლოდ მაშინ, თუ შეასრულებენ ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას საწარმოო თათბირებისა და საკონტროლო კომისიების როლის გაძლიერების საქმეში. (ადს).

ამხ. კაშენის საპატიო ყაზახათ არჩევის გამო

ხარკოვი, 20 ნოემბერი. ხარკოვის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს ორგანოში „კრასნაია არმია"-ში დაბეჭდილია ჩერვონის ყაზახთა დივიზიის მეთაურთა და პოლიტგანყოფილების წერილი რედაქციის მიმართ კაშენის საპატიო ყაზახად არჩევის გამო. წერილში ნათქვამია, რომ გაზეთ „ჩერვონა არმია"-ში და „კრასნაია არმია"-ში მიმდინარე წლის აგვისტოში მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ამხ. კაშენი ეწვია დივიზიას. ამ შენიშვნებმა რეაქციონურ ფრანგულ გაზეთებს „მატენ"-ს და „გოლუა"-ს მისცა საბაბი დაეწყოთ კამპანია კაშენის წინააღმდეგ და გაევრცელებიათ ყალბი და შეუსაბამო ხმები იმის შესახებ, რომ ვითომც კაშენი შევიდა წითელი არმიის რიგებში, გაიარა კიდეც განმეორებითი სწავლების ვადა, მიიღო რომელიღაც „ჩინი" და სხვა. დივიზიის მეთაურები და პოლიტიკური განყოფილება აცხადებს, რომ ცალკე წითელ არმიელებისა და მეთაურობის ინიციატივით აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ამხ. კაშენი, რომელიც დივიზიას ეწვია, არჩეული ყოფილიყო საპატიო ყაზახად; ამ იდეას, ბუნებრივია, აღფრთოვანებით შეხვდნენ ყაზახები. მაგრამ დივიზიის მეთაურები და პოლიტიკური განყოფილება ხაზს უსვამს, რომ არც ეს წინადადება, არც კაშენის არჩევა საპატიო ყაზახად, რომელიც მოხდა წითელ არმიელთა ჯგუფის ინიციატივით, არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ოფიციალურ აქტს, ხოლო უმაღლესი ინსტანციების მიერ კი ეს არჩევა არ არის დამტკიცებული. „კრასნაია არმია"-ს რედაქციამ ჯარების უფროს ამხ. საკირისაგან მიიღო შემდეგი განმარტება:

„ამხ. კაშენის არჩევა საპატიო წითელ არმიელად მოხდა მხოლოდ და მხოლოდ წითელ არმიელთა ინიციატივით. ჩვენს მებრძოლს ჩვენ აღვზრდით ყველა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპის მიხედვით. ამხ. კაშენის არჩევა ოფიციალურად არ არის ჩამოყალიბებული და არ იქნება ჩამოყალიბებული არც ერთი ბრძანებით არც დივიზიაში, არც კორპუსში, არც ოლქში და არავითარი ვალდებულობა მას არ ეკისრება. ამიტომ აბსურდული და სავსებით უსაფუძვლოა ის ბრალდება, რომ ვითომც კაშენი ეკუთვნის საბჭოთა კავშირის წითელ არმიას. მისი არჩევა მოხდა მხოლოდ და მხოლოდ წითელ არმიელთა ინიციატივით". (ადს).

ქალის წამებისა და ანტისემიტიზმისთვის

მინსკი, 20 ნოემბერი. ბობრუისკის მაზრაში „წითელ ოქტომბრის" ქარხანაში სამი ზავრაზმელი ოსტატი სისტემატიურად სტანჯავდა მუშა-ქალს ებრაელს ბარშაის: მას ატიტვლებდნენ, წყალს ასხამდნენ ტიტველ ტანზე, სცემდნენ და სხვ. ბარშაიმ იჩივლა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტში, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. მუშა-ქალის წამებას ყველა ხედავდა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა, არც ადმინისტრაცია, არც პარტიის წევრები და კომკავშირელები. ამ წამების შესახებ ცნობები დაიბეჭდა მინსკის გაზეთ „რაბოჩი"-ში. მუშა-ქალის ტანჯვამ ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის მუშათა მასებში ღრმესი აღშფოთება გამოიწვია. ბელორუსიის მრავალი ქალაქიდან მოდის მუშათა კრებებზე მიღებული რეზოლიუციები, რომლებშიაც ხულიგნებისა და ანტისემიტებისთვის სასტიკ სასჯელს მოითხოვენ. ბელორუსიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო შუამდგომლობა აღძრას, რომ მოხსნილ იქნას ქარხნის დირექტორი, რადგან მან დროზე არ მიაქცია ყურადღება ოსტატების ყოფა-ქცევას. პარტიის ბობრუისკის საოლქო კომიტეტის ბიურომ დაადგინა, ერთი კვირის განმავლობაში მოახდინოს პარტიული და კომკავშირული კოლექტივების გადარჩევა და წინადადება მისცეს პროფკავშირთა საოლქო ბიუროს ფრაქციას, რიგს გარეშე მოახდინოს საფაბრიკო კომიტეტის გადარჩევა, ხოლო ქარხნის დირექტორს შეუთითოს, რომ მან ვერ შეაფასა მდგომარეობა ქარხანაში. წინადადება მიეცა სათანადო ორგანოებს, პარტიულ სამართალში მისცენ პარტიის ის წევრები, რომელთაც იცოდნენ მუშა-ქალის წამება და არაფერი მოიმოქმედეს. საოლქო პროფკავშირის ბიუროს ფრაქციას წინადადება მიეცა, პროფკავშირიდან გამოირიცხოს ხსენებული ოსტატები, რომელნიც ამჟამად დაპატიმრებულნი არიან. მათი საქმე საჩვენებელი წესით თვით ქარხანაში გაირჩევა. (ადს).

კრასინელები ბათომში

ბათომი, 20 ნოემბერი. კრასინელების პატივსაცემად აკადემიურ თეატრში გაიმართა საზეიმო კრება. დარბაზმა ვერ დაიტია ყველა მსურველი, რომელთაც უნდოდათ მისალმებოდნენ ექსპედიციის გმირებს, თეატრის მახლობელი ქუჩა სავსე იყო ხალხით. კრასინელების გამოსვლას სცენაზე დარბაზი მხურვალე ხანგრძლივი ტაშით და ოვაციებით შეხვდა.

საზეიმო სხდომა გაიხსნა ამხ. ლევან გამყრელიძის სიტყვით, რომელმაც აღნიშნა ყინულისმჭრელის უდიდესი დამსახურება. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

შემდეგ პროფ. სამოილოვიჩმა გააკეთა მოხსენება ექსპედიციის მუშაობის შესახებ. დიდის ინტერესით მოისმინა კრებამ პროფ. სამოილოვიჩის მოხსენება, რომელსაც ხშირად მხურვალე ტაშით აწყვეტინებდნენ.

პროფ. სამოილოვიჩის შემდეგ გამოვიდა მფრინავი სტრაუბე, რომელმაც კრებას გააცნო ექსპედიციის მფრინავთა შემადგენლობის მუშაობა. ამის შემდეგ კრასინელმა მეზღვაურმა ნიკოლაევმა ექსპედიციის შემადგენლობის სახელით მადლობა უძღვნა ბათომელებს გულთბილი მასპინძლობისათვის. კრასინელები 20 ნოემბერს დილიდანვე შეუდგნენ ბოტანიკური ბაღის, ჩაქვის სახალხო მამულების და ჩაის ფაბრიკის დათვალიერებას. ჩაის ფაბრიკაში პროფ. სამოილოვიჩმა 4 საათზე გააკეთა მოხსენება მუშათა და გლეხთა კრებაზე. საღამოთი პროფ. სამოილოვიჩი და სტრაუბე მოხსენებებით გამოვლენ ბათომის მუშათა კლუბებში. (ადს).

რუსეთი

წითელი ჯვრის ათი წლის თავისათვის

მოსკოვი, 20 ნოემბერი. რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების ათი წლის მუშაობასთან დაკავშირებით სამხედრო-რევოლიუციონურმა საბჭომ გამოაქვეყნა ბრძანება, სადაც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახელით უცხადებს მხურვალე მადლობას წითელ ჯვარს, იმ დახმარებისათვის, რომელსაც იგი ყოველთვის უწევდა მუშურ-გლეხურ წითელდროშოვან არმიას და მოწოდებს სამხედრო მოსამსახურეებს, განამტკიცონ კავშირი წითელ ჯვართან და მიიღონ მის მუშაობაში უახლოესი მონაწილეობა, რადგან მუშურ-გლეხური წითელი არმია და წითელი ჯვარი ემსახურებიან ერთსა და იმავე საქმეს—საბჭოთა კავშირის დაცვას (ადს).

ს. მ. უ. საბჭოს შემადგენლობის შევსება

მოსკოვი, 20 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს ბრძანებაში გამოქვეყნებულია სახალხო კომისართა საბჭოთა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გაერთიანებული სხდომის დადგენილება იმის შესახებ, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ ამხ. კსანდროვი და გინდლინი (ადს).

„ცენტროსოიუზ"-ის წინადადება

მოსკოვი, 20 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის „ცენტროსოიუზ"-ის გამგეობამ წინადადება მისცა სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა ორგანოს გააძლიერონ ღარიბთა და მოჯამაგირეთა შეკავშირება კოოპერაციაში, შეეცადონ უახლოესი ორი წლის განმავლობაში მიაღწიონ ყველა მოჯამაგირის და ღარიბი გლეხის ჩაბმას კოოპერაციაში. ამ ამოცანის მისაღწევად გამოყენებულ უნდა იქნას ღარიბთა კოოპერაციაში შეკავშირებისათვის არსებული ფონდის თანხები. სამომხმარებლო საზოგადოებებმა ამ ფონდის სასარგებლოდ უნდა გადასდონ წმინდა მოგებას 15 პროც., სარაიონო კავშირებმა—5 პროც., საბჭოთა კავშირის და რ. ს. ფ. ს. რ. „ცენტროსოიუზებმა"—3 პროც. სესხი ღარიბ გლეხებს უნდა მიეცეს 3—5 წლის ვადით. იმ ადგილებში, სადაც ჩატარებულია ყველა ღარიბის შეკავშირება კოოპერაციაში, ეს ფონდი უნდა მოხმარდეს ღარიბთა სამეურნეო და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ღარიბებს პირველ რიგში უნდა მიეცეს სამუშაო სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოებში (ადს).

რკინის გზის წარმომადგენელთა ყრილობა

მოსკოვი, 20 ნოემბერი. 22 ნოემბერს გზათა სახალხო კომისარიატში გაიხსნება რკინის გზების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე შემუშავებული იქნება მატარებლების მიმოსვლის ცხრილი შემდეგი პერიოდისთვის (1929 წლის 15 მაისიდან 1930 წლის 15 მაისამდე). ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთის და ლიტვის რკინის გზების წარმომადგენლები.

ა.-კ. ფედერაციაში

აფხაზეთი

ხანძარის ჩაქრობა

სოხუმი, 20 ნოემბერი. უკანასკნელ დღეებში გაჩენილი ხანძარი უკვე ჩაქრობილია. ხანძარი სწრაფად ვრცელდებოდა. იწოდა უმთავრესად ფოთლები, ბალახი და ბუჩქები.

ცეცხლმა უმნიშვნელო ზარალი მიაყენა ტყეს. ყველაზე უფრო დიდი ხანძარი სოფელ ანდრეევკას რაიონში (იწოდა 500 დესეტინა ტყე). 200 გლეხის დახმარებით ჩაქრობილ იქნა სამი დღის განმავლობაში. ცეცხლი ჩაქრეს აგრეთვე წებელდისა და ეშერის რაიონებში.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა ბრძანება გასცა ტყეების დაცვის გაძლიერების შესახებ. გლეხებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ცეცხლის ჩაქრობაში, მადლობა გამოეცხადათ (ადს).

საქართველო

მზადება საბჭოების გადარჩევისათვის

გურჯაანი, 19 ნოემბერი. სამაზრო აღმასკომთან მოეწყო საბჭოების საარჩევნო სამაზრო კომისია, რომელშიაც შედიან სხვადასხვა ორგანიზაციის და გლეხობის წარმომადგენელნი.

საორგანიზაციო განყოფილებამ შეიმუშავა კამპანიის ჩატარების გეგმა. ადგილებზე დაიგზავნა დირექტივები ამომრჩეველთა სიების შედგენის შესახებ და სხვ.

30 ნოემბერს გაიმართება სამაზრო თათბირი სათემო საბჭოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. საანგარიშო კამპანია დაიწყება 1 იანვარს და დამთავრდება 1 თებერვალს. საბჭოების სამაზრო ყრილობა მოწვეული იქნება 10 მარტს (ადს).

უმოქმედო ტრაქტორები

გურჯაანი, 19 ნოემბერი. აღმასკომში მიღებულია ცნობა, რომ მრავალ ადგილში, სათბობი მასალის უქონლობის გამო ტრაქტორები გამცდარია.

აწყურის რაიონში ტრაქტორი გამცდარია წვრილმანი სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო, ვინაიდან ეს ნაწილები ადგილობრივ არ იშოვება.

აგრეთვე არ იშოვება ტრაქტორების წასასმელი ზეთი (ადს).

ს. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

შრომის ნაყოფიერების აწევისა და თვითღირებულების შემცირების შესახებ

ცეკა აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ თვითღირებულების დაკლების პრობლემას განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს და უმაღლესმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა არა ერთხელ გასცეს დირექტივები ამ საკითხზე, სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მრეწველობაში მიღწეული შედეგები დღემდე არ არის დამაკმაყოფილებელი (თვითღირებულება 1927—28 წელში 1926—27 წელთან შედარებით საშუალოდ გაიზარდა 0,6 პროცენტით, მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით: ქვანახშირის მრეწველობაში 18 პროცენტით, თამბაქოს—10,7 პროცენტით, აბრეშუმის ხართავ მრეწველობაში—4,3 პროცენტით, საპნის მრეწველობაში—9,1 პროცენტით და სხვა. თვითღირებულების შემცირება ლითონის მრეწველობაში ჩატარებულია —5 პროც., ტყავის—8.8 პროცენტით, კერვის — 16 პროცენტით და სხვ.).

ამასთან ერთად შრომის ნაყოფიერების გადიდება სამრეწველო-საფინანსო გეგმაში გათვალისწინებული ნორმით არაა შესრულებული და ჩამორჩენილია 1927-28 წ. სამუშაო ხელფასისაგან; შრომის ნაყოფიერება 1927-28 წელში 1926—27 წელთან შედარებით საშუალოდ 3 პროც. დაიცა. მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით შემცირება შეადგენს: ქვანახშირის მრეწველობაში—14,8 პროც., (ხანძრები, მუშების გაცლა თოვლის გაწმენდაზე და სხ.) ხე-ტყის მრეწველობაში —20 პროც. (მუშაობის შეჩერება, ნაკლები დატვირთვა), აბრეშუმის—4,4 პროც., საპნის—2 პროც. და სხვა შრომის ნაყოფიერება ლითონის დამმუშავებელ მრეწველობაში გაიზარდა—15 პროცენტამდე, ტყავის—13 პროც., თამბაქოს—4.6 პროც., მაუდის—11 პროცენტამდე და სხ.).

ღონისძიებათა გატარებას შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის აბრკოლებდა არა მარტო ობიექტიური მიზეზები, რომლებიც დამოკიდებულია თვით მრეწველობაზე (ფასების აწევა ნედლეულზე, თამბაქოზე, აბრეშუმზე; არამედ მრეწველობის შიგნით არსებული ორგანიზაციული და ტეხნიკური ხასიათის ნაკლოვანებებიც.

სამეურნეო (სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ტრესტები) და მომწესრიგებელი ორგანოები (სახიომშ. სადეგმო კომისია) და ცალკე პროფესიონალური ორგანიზაციები სუსტ ყურადღებას აქცევენ თვითღირებულების შემცირების პრობლემას; მრეწველობის მთელ რიგ დარგებს (ხე-ტყის, მაუდის და სხ.) საკმაოდ და თავის დროზე არ აწოდებდნენ ნედლეულს და დამატებით მასალებს, რის გამოც წარმოებაში ადგილი ჰქონდა მუშაობის შეფერხებს და ზოგიერთ წარმოებათა ნაკლებად დატვირთვას; საწარმოო ხარჯების შემცირების დარგში მიღწეული შედეგები არ შეეფერება კაპიტალურ მშენებლობის ხარჯების საერთო თანხას. მიუხედავად განვითარების და ორგანიულ გაუმჯობესებათა პროცესისა, წარმოებაში ჯერ კიდევ არსებობს მთელი საწარმოო-ტეხნიკური მაჩვენებლები (ნედლეულის, სათბობი მასალის ხარჯები, მუშა-ხელის ხარჯები პროდუქციის ერთეულზე) ტრესტებში და წარმოებებში სუსტია საკალკულაციო მუშაობა; დამაკმაყოფილებელი არ არის შრომის უშიშროების დაცვა, საკმაო ბრძოლა არ სწარმოებს სამუშაო დღის გაცდენასთან, სუსტია დისციპლინა, ტეხნიკურ-მომწესრიგებელი მუშაობა წარმოებებში და სხვა. ყოველივე ეს არახელსაყრელ გავლენას ახდენდა შრომის ნაყოფიერების აწევაზე და თვითღირებულების შემცირებაზე.

ცეკა სამეურნეო ორგანოებს და პროფკავშირებს განსაკუთრებით მიუთითებს იმაზე, რომ თვითღირებულების შემცირების ამოცანას, რომელიც დასახული აქვს პარტიას და ხელისუფლებას, მომავალში უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

კერძოდ აუცილებელია:

1. წინადადება მიეცეს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს (მის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მრეწველობის ძირითად დარგებს) დაწყებული მიმდინარე საოპერაციო წლის პირველი კვარტალიდან სისტემად შემოიღოს შემოწმება იმ საკვარტალო, ნახევარწლიურ და წლიურ ცნობებისა, რომლებიც შეეხება სამრეწველო პროდუქციის საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულების (საბოლოო) მდგომარეობას.

2. სახალხო კომისართა საბჭომ უახლოეს ხანში უნდა დააწესოს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის.

ამასთან ერთად სახალხო კომისართა საბჭომ ჯამი უნდა გაუკეთოს თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების მდგომარეობას საქართველოს მთელ მრეწველობაში 1927—28 წელში.

3. დაწყებულ იქნეს სისტემატიური მუშაობა წარმოების რაციონალიზაციის დარგში და ფართოდ იქნას გამოყენებული საორგანიზაციო—ტეხნიკური შესაძლებლობანი; მეტი ყურადღება მიექცეს მომქმედ მოწყობილობათა უკეთ გამოყენებას, შემოღებულ იქნას მიმდინარე რემონტის ხარჯების მტკიცე ნორმები, გაუმჯობესდეს პროცესი, რათა წარმოება სრულიად იქნეს დატვირთული; ახალი საწარმოთა აგება და ძველ საწარმოების კაპიტალური შეკეთება ჩატარდეს იმგვარად, რომ გადიდებულ იქნას საწარმოთა ეფექტი და შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება, გაძლიერდეს მუშაობა პროდუქციის სტანდარტიზაციის და საწარმოთა სპეციალიზაციისათვის;

4. მოწესრიგებულ იქნას საწარმოთათვის ნედლეულის მიწოდების საკითხი, როგორც ვადის, ისე რაოდენობისა და ხარისხის მხრივ; მტკიცედ იქნას დაცული ნედლეულის და მასალების ხარჯვის საზღვრითი ნორმები პროდუქციის ერთეულზე; გაუმჯობესდეს სათბობი მასალის და ენერგიის გამოყენება;

5. გაძლიერდეს მუშაობა უვარგის პროდუქციის მიზეზების გამოსარკვევად და მათ აღმოსაფხვრელად; მიღებულ იქნას ზომები იმ ტეხნიკურ კონტროლის მოწესრიგებისათვის, რომელიც არსებობს ნედლეულის, სათბობის და მასალის ჩაბარების დროს; შემოღებულ იქნას პრემიების სისტემა უვარგისი პროდუქციის ნორმალურზე უმცირესი პროცენტისათვის და შემცირებული ხელფასი—უვარგისი პროდუქციის დიდი პროცენტისათვის (ნორმაზე ზევით).

6. გაუმჯობესდეს მუშა-ხელის გამოყენება შრომის იმ ნორმების შემცირებით, რომელიც იხარჯება ნაწარმოების ერთეულზე; დაწესებულ იქნას ტეხნიკურად აუცილებელი შეფარდება მუშა-ხელის რაოდენობისა და წარმოების საჭიროებებს შორის.

7. ყოველგვარი საშუალებით გაძლიერდეს მუშაობა შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და სამუშაო დღის უფრო სრული გამოყენებისათვის; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბრძოლას მუშაობის გაცდენასთან, მოვალეობისადმი დაუდევრად მოპყრობასთან და სხ.; სისტემად იქნას მიღებული მუშათა საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმა ამგვარ მოვლენათა ბრძოლაში;

8. სამეურნეო ორგანოებმა, პროფკავშირებმა და შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებმა შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით უნდა მიიღონ ზომები მძიმე და მავნებელი სამუშაოების მექანიზაციისათვის; ამასთანავე ამ ღონისძიებებმა უნდა შეამსუბუქონ მუშის შრომის ნაყოფიერების აწევა (ღონისძიებანი უშიშროების ტეხნიკის დარგში, გათბობის, ვენტილიაციის გაუმჯობესება და სხვ.).

9. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკალკულაციო მუშაობის გაუმჯობესებას ტრესტებსა და საწარმოებში და ნორმების დაწესების ტეხნიკის გაუმჯობესებას საწარმოებში; თავის დროზე ხდებოდეს გამომუშავების ნორმების გადასინჯვა, რაიც შეთანხმებული უნდა იყოს საორგანიზაციო და ტეხნიკურ გაუმჯობესებებთან და იმასთან, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდამ გამოიწვიოს, პროდუქციის თვითღირებულების მაქსიმალური შემცირება და უზრუნველჰყოს შრომისა და მუშათა ხელფასის შემდგომი ზრდა:

10. გაძლიერდეს პროფკავშირთა ეკონომიური მუშაობა, მიეცეს მას გეგმიანი და სისტემატიური ხასიათი. გაუმჯობესდეს საწარმოო თათბირების მუშაობა: საწარმოო თათბირების ყურადღება უმთავრესად მიექცეს თვითღირებულების შემცირების საკითხებს (ბრძოლა ზედნადებ ხარჯებთან, ნედლეულის, მუშა-ხელის, მოწყობილობის უკეთესად გამოყენება და სხ.); პროფკავშირთა ფრაქციებმა უნდა ჩაატარონ ფაბრიკა-ქარხნებში კალკულაციის და თვითღირებულების შემცირების საკითხის მასიური შემოწმება; სამეურნეო ორგანოებმა უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ კამპანიების ჩატარებაში.

ცეკა სცნობს, რომ ამ ღონისძიებათა გატარება და ამასთანავე ადმინისტრატიულ-სამმართველო და ზედნადები ხარჯების ნამდვილად შემცირება, საქმის გაჯანსაღებასთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის სისტემატიური განხორციელება წარმოადგენს იმ მინიმალურ პირობებს, რომლითაც შეიძლება წარმატებით იქნას მიღწეული წარმოების რაციონალიზაცია და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

ამასთან ერთად ცეკა ხაზს უსვამს, რომ ძირითადი პირობები, რომელიც უზრუნველჰყოფს ამ ღონისძიებათა გატარებას, არის მუშათა კლასის შეგნებული დამოკიდებულება თვითღირებულების დაკლების პრობლემისადმი და მუშათა ფართო მასების აქტიური მხარის დაჭერა ზემოდ აღნიშნული ღონისძიებების გატარების საქმეში.

ამიტომ ცეკა წინადადებას აძლევს პარტიულ, სამეურნეო ორგანიზაციებს და პროფკავშირთა კომფრაქციებს დაამუშაონ აღნიშნული ღონისძიებანი საწარმოო უჯრედებში, საამქრო და საქარხნო საწარმოო თათბირებზე, თავიანთ წარმოებაში გატარების თვალსაზრისით.

პარტიაში

ტაშკენტის ორგანიზაციის შეცდომები

ტაშკენტი, 20 ნოემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას შუააზიის ბიუროს აღმასრულებელი კომისიის მიერ ამას წინედ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო შეცდომები, რომლებიც ტაშკენტის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობამ დაუშვა მემარჯვენე გადახრასთან და შემარიგებლობასთან ბრძოლის საქმეში.

ტაშკენტის საოლქო კომიტეტის და საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმმა, რომელიც ამის გამო იყო მოწვეული, შეუერთდა აღმასრულებელი კომისიის გადაწყვეტილებებს. მაგრამ ქალაქის რაიკომების პლენუმმა, რომელიც მეორე დღეს იქნა მოწვეული, კიდევ არ მიაქცია ორგანიზაციის ყურადღება მემარჯვენე საფრთხესთან და შემარიგებლობასთან ბრძოლას.

ცენტრალური რაიკომის პლენუმზე, გარდა ამისა, დაშვებულ იქნა მეტად უხეში შეცდომები: სცდილობდნენ პარტიულ პასუხისმგებლობაში მიეცათ ის ორატორები, რომლებიც ტაშკენტის ორგანიზაციის ხელმძღვანელობას აკრიტიკებდნენ, ილაშქრებდნენ ადგილობრივი პრესის წინააღმდეგ იმის გამო, რომ იგი აკრიტიკებდა რაიკომის მოქმედებას.

ამის შემდეგ მეორე დღესვე შესდგა მთელი რიგი უჯრედების კრებები, რომლებმაც დაგმეს შეცდომების მიფუჩეჩებისა და თვითკრიტიკის შევიწროვების ცდები. მიღებულ რეზოლიუციებში უჯრედები მოითხოვენ პარტიულ პასუხისმგებლობაში იქნან მიცემული ის ამხანაგები, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს პარტიის ხაზი თვითკრიტიკაში. უჯრედების კრებები მოუწოდებენ შუა აზიის ყველა პარტორგანიზაციას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ მემარჯვენე საფრთხეს (ადს).

აფხაზეთის პარტიული კონფერენცია

სოხუმი, 20 ნოემბ. დაამთავრა მუშაობა საოლქო პარტკონფერენციამ. არჩეულ იქნა საოლქო კომიტეტი 67 წევრისა და 17 კანდიდატის შემადგენლობით და პარტკოლეგია 5 ამხანაგის შემადგენლობით. სრულიად საქართველოს კონფერენციაზე გასაგზავნად არჩეულ იქნა 8 დელეგატი.

კონფერენციის შემდეგ შესდგა ახლად არჩეული საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 15 კაცისაგან. მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ამასი, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ — ამხ. შარია, სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგედ — ამხ. მელაძე, მუშა-გლეხ ქალთა განყოფილების გამგედ — ამხ. გოგუაძე, გაზეთის რედაქტორად — ამხ. ჯაფარიძე.

მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ

განჯა, 19 ნოემბერი. კომკავშირის ქალაქის აქტივის ფართო კრებამ მოისმინა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) განჯის სამაზრო კომიტეტის მდივნის ამხ. ამირ-ასლანოვის მოხსენება მემარჯვენე საფრთხის შესახებ პარტიასა და კომკავშირში. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ქალაქის აქტივი არწმუნებს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) განჯის სამაზრო კომიტეტს, რომ კომკავშირი, რომელიც ატარებს ლენინის სახელს, ყოველთვის იყო და იქნება პარტიის საიმედო დასაყრდენი, ყოველთვის იდგა და იდგომება მტკიცე ლენინურ პოზიციებზე.

კომკავშირში მემარჯვენე ტენდენციების შემოპარვის შესაძლებლობა სავსებით არ არის აღმოფხვრილი, ამიტომ კომკავშირის ქალაქის აქტივი მოუწოდებს აზერბეიჯანის ლენინური კომკავშირის წევრებს აღიჭურვონ ლენინიზმის იარაღით, დაირაზმონ ლენინური პარტიის ირგვლივ და მიმართონ მახვილი, როგორც ტროცკიზმის მემარცხენე ფრაზეოლოგიის, ისე მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ" (ადს).

ლენრაიონის აქტივზე

ლენინის რაიონის პარტიული აქტივის კრებამ მოისმინა ამხ. ლ. ქართველიშვილის ვრცელი მოხსენება მემარჯვენე საფრთხისა და მასთან ბრძოლის საკითხზე.

მოხსენების ირგვლივ, გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ვარლამოვმა, არეშიძემ, მეშველიანმა, ვაშაკიძემ, ფურცხვანიძემ, შამსოვმა, ებანოიძემ, და ლ. სუხიშვილმა.

ორატორები შეეხენ პარტიის სამეურნეო პოლიტიკის ძირითად საკითხებს და ხაზი გაუსვეს იმას, რომ მხოლოდ მე-15 პარტყრილობის მიერ დასახული გზით (მძიმე ინდუსტრიის განვითარება, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და სხვ.) არის შესაძლებელი სოციალისტური მეურნეობის წარმატებით შენება ჩვენს ქვეყანაში.

ამხ. ლ. სუხიშვილმა აღნიშნა, რომ მემარჯვენე გადახრა განსაკუთრებით მახინჯ სახეს ამიერკავკასიაში ღებულობს, რადგან აქ ნაციონალურ საკითხს ეხლართება.—„თუ დავაკვირდებით ჩვენს ძველ ნაცნობებს, უკლონისტებს—ამბობს ორატორი,—დავინახავთ, რომ ისინი წმინდა წყლის მემარჯვენეები იყვნენ. გარდა ნაციონალური საკითხისა უკლონისტები მიწის რეფორმის საკითხშიაც არ ეთანხმებოდნენ პარტიას. სწორედ ამიტომ მოსალოდნელია ქართული უკლონიზმის ნაშთების გამოცოცხლებაც.

პარტიის ყოველი წევრის მოვალეობაა კარგად შეისწავლონ მემარჯვენე საფრთხე. სამწუხაროდ ზოგიერთი ამხანაგები სულ სხვა შეხედულებისანი არიან. როცა განათლების კომისარიატის უჯრედში პარტიის წევრმა დასვა საკითხი მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის შესახებ მას უპასუხეს: „ჩვენს უჯრედში და დაწესებულებაში გადახრას ადგილი არ აქვს, მაშასადამე არც ამ საკითხის დასმაა საჭირო"-ო. რასაკვირველია ასეთი მიდგომა არ არის სწორი. საკითხი მემარჯვენე საფრთხის შესახებ აუცილებლად ყოველ უჯრედში უნდა დამუშავდეს".

ამხ. ლ. ქართველიშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აქტივი იწონებს ცეკას მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი და მოითხოვს გადამჭრელი ბრძოლის წარმოებას მემარჯვენე განწყობილებებისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ.

კომუჯრედთა ბიუროების გადარჩევა

რაზე მიუთითებდნენ პარტიის წევრები

(ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმ. ვაგონ. შემკ. საზ.)

სავაგონო-სამქროს კომუჯრედის ბიუროს ანგარიში სამ სხდომაზე გაგრძელდა. გამოირკვა, რომ ბიუროს ნაყოფიერი მუშაობა უწარმოებია, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრი რამ არის დარჩენილი.

მოუსმინოთ უჯრედის წევრებს:

ამხ. არდიმანაშვილი: შრომის დაცვის საქმე ვერ არის მოწესრიგებული. ასე გასინჯეთ ჩაქუჩის ტარებიც არა გვაქვს რიგიანი, გვეშინია მუშაობის დროს ჩაქუჩი არ გამივარდეს და ვინმე არ დაშავოს. ვაგონებზე მუშაობა არ არის რაციონალურად დაყენებული, ნაწილები ისეა გაბნეული, რომ მთელი დღე მათ მოგროვებას უნდებით.

ამხ. ლელიაშვილი: თვითკრიტიკის მნიშვნელობა იმაშია, რომ წვრილმანებს შევეხოთ და გამოვასწოროთ, რადგან ხშირად პატარა ნაკლიც დიდ ზარალს გვაყენებს. ამ საკითხებს კომუჯრედი აქცევდა ყურადღებას, მაგრამ მიღებული დადგენილებები სისრულეში არ მოდიოდა.

ამხ. ბერიძე: პოლიტწრეში მეცადინეობა არ მიმდინარეობს წესიერად. მდივნის სიტყვით ორგკომისია და აგიტკომისია დამაკმაყოფილებლად მუშაობს, ჩვენის აზრით კი პარტამზრდელობა ვერ არის კარგად დაყენებული. ბევრს ლაპარაკობენ მემარჯვენე საფრთხეზე, ჩვენს უჯრედში კი არ ვიცით რაში მდგომარეობს ის. ახალმა ბიურომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს.

ამხ. მატინიანცი: ადმინისტრაციის გამტყუნება ყველა დეფექტებში არ იქნება მთლიანად სწორი, რადგან მასალა გვიან მოდის. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა წარმოება 80 პროც. ავწიეთ, ხელფასიც საგრძნობლად გაიზარდა. მუშათა გამოგონებებმა ათეული ათასი მანეთი გვასარგებლა, თითო მუშაც იქნა დაჯილდოვებული გამოგონება-გაუმჯობესებისათვის.

ამხ. ჩერნიშევი: აღნიშნავს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ წარმოების რაციონალიზაციას, და შრომის ნაყოფიერების აწევას, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მუშების ხარჯზე. ადმინისტრაცია კი ხშირად ცდილობს რაციონალიზაცია მუშების ზურგზე გაატაროს.

ამხ. ვოლსკი: ხელოსნების ჯგუფებათ დაყოფა არ არის სწორი. ამიტომაც საჭიროა მალე შევუდგეთ სპეციალობის მიხედვით დაყოფას. მანქანები ბლომათ შევიძინეთ, წარმოება ფართოვდება, ვაგონები ორთქლმავლების სხვა გზებზე გაყვანას, ქარხნის შენობა კი იგივე დარჩა. ჩემის აზრით საჭიროა მალე გადავიდეთ ორცვლათ მუშაობაზე. ბიურომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შეტანას წარმოებაში.

ამხ. სოლოღაშვილი: მასალა ნაკლები გვაქვს, მაგრამ რაცა გვაქვს იმასაც რაციონალურად ვერ ვაყენებთ. სპეცები არ გვასწავლიან, თუ როგორ უნდა მოვიხმაროთ მასალა.

კიდევ ბევრი დეფექტი იქნა აღნიშნული ორატორების მიერ.

დასასრულ ბიუროს მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და არჩეულ იქნა ახალი ბიურო.

დავიცავთ მე-15 პარტყრილობის დადგენილებებს

(სამტრედია)

სამტრედიის ცენტრალურ კომუჯრედის წევრთა და კანდიდატთა კრებაზე მოსმენილი იქნა უჯრედის მდივნის მოხსენება ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ დისციპლინა პარტიის წევრთა შორის ჯერ კიდევ არაა სრულად განმტკიცებული. ლოთობას, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში, მაგრამ მაინც აქვს ადგილი, დირექტივა ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანების შესახებ ჯერ მთლიანად შესრულებული არ არის. ნაკლთა გამოსასწორებლად ახალ ბიუროს მიეცა სათანადო პრაქტიკული მითითებანი.

კრებამ მოისმინა აგრეთვე ინფორმაცია პარტიაში მემარჯვენე გადახრის შესახებ. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ არავითარ გადახრებს უჯრედი არ დაუშვებს და ულმობელ ბრძოლას აწარმოებს მე-15 პარტყრილობის დადგენილებათა დარღვევის წინააღმდეგ.

ხან—კანი.

პროფ. კულიკი გადაარჩინეს

ტაიშეტი, 20 ნოემბერი. ექსპედიციამ, რომელიც გაიგზავნა სამეცნიერო აკადემიის თანამშრომლის ამხ. კულიკის საძებნელად, მიაღწია იმ ადგილს, სადაც მეტეორიტი ჩამოვარდა და სადაც კულიკი იყო. ექსპედიცია დაბრუნდა ამხ. კულიკთან ერთად და წამოიღო მისი ხელსაწყო და მის მიერ შეგროვილი ექსპონატები. ექსპედიციამ გზაში დაჰყო თვენახევარი, გაიარა 1.800 კილომეტრი ტაიგაში. მიდიოდა ჩაობებით, მდინარეებით, ქვეითად, ცხენით და ნავებით. იქ, სადაც კულიკი იყო, ექსპედიციამ ექვსი დღეღამე დაჰყო და გაზომა ის ორმოები, რომლებშიაც მეტეორიტის ნამსხვრევები ჩაიფლა. ექსპედიციის აზრით, ყველაფერი მოწმობს, რომ მეტეორიტი დაეცა სწორედ იმ ადგილას, სადაც ამხ. კულიკი მუშაობდა. ამხ. კულიკი მხნედ იყო, მაგრამ მეტად დასუსტებული აღმოჩნდა. ამხ. კულიკი რამდენსამე დღეს აპირებს კრასნოიარსკში დარჩენას მიმდინარე სამუშაოთა დასასრულებლად და მომავალი სამუშაოების მოსამზადებლად. იანვარში, ლენინგრადში წასვლის შემდეგ, ამხ. კულიკი კვლავ გაემგზავრება იმ ადგილას, სადაც მეტეორიტი დაეცა, სამუშაოთა სახელმძღვანელოდ (ადს).

კომკავშირში

კულტურული ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში

ქუთაისი, 19 ნოემბერი. ქუთაისის კომკავშირული ორგანიზაცია ფართო მუშაობას აწარმოებს კულტურული ლაშქრობის მოსაწყობად.

ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის სამაზრო კომიტეტთან მოეწყო სამაზრო შტაბი, რაიონებში კი—სარაიონო შტაბები.

აღრიცხულია წ.-კ. ყველა უცოდინარი და მიმაგრებულია წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებზე. ასეთი პუნქტი მაზრაში 250-ია. ამ პუნქტებში 25 ნოემბრიდან დაიწყება მეცადინეობა. გამოყოფილია მასწავლებელთა კადრი—300 კაცი. მიცემულია დავალება—1929 წლის პირველ იანვრისთვის სავსებით მოსპობილ იქნას მოსახლეობას შორის წ.-კ. უცოდინარობა.

ა. ლ. კ. კ. სამაზრო კომიტეტთან მოეწყო სექცია ალკოჰოლიზმთან საბრძოლველად. წინადადება მიეცა რაიონებსაც მოაწყონ ასეთივე სექციები.

ეწყობა მასიური შაბათობა, რომლის შემოსავალი საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს ხმარდება.

კვირას, 18 ნოემბერს, მოეწყო დიდი კვირაობა, რომელშიაც უპარტიო ახალგაზრდობამაც მიიღო მონაწილეობა. მუშაობა სწარმოებდა რიონჰესის ყველა დისტანციაზე, ტყვიბულის მაღაროებში და ქუთაისისა და სამტრედიის რკინის გზის დეპოებში.

„მსუბუქი კავალერიის რაზმები" აწყობენ „თავდასხმებს" საწარმოებზე (ადს).

სამხედრო მომზადების საქმე

ამას წინედ ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მიერ მოწვეული იქნა კომკავშირის ორგანიზაციების სამხედრო და ფიზკულტურის მუშაკთა თათბირი, რომელმაც საქართველოს ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციებში სამხედრო სწავლების საქმის მდგომარეობის შესახებ აღნიშნა შემდეგი:

სათანადო გამოცდილების უქონლობის გამო კომკავშირელთა გასამხედროების საქმე პირველ ხანებში ძალზე მოისუსტებდა. სამხედრო-ფიზკულტურულმა კომისიებმა ვერ შესძლეს იმ ამოცანათა მთლიანად გადაჭრა, რომელიც იდგა მათ წინაშე. ნაწილობრივად ეს აიხსნება იმითაც, რომ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ხელი ამ მუშაობაში არ სჩანდა. მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა „სამხედრო ცოდნის წრეები" სპეციალური პროგრამით.

1927 წლის განმავლობაში სამხედრო ცოდნის წრეებში მეცადინეობა დაასრულეს 17.000 კომკავშირელმა და უპარტიო მუშა-ახალგაზრდამ.

წელს განზრახულია სამხედრო ცოდნის წრეების რიცხვის გადიდება და უკეთესი ხელმძღვანელი კადრის შერჩევა ამ წრეებისთვის. წრეების ხელმძღვანელებათ გამოყენებულ იქნებიან უმთავრესად თადარიგში მყოფი მეთაურები და დემობილიზაციაქმნილი წითელარმიელები.

ოთხშაბათს 21 ნოემბერს, ა. წ. საღამოს სრულ 6 საათზე
რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მოწვეულია

საშეფო საზ. აქტივის საერთო საქალაქო კრება

დღის წესრიგი:

1) საშეფო საზოგადოების მორიგი ამოცანები და პარტიის მუშაობა სოფლად.
(მომხსენებელი ამხ. რუბენი).

სხდომაზე მოწვეულია პროფკავშირის აქტივი, დარბაზში შესასვლელი ბილეთების მიღება შეიძლება რაიონულ საშეფო საბჭოებში.

საშეფო საზოგ. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

ბრძოლა მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ

კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესმა მემარჯვენე გადახრა მიიჩნია მთავარ საფრთხედ კომუნისტურ პარტიებში. ამავე დროს კონგრესმა ანალიზი გაუკეთა იმ სოციალურ-ეკონომიურ საფუძველს, რომელიც ჰბადებს მემარჯვენე საფრთხეს კომუნიზმის შიგნით. კაპიტალიზმის მერყევმა სტაბილიზაციამ, სოციალ-დემოკრატიის სიცოცხლის უნარიანობამ და სხვ. გააძლიერა მემარჯვენე განწყობილება, მემარჯვენე გადახრა ცალკე კომპარტიებში. ეს განწყობილებები აშკარად გამოიხატა საფრანგეთში, სადაც ადგილი ჰქონდა ლოზუნგის „კლასი კლასის წინააღმდეგ" უარყოფის ცდას. ინგლისში, სადაც კომპარტიას არ სურს დამოუკიდებლად გამოვიდეს მომავალ არჩევნებზე გერმანიაში, სადაც ჰქადაგებენ წარმოების კონტროლის ლოზუნგს, სადაც არ სურთ გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატიის საგაფიცვო ტაქტიკის წინააღმდეგ, უარჰყოფენ ბრძოლის წარმოებას „მემარცხენე" სოციალ დემოკრატიასთან და სხვ. მემარჯვენე გადახრამ სხვადასხვა ფრონტზე თავი იჩინა სხვა ქვეყნების კომპარტიებშიაც (ჩეხო-სლოვაკია, პოლონეთი, ამერიკა).

როგორც ვხედავთ, კაპიტალისტურ ქვეყნებში მემარჯვენე გადახრას ახასიათებს კომუნიზმის რევოლიუციონური ტაქტიკიდან სოც.-დემოკრატიულ ტაქტიკაზე გადასვლის ტენდენცია, მაშასადამე, ეს ისეთი მიმართულებაა, რომელიც წყალს ასხამს მენშევიზმის წისქვილზე, უკან ახევინებს პარტიას მენშევიზმზე შეტევისაგან და ხელფეხს უბორკავს მას სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლაში.

ამიტომაც „კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიებში მემარჯვენე გადახრის ზრდა კომპარტიის იდეური განადგურებისა და სოციალ-დემოკრატიის დიდად გაძლიერების მომასწავებელი იქნებოდა". (**სტალინი**).

ამავე დროს კონგრესმა აღნიშნა, რომ კომპარტიის რიგებში მოიპოვებიან შემარიგებელი ჯგუფები, რომლებიც ურიგდებიან მემარჯვენე ოპორტუნისტულ ელემენტებს, და ამნაირად, აფუჩეჩებენ და ჰფარავენ ამ გადახრას. შემარიგებლობა აძნელებს მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლას, რითაც სინამდვილეში ხელს უწყობს მის გაფართოებას. კონგრესმა კომპარტიების წინაშე დასვა ამოცანა, გადამჭრელი ბრძოლა აწარმოონ როგორც მემარჯვენე გადახრასთან, ისე შემარიგებლობასთან. კონგრესის დადგენილებაში „საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის ამოცანების" შესახებ ნათქვამია: „კომუნისტურ პარტიებს შიგნით ამჟამად, კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის ნიადაგზე და სოციალ-დემოკრატიის გავლენასთან უშუალოდ დაკავშირებით, გადახრათა მთავარი ხაზი სწორი პოლიტიკური პოზიციიდან მარჯვნივ მიდის. ეს მემარჯვენე გადახრები იმ პირობებში, როდესაც არსებობს შედარებით მტკიცე სოციალ-დემოკრატიული პარტიები, განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს, და მათთან ბრძოლა პირველ რიგში უნდა იქნას დაყენებული, რაც გულისხმობს აგრეთვე სისტემატიურ ბრძოლას მემარჯვენე გადახრებისადმი შემარიგებლობასთანაც".

კონგრესის ეს გადაწყვეტილება ეხება აგრეთვე საკავშირო კომპარტიას. ჩვენი პარტიის შიგნით, ისე, როგორც მთელს კომინტერნში, სრულიად რეალურად არსებობს მემარჯვენე საფრთხე. ჩვენს პარტიაში მემარჯვენე ოპორტიუნისტული ელემენტები ჩნდებიან და პარტიას უდგენენ თავის ანტილენინურ პროგრამას.

მემარჯვენენი აყენებენ შემდეგ დებულებებს.

პირველი — მძიმე ინდუსტრიის განვითარების დღევანდელი ტემპი დამღუპველია, საჭიროა მისი შენელება, საჭიროა თანხების გადანაწილება მსუბუქი მრეწველობის სასარგებლოდ, რაც უზრუნველჰყოფს გლეხობასთან კავშირს.

მეორე — კოლექტივიზაცია და საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა უახლოეს პერიოდში უზრუნველჰყოფს სოფლის მეურნეობის განვითარებას. პარტიის პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დარგში საჭიროა შემოფარგლულ იქნეს ინდივიდუალურ მეურნეობათა გაძლიერების ამოცანით:

მესამე — თავისი შეტევით კულაკურ კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ პარტია ასუსტებს საბჭოთა სახელმწიფოს, ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას. საჭიროა შეტევის შენელება და კულაკებისათვის დათმობის გზაზე დადგომა;

მეოთხე— საგარეო ვაჭრობის დარგში საჭიროა კერძო კაპიტალის საგრძნობლად მიზიდვა, მისთვის ჩვენს მეურნეობაში მონაწილეობის გაადვილება და, მაშასადამე, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შემსუბუქება;

მეხუთე—თვითკრიტიკა მავნებელია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იგი ანგრევს სახელმწიფო აპარატს;

მეექვსე—კავშირი საშუალო გლეხობასთან მუშათა კლასმა უნდა განამტკიცოს მარტოოდენ დათმობების პოლიტიკით. მუდმივ დათმობების პოლიტიკას შეუძლია ბოლო მოუღოს საშუალო გლეხის მერყეობას და განამტკიცოს მისი კავშირი მუშათა კლასთან და სხვა.

ნათქვამიდან ცხადია, რომ მემარჯვენე ელემენტები ცდილობენ უკან დაახევინონ პარტიას სოციალისტური მშენებლობის ლენინური პოლიტიკისაგან, პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებისაგან. ეს ცდები, რომლებიც მიმართულია პროლეტარიატისა და მისი პარტიას განიარაღებისაკენ, სოციალისტური შეტევის შესუსტებისაკენ, ხელს უწყობს კულაკის, ნეპმანის და ბიუროკრატის გაძლიერებას. ამიტომაც მემარჯვენე ელემენტები „საბჭოთა" და საერთაშორისო ბურჟუაზიის აგენტურას წარმოადგენენ კომპარტიის რიგებში. მემარჯვენე გადახრა ჩვენი პარტიისათვის არ წარმოადგენს რაიმე ახალს, რაიმე ისეთს, რომელიც მოულოდნელად გაჩნდა. პარტია ადრეც იცნობდა ამ გადახრას და ებრძოდა მას.

როგორც ვიცით, ჯერ კიდევ მე-14 პარტყრილობამ დაჰგმო მემარჯვენე გადახრა ტროცკისტულ ოპოზიციასთან ერთად და მოუწოდა პარტიას მასთან საბრძოლველად. მე-14 პარტყრილობის დადგენილებაში ნათქვამია:

„ყრილობა გაკიცხვით ჰგმობს გადახრას, რომელიც სოფლის დიფერენციაციის ჯეროვანად შეუფასებლობაში მდგომარეობს, რომელიც ვერ ხედავს კულაკებისა და კაპიტალისტურ ექსპლოატაციის სხვადასხვაგვარ ფორმების გაძლიერებასთან დაკავშირებულ საშიშროებას" და სხვ. მაგრამ მაშინ პარტია უმთავრესად ტროცკიზმს ებრძოდა, რადგანაც ის პარტიისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა.

წვრილ-ბურჟუაზიული გადახრები, მემარჯვენეც და მემარცხენეც, ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიური პირობებიდან გამომდინარეობენ. ჩვენს ეკონომიკაში ჯერ კიდევ სჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობა, ხოლო „წვრილი მეურნეობა წარმოშობს კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას — განუწყვეტლივ, ყოველდღიურად, სტიქიურად" (ლენინი). ახლად წარმოშობილი ბურჟუაზიული ელემენტები და მათთან დაკავშირებული ბურჟუაზიული ინტელიგენცია და ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთები წინააღმდეგობას უწევენ პროლეტარიატის და მის სოციალისტურ მშენებლობას, აწვებიან პროლეტარიატსა და გლეხობის მშრომელ ფენებს და ამ კლასების ცალკე ფენებში წარმოშობენ წვრილბურჟუაზიულ მერყეობას. აი რას სწერდა ლენინი ამის შესახებ: „**ისინი** (წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები) წვრილ - ბურჟუაზიულ სტიქიონივით გარს ერტყმიან პროლეტარიატს, სწამლავენ მას, ხრწნიან მას, პროლეტარიატის შიგნით მუდმივ იწვევენ წვრილ-ბურჟუაზიული უხასიათობის, დაქსაქსულობის და ინდივიდუალიზმის რეციდივს, გატაცებიდან გულგატეხილობაზე გადასვლის რეციდივს". აი ის პირობები, რომელნიც წარმოშობენ გადახრებს ლენინური პოლიტიკისაგან და, მაშასადამე, მემარჯვენე გადახრებსაც ჩვენი პარტიის შიგნით.

სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ პერიოდში მემარჯვენე გადახრის საფრთხე გამწვავდა მთელ რიგ მიზეზების გამო. პარტიას, რომელიც უკანასკნელ წლებში მტკიცედ ატარებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, კაპიტალისტური ელემენტების გადაჭრით განდევნისა და კულაკების წინააღმდეგ გაძლიერებული შეტევის პოლიტიკას, წინ ეღობება კაპიტალისტური ელემენტების სულ უფრო და უფრო ძლიერი წინააღმდეგობა, — ეს კი აუცილებლად იწვევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას (კულაკის გამოლაშქრება პურის დამზადების კამპანიაში, შახტის საქმე და სხვა).

სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ჩქარმა ტემპმა, კაპიტალური მშენებლობის გაძლიერებამ აუცილებლივ გამოიწვიეს სერიოზული სამეურნეო დაბრკოლებანი. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ პურის დამზადების საკითხში მიღებული საგანგებო ღონისძიებები განსაკუთრებით იქ, სადაც მათ გადამახინჯებას ჰქონდა ადგილი, ნაწილობრივ საშუალო გლეხობის ინტერესებსაც შეეხო, რამაც უკმაყოფილება და მერყეობა გამოიწვია საშუალო გლეხობის განსაზღვრულ ნაწილში. გასაგებია, რომ ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ გამოიწვიეს მოსახლეობის წვრილ - ბურჟუაზიულ ფენების მერყეობის გაძლიერება, წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის დაწოლა მუშათა კლასზე და ჩვენი პარტიის ცალკე ფენებზე.

არ შეიძლება დავივიწყოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ პარტია უკანასკნელ წლებში უმთავრესად „მემარცხენე" ოპორტუნიზმს, ტროცკიზმს ებრძოდა, რაც მემარჯვენე ელემენტებმა მათთან ბრძოლის შესუსტებათ ჩასთვალეს. აი ის პირობები, რომლებმაც გაამწვავეს მემარჯვენე გადახრა, რომლებმაც იგი მთავარ საფრთხედ გადააქციეს ჩვენი პარტიისათვის.

ამიტომ საჭიროა პირველ რიგში ჩვენი პარტიის შიგნით დავსძლიოთ მემარჯვენე გადახრა, რომელიც სტოვებს პროლეტარიატის დიქტატურის პოზიციებს წვრილ - ბურჟუაზიულ სტიქიის შეტევის გამო. მემარჯვენე ოპორტუნისტები რევიზიას უკეთებენ ლენინის შემდეგ ძირითად თეზისს: „მხოლოდ მაშინ, როდესაც დამთავრდება ქვეყნის ელექტროფიკაცია, როდესაც მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტისათვის მომზადებული იქნება თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტეხნიკური ბაზა, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ" და ამით ხელს უწყობენ ბურჟუაზიას. „მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ჩვენს პარტიაში იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის შესუსტება და კაპიტალიზმის აღდგენის შანსების გაძლიერების ნიშანი". (**სტალინი**).

როგორია მდგომარეობა ჩვენში? საქართველო ჩამორჩენილია მრეწველობის მხრით. მასში სჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობა. ჩვენს პირობებში კულაკისა, ნეპმანისა და თავადაზნაურობის ნაშთების წინააღმდეგობას სოციალისტური შეტევისადმი ზედ ერთვის მებრძოლი ქართული ნაციონალიზმისა და მენშევიზმის ნაშთების გამოცოცხლების ცდა. ყველაფერი ეს აძლიერებს საქართველოს კომპარტიის შიგნით მემარჯვენე გადახრის საფრთხეს.

მემარჯვენე ოპორტუნისტული სულისკვეთების არსებობა აღნიშნულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელ პლენუმზე. მემარჯვენე გადახრა გამოიხატებოდა იმაში, რომ ცალკე კომუნისტებს არ ჰქონდათ მტკიცე ხაზი ღარიბთა შორის მუშაობაში, ისინი უარჰყოფდნენ სოფლის ფენებად დაყოფას, უარჰყოფდნენ გადამჭრელ ბრძოლას კულაკებთან, უკავშირდებოდნენ მათ და აღვივებდნენ ნაციონალიზმს. მემარჯვენე გადახრა ჩვენს პირობებში ნაციონალისტური გადახრის ხასიათს ღებულობს. ნაციონალისტური სულისკვეთება „გამომჟღავნებაა კულაკობისა და ინტელიგენციის შოვინისტური ელემენტების გავლენისა ჩვენს მერყევ კომუნისტებზე" (**კახიანი**).

ძალიან ხშირად კითხულობენ, თუ ვინ არის პარტიაში მემარჯვენე გადახრის წარმომადგენელი, მართალია, პიროვნებასაც აქვს აქ მნიშვნელობა, მაგრამ მეორეხარისხოვანი. მთავარი—პიროვნება კი არ არის, არამედ ის პირობები, რომლებიც ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრებს ჰბადებს, სწორედ ამ პირობებზე ვლაპარაკობდით ზევით. არის ხალხი, რომელიც აშკარად ატარებს მემარჯვენე პოლიტიკას, არიან ისეთებიც, რომელნიც მემარჯვენე ლიკვიდატორობისადმი შემარიგებლობის გზას ადგიან. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია როგოჟსკო-სიმონოვის რაიონის (მოსკოვში) ყოფ. მდივნის, ამხ. პენკოვის განცხადება მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის ოქტომბრის პლენუმზე: „ინდუსტრიალიზაციის საკითხში მე მქონდა შეცდომები. მე ვფიქრობდი, რომ ჩვენ ზედმეტად მივდივართ წინ ინდუსტრიის განვითარების საქმეში, და რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მსუბუქ ინდუსტრიას: კლასობრივი ბრძოლის საკითხის შესახებ, მე ვფიქრობდი, რომ ჩვენ გადამეტებულათ ვდევნით კერძო ვაჭარს, როგორც ქალაქში, ისე სოფლად". ამხ. პენკოვი კი იბრძოდა, ამტკიცებდა, რომ არავითარი მემარჯვენე საფრთხე არ არსებობსო.

თუ კარგად დავაკვირდებით ზოგიერთ კომუნისტებს, ჩვენი საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიული აპარატის მუშაკებს, თუ ყურადღებით შევამოწმებთ, რამდენად ანხორციელებენ ისინი ჩვენი პარტიის კლასობრივ ხაზს და ლოზუნგებს, უეჭველად ვიპოვით ისეთ პირებს, რომლებიც ამრუდებენ ჩვენს კლასობრივ პოლიტიკას, რომლებიც ბიუროკრატიულად არიან გადაგვარებულნი და იარაღს ყრიან კულაკის, ნეპმანის, ბიუროკრატის და ნაციონალისტის შემოტევის წინაშე.

სწორედ ეს ხალხია მემარჯვენე საფრთხის მატარებელი. ამიტომ პარტიის ამოცანაა გამოააშკარაოს ყოველი მემარჯვენე გადახრა, კერძოდ კი, ნაციონალისტური გადახრა, დასძლიოს მემარჯვენე განწყობილებანი. არ მისცეს მათ ჩამოყალიბების საშუალება, ვინაიდან „გადახრა კიდევ არ არის გარკვეული მიმდინარეობა. გადახრა ისეთი რამეა, რის გამოსწორებაც კიდევ შეიძლება... ეს ხაზგასმით აღნიშვნა, იმისა, რომ აქ ჯერ კიდევ არ არის რაიმე საბოლოოდ ჩამოყალიბებული, რომ საქმე ადვილი გამოსასწორებელია,— არის გაფრთხილება და საკითხის სრულად და პრინციპიალურად დასმის სურვილი". (**ლენინი**). მაგრამ მოიპოვება ხალხი, რომელიც უფრთხის მემარჯვენე გადახრის საკითხის აშკარად დასმას, რომელიც აფუჩეჩებს ამ საფრთხეს, რომელსაც არ სურს ებრძოლოს მას. ასეთი განწყობილება წარმოადგენს შემარიგებლობას, რომელიც ხელს უშლის პარტიულ მასას, გამოიცნოს და გამოააშკარაოს მემარჯვენე საფრთხე, გადავიდეს შეტევაზე მის წინააღმდეგ.

ლენინი ყოველთვის სასტიკად ილაშქრებდა შემარიგებლობის წინააღმდეგ და ააშკარავებდა მას. „სინამდვილეში ისინი (შემარიგებლები) ლიკვიდატორებისა და „ოტზოვისტ"-ების ხელშემწყობნი არიან. ისინი სოციალისტურ მუშაობას კი არ აღრმავებენ, არამედ ამაგრებენ სწორედ ამ მუშაობიდან გადახრებს, ამაგრებენ სწორედ ბოროტებას, დროებით ჩქმალავენ მას, აძნელებენ მისგან განკურნებას".

მემარჯვენე გადახრასთან შემარიგებელი დამოკიდებულება არის არა მარტო დაცვა ამ გადახრის, არამედ მის მხარეზე გადასვლაც. ძალიან საგულისხმოა ამხ. რიუტინის (მოსკოვის „წითელი პრესნის" რაიკომის ყოფილი მდივნის) ისტორია. მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე მან განაცხადა: „ჩვენი შეცდომა ის არის, რომ ჩვენ გვიხდოდა ბუფერად ვყოფილიყავით... გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბუფერიდან ყოველთვის უფრო შორს ხდება დაქანება და შემდეგში ჩვენც ეს დაგვემართა". აი ამიტომ შემარიგებლობასთან ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის განუყრელ ნაწილს შეადგენს.

ამრიგად, მემარჯვენე საფრთხე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულებაა კომპარტიაში, ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ ეს არის ობიექტიური სოციალური ძალების მოქმედების აუცილებელი შედეგი, წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის ზეგავლენის შედეგი:

„**მემარჯვენე საფრთხე სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს, ვინაიდან მისი საფუძველია ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა**" (სტალინი). მას შემდეგ, რაც ტროცკიზმი გამოაშკარავებული, განდევნილია ჩვენი პარტიის რიგებიდან, მთავარ საფრთხეს პარტიის შიგნით წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა და შემარიგებელი დამოკიდებულება მასთან. მიმდინარე პერიოდში პარტიამ თავისი ბასრი მახვილი მიმართა მარჯვნივ. პარტია გადადის შეტევაზე მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ. ჩვენი ამოცანაა— „მივიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ **მემარჯვენე გადახრის საშიშროება პარტიისათვის გახდეს ისევე ნათელი, როგორც ნათელია მისთვის ტროცკისტული საფრთხე**" (სტალინი).

ე. ბედია.

სრ. საქართველოს პროფკავშირების მე-7 ყრილობისათვის

კავშირების მასიური მუშაობა

პროფესიონალური კავშირების მოქმედებაში ძირითადი და ყველაზე უფრო საყურადღებო არის მასიური მუშაობა .უამისოთ პროფესიონალური კავშირები ვერ იქნებიან კომუნიზმის სკოლა.

მასიური მუშაობა არ გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ კავშირების მიერ მოწვეულ კრებებზე დაესწროს ამ წარმოებაში ჩაბმულთა დიდი რიცხვი.ცხადია,კრების მრავალრიცხოვანება დასწრების სრული ნებაყოფლობის პირობებში მასიური მუშაობის ერთ საზომთაგანია. მაგრამ მხოლოთ ამით არ შეიძლება გაიზომოს მასიური მუშაობა.

მასიური მუშაობის მთავარი დანიშნულება არის ის, რომ მუშა-მოსამსახურეთა დიდი რიცხვი ჩაბმულ იქნა აქტიურათ და არსებითად საზოგადოებრივ მუშაობაში. მასიური მუშაობით მუშა-მოსამსახურემ ერთგვარი საზოგადოებრივი აღზრდა უნდა მიიღოს. მასიური მუშაობა ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ მან აღმზრდელობითი როლი ითამაშოს ფართო მასისათვის.

მასიური მუშაობის უმთავრესი ფორმა წარმოებაში არის საერთო კრება. ის წარმოადგენს საზოგადოებრივ მუშაობისათვის მოსამზადებელ პირველ საფეხურს. ამიტომ არის, რომ საერთო კრების შინაარსიანობას და მის ჩატარების ფორმებსაც ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დიდი ყურადღება ექცევა. სრულიად საკავშირო პროფკავშირების უკანასკნელ ყრილობის დადგენილებებში ამ საკითხს განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი.

თუმცა კრებებზე დამსწრეთა რიცხვი გასულ პერიოდთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ ჯერ კიდევ დასწრება ვერ არის საგრძნობი. არის შემთხვევები, როცა კრებებზე დამსწრეთა რიცხვის გასადიდებლათ, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები ხმარობენ ისეთ დაუშვებელ მეთოდს, როგორიც კარების დაკეტვა და იძულებით დატოვება ასეთი მეთოდი უარყოფილია კავშირების მიერ, მაგრამ მას კიდევ აქვს ადგილი. (მაგალითად თბილისის თამბაქოს ქარხანაში და სხვ.).

ზოგიერთი ძირითადი საკავშირო ორგანოების მუშაკების შეხედულებით, მუშებს საერთო კრებები არ აინტერესებთ და ამიტომ ადგილი აქვს კრებებზე მცირე დასწრებას. ეს შეხედულება შემცდარია. მუშებს კრებები აინტერესებს, მაგრამ ისეთი კრებები, რომელიც თავის შინაარსიანობით მართლა საინტერესო არის. ისეთ კრებებზე, სადაც მუშებისათვის საყურადღებო საკითხები სდგას, დასწრების პროცენტი ფრიად მაღალი არის.

კრებების დღიურ წესრიგის შერჩევის მხრივ ჯერ კიდევ ვერ მოხდა სრული გარდატეხა. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. უმეტეს ნაწილათ საერთო კრებებზე ისმება საანგარიშო ხასიათის მოხსენებები და არჩევნები. ეს ორი საკითხი თითქმის ყველა წარმოებებში შეადგენს კრებაზე დასმულ საკითხთა 80%. დანარჩენი საკითხებიც თავის შინაარსიანობით არ არიან მუშებისათვის საინტერესო. მუშების ყოფა-ცხოვრების საკითხების გარჩევა კი საერთო კრებებზე ძვირათ ხდება. ასეთ საკითხებს უშუალოთ საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები არჩევენ და საერთო კრებაზე გადუტანელათ სჭრიან.

კრების მოწვევის წესიც არ არის დამაკმაყოფილებელი. ზოგჯერ ერთი თვის განმავლობაში იწვევენ ხუთ-ექვს კრებას, ზოგჯერ კი რამდენიმე თვე გაივლის და არც ერთი კრება არ ხდება. კრების მოწვევა თანაბრად უნდა ხდებოდეს სხვადასხვა პერიოდში. ხშირი კრებები ინტერესს დაუკარგავს საერთო კრებებს.

ბ. მაჩაიძე
საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე

კრების მთავარ ნაწილათ თითქმის ყველგან გადაქცეულია მოხსენება. კრების ²/₃ დრო მოხსენებას უნდება და კამათისათვის და მუშების მიერ თავის აზრის გამოთქმისათვის ძალიან ცოტა დრო რჩება. გრძელი მოხსენება კრების დამსწრეთ ღალავს და უკარგავს აზრის გამოთქმის ხალისს. ამიტომ არის რომ კრებებზე კამათში გამოსულთა რიცხვი მცირეა. ეს წესი უნდა შეიცვალოს. კრება უნდა იყოს მასების აქტივობის გამომჩენი ორგანიზაცია. ამიტომ უმეტესი დრო უნდა დაეთმოს არა, მოხსენებას, არამედ კამათს.

კრების დადგენილებათა შესრულების საქმე კიდევ ვერ არის დაყენებული სასურველ დონეზე. ეს ნაწილობრივათ აიხსნება იმით, რომ ისეთი დადგენილებები გამოაქვთ, საერთო კრებებზე, რომელთა შესრულების შემოწმება და კანტროლი, ძლიერ ძნელი არის. მაგალითად: „გაღრმავდეს და გაძლიერდეს მუშაობა", „გამოსწორდეს დეფექტები" (რა დეფექტები?!?) და სხვა ამგვარი საერთო ხასიათის — არა კონკრეტული დადგენილებები. ასეთმა დადგენილებამ გამოიწვია ის ხუმრობითი შეფასება, ნამდვილათ კი ფრიად სერიოზული, რომელსაც მუშებში ხშირათ გაიგონებთ.—„მოისმინეს დაადგინეს, კრება დარჩა მხიარული". ზოგიერთი ჩვენი კრებების ეს შეფასება სწორია.

საერთო კრებების მუშაობის გაუმჯობესების საკითხი, როგორც მასიური მუშაობის გამოცოცხლების ერთი მთავარი საშუალება, მოითხოვს მეტ ყურადღებას, ვიდრე აქცევენ მას პროფკავშირები.

პროფმუშაკი.

კავშირების ორგანოების გამოკვლევის პრაქტიკა

პროფესიონალური კავშირების მუშაობაში მრავალი დეფექტები არის. მათი გამოსწორება და მუშაობის სწორათ დაყენება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. ერთი საშუალება ამისათვის, გარდა სისტემატიური ხელმძღვანელობისა, არის გამოკვლევით მუშაობის წარმოება და ამ წესით დეფექტების გამოაშკარავება, მათი გამოსწორების მიზნით.

ამჟამად პროფესიონალურ კავშირებში წარმოებული გამოკვლევითი მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი და მოითხოვს გადასინჯვას.

გამოკვლევათა რიცხვი ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა. ძირითადი საკავშირო ორგანოების საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების გამოკვლევა მეტად ხშირათ სწარმოებს. თითქმის ზედიზედ სწარმოებს გამოკვლევები. ერთი გამოკვლევა თავდება, იწყება მეორე და ასე გაუთავებლად. არის შემთხვევები, როცა გამოკვლევას აწარმოებს ერთ და იმავე დროს სხვადასხვა საკავშირო ორგანო.არის შემთხვევები, რომ საქარხნო კომიტეტი წლის განმავლობაში 10—15-ჯერ იყო გამოკვლეული. ხშირი გამოკვლევა სრულიად უკარგავს მნიშვნელობას გამოკვლევას და მუშაობის გაუმჯობესების მაგივრად, მას არევ-დარევა შეაქვს საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების მუშაობაში. ძირითადი საკავშირო ორგანოები, იმდენათ მიეჩვიენ ამ გამოკვლევებს და იმდენათ ისინი მათ არა ავტორიტეტულათ სთვლიან, რომ გამომკვლეველთა წინადადებებს ცხოვრებაში არ ატარებენ.

ამხ. ვ. ანთიძე
ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების გამგე

ადგილი აქვს სხვადასხვა გამომკვლეველთა ერთი და იგივე საკითხში, საწინააღმდეგო მითითებების მიცემას. ერთი სხვანაირათ აძლევს მითითებას, მეორე სხვანაირათ. საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა არ იციან, რომელი გაატაროს ცხოვრებაში. ის იძულებულია მივიდეს შემდეგ დასკვნამდე—არც ერთი არ შეასრულოს.

გამოკვლევებზე იგზავნებიან ისეთი პირები, რომელნიც კარგად არ იცნობენ გამოკვლევის დარგს, რის გამო ადგილი აქვს არა სწორ მითითებებს, დამახინჯებებს.

თვით გამოკვლევათა შინაარსი, ძალიან ზერელე არის. უმეტეს ნაწილათ გამოკვლევის დროს ყურადღება ექცევა მუშაობის ფორმალურ მხარეებს (კანცელიარიის ქაღალდები). მუშაობის არსებითი მხარე კი უყურადღებოთ რჩება. გამომკვლეველი თავის უცოდინარობით და გამოკვლევის ზერელეთ ჩატარებით, ვერ ამჩნევს მთელ რიგ ფრიად დიდი მნიშვნელობის დეფექტებს. გამომკვლეველი არ სცდილობს მუშებს დაეკითხოს და მათგან გაიგოს საქარხნო კომიტეტების მუშაობის სისუსტე.

საკავშირო პროფსაბჭომ თავის დირექტიულ წერილში მიუთითა კავშირებს გამოკვლევათა მუშაობის გადასინჯვის და გამოსწორების საჭიროებაზე. ჩვენში ეს დირექტივა ჯერ ჯერობით ცხოვრებაში არ ტარდება. პროფკავშირების ამჟამათ მიმდინარე ყრილობამ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება და უნდა შესცვალოს გამოკვლევათა არსებული პრაქტიკა.

ტ. ს—ძე.

საწარმოო თათბირებისადმი გადამახინჯებული მიდგომა

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც საწარმოო და ეკონომიური კომისიები არსებობენ სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მაინც ადგილი აქვს საწარმოო თათბირების დანიშნულებისადმი არა სწორ მიდგომას. ეს შემჩნეულია პროფესიონალურ კავშირებში, როგორც საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებში, ისე სამაზრო განყოფილებებში, სამპროფბიუროებში და ზოგიერთ ცენტრ. გამგეობებშიაც.

რა დანიშნულება აქვს საწარმოო თათბირებს და რისთვის არსებობენ ისინი! მთავარი მათი დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ მისი საშუალებით გატარდეს ფართო მუშაობა მასების საწარმოო გზით აღზრდა, მათი ჩაბმა სამეურნეო მშენებლობაში, მუშებისაგან სამეურნე მუაშკების მომზადება და მათი ხელმძღვანელო მუშაობაზე წამოყენება, და კოლექტიური მუშაობით წარმოების დეფექტების გამოსწორება და გაუმჯობესება.

მთავარი საწარმოო თათბირების მუშაობაში არის მუშათა ფართო მასის წარმოებითი აღზრდა. ამიტომ საწარმოო თათბირი უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს მასიური ორგანიზაცია. მისი მუშაობა ნაყოფიერი იქნება, მხოლოდ მაშინ, თუ ის მასიურ ხასიათს ატარებს და მის მუშაობაში აქტიურად და არა მარტო ფორმალურად არის ჩაბმული მუშების მეტი რიცხვი. ზოგიერთ პროფესიონალური კავშირების ორგანოებს კი საწარმოო თათბირები წარმოუდგენიათ, მხოლოდ ისეთ ორგანოთ, რომლის დანიშნულება არის მარტო წარმოების დეფექტების გამოსწორება და სხვადასხვა გაუმჯობესების შეტანა. ამის და მიხედვით საწარმოო თათბირების მუშაობის მთავარ დადებით მხარეთ სთვლიან იმ ფულადი სარგებლობას, რომელსაც საწარ. თათბირი აძლევს წარმოებას თუ ეს ფულადი სარგებლობა დიდი არის, მათი ფიქრით, საწარმოო თათბირის მუშაობაც დადებითად უნდა შეფასდეს, მიუხედავათ იმისა ადგილი ჰქონდა მის მუშაობაში მასიურობას თუ არა.

საწარმოო თათბირებისადმი ასეთი მიდგომა პირდაპირ დამახინჯება არის იმ ამოცანების რომელიც დავალებული აქვს ამ თათბირებს. ცხადია საწარმოო თათბირის მუშაობა ისეთ ფარგლებში უნდა ტარდებოდეს და ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ მან სარგებლობა მისცეს ჩვენს წარმოებას. მაგრამ ამ სარგებლობასთან ერთად საჭიროა მასიური მუშაობა, მუშების ჩაბმა სხვადასხვა საწარმოო საკითხების გარჩევაში, მათი საწარმოო აღზრდა, მათი ინიციატივის გაშლა და შემოქმედებითი უნარიანობის ამუშავება.

როცა მარტო მატერიალურ სარგებლობას იძლევა საწარმოო თათბირი, ეს, ცხადია, არ არის ცუდი წარმოებისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ წარმოებაში მასიური ეკონომიური მუშაობა სწარმოებს, ამიტომ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს საწარმოო თათბირის მუშაობის მარტო ფულადი სარგებლიანობის თვალსაზრისით ზომვა. რომ მარტო ეკონომიის გულისათვის ეწყობოდეს თათბირი, მაშინ რაღად არის საჭირო მუშების შეწუხება, რეგულიარულად თათბირზე მისი დასწრება და სხვ. ამას მაგივრათ ამოვირჩევდით რამდენიმე კარგი მუშისაგან შემდგარ ბიუროს და ის განიხილავდა თვითეული მუშის საქმიან წინადადებას და გადასცემდა ადმინისტრაციას შესასრულებლად. ალარც ფართო თათბირების მოწვევა იქნებოდა საჭირო და წინადადებაც უფრო ჩქარა გატარდებოდა ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა არა სასარგებლო წინადადებების განსახილველად ვიწრო ბიუროს შექმნა, არამედ ჩვენი მთავარი დანიშნულება არის მუშათა ფართო მასა ჩავაბათ ამ საკითხების განხილვაში და საკითხების განხილვის პროცესს ერთგვარი აღმზრდელობითი ხასიათი მივსცეთ და ავამუშავოთ თვითეული მუშის გონება. ეს კი არ შეიძლება მოხდეს საკითხების ვიწრო ჯგუფში განხილვით. თათბირების დანიშნულების არა სწორათ გაგება, იწვევს ერთ ფრიად უარყოფით მოვლენას, საწარმოო კომისია, რომლის დანიშნულება არის ხელი შეუწყოს საწარმოო თათბირის მუშაობას ისეთ დაყენებას, რომ იქ მუშებმა გამოიჩინონ მეტი აქტივობა, თვით ახშობს ამ აქტივობას. კომისია წინასწარ იხილავს თავის სხდომაზე საკითხებს და შემდეგ დალეჭილი, და როგორც ამხ. ტომსკი ამბობს, „შემწვარი" გადააქვს საწარმოო თათბირზე კომისის დადგენილების დასამტკიცებლად. ასეთი წესი სრულიად სპობს აქტივობას და საწარმოო თათბირი იქცევა უსიცოცხლო ორგანოთ. ასეთი წესი მუშების აქტივობას ძლიერ ზღუდავს.

ბევრი ჩვენი პროფმუშაკი ასეთ უბრალო საკითხებში კიდევ ვერ არის გარკვეული და ამიტომ ადგილი აქვს საწარმოო თათბირების კომისიებით შეცვლა და მასიური ეკონომიური მუშაობის შეზღუდვას.

გ. გ—ძე.

პროფკავშირები და მუშა ქალი

სახალხო მეურნეობის ზრდასთან ერთად საქართველოში იზრდება წარმოებაში ჩაბმულ მუშა-ქალთა რიცხვიც. 1926—27 სამეურნეო წელს თვალსაჩინოდ გაიზარდა იმ ქალთა რიცხვი, რომელნიც ეწევიან დაქირავებულ შრომას. 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის დაქირავებულ შრომას ეწეოდა 24,761 ქალი, 1927 წლის 1 ოქტომბერს—26 851 ზრდა უდრის 2.900-ს ანუ 8,4 პროცენტს. იმ პირთა საერთო რიცხვში, რომელნიც დაქირავებულ შრომას ეწევიან, ქალები შეადგენენ 16,8 პროცენტს.

1927—28 სამეურნეო წელსაც გადიდდა დაქირავებულ შრომაში ჩაბმულ ქალთა რიცხვი.

კავშირის წევრ ქალთა რიცხვი 1926 წლის 1 ოქტობერს შეადგენს 28,694-ს, 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის 33,423-ს. ერთი წლის განმავლობაში ზრდა უდრის 16,4 პროცენტს. პროფკავშირის წევრთა საერთო რიცხვში 1927 წელს ქალები შეადგენენ 20 პროცენტს.

ზემოხსენებული ციფრებიდან სჩანს, რომ წარმოებაში ჩაბმულთა რიცხვსა და პროფკავშირის წევრ ქალთა რიცხვს შორის განსხვავება უდრის 6.752-ს. ესენი არიან უმუშევრები. უმუშევარ ქალთა რიგების შევსება ხდება უმთავრესად არაკვალიფიციური ელემენტებით, რასაც უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაპყრან პროფკავშირებმა და შრომის სახალხო კომისარიატმა.

ცალკე კავშირებსა და შრომის დარგებში ქალთა შრომის გავრცელების შესახებ წარმოდგენას გვაძლევენ შემდეგი ციფრები: ფეიქრები—71 პროცენტი, მკერავები—66 პროცენტი, სახალხო კვება—54,8 პროცენტი, მედსანშრომის კავშირი—46,6 პროცენტი, განათლების მუშაკთა კავშირი—37 პროცენტი, გემოკვების მუშაკთა კავშირი—26,6 პროცენტი, ხელოვნების მუშაკთა კავშირი—21,8 პროცენტი, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი—14 პროცენტი (ციფრები აღებულია 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის).

ზემოხსენებული ციფრებიდან სჩანს, რომ დაქირავებულ შრომაში ჩაბმულ ქალთა ხვედრითი წონა საკმაოდ დიდია, კიდევ უფრო დიდია პროფკავშირის წევრ ქალთა რიცხვი (პირველ შემთხვევაში 16,8 პროცენტი და მეორე შემთხვევაში 20 პროცენტი).

ამხ. ს. გოდაბრელიძე
საქ. პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგე

ეს მდგომარეობა მოითხოვს პროფკავშირთა ხელმძღვანელი ორგანოებისაგან, რომ მათ სათანადო ყურადღება მიაქციონ მუშა-ქალთა კულტურულ და ყოფა-ცხოვრების ხასიათის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენს მუშაკებს ჯერ კიდევ სავსებით არა აქვთ შეთვისებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი—სახელდობრ ქალთა შორის მუშაობის საკითხები პროფკავშირებში, რის გამოც ადგილი აქვს ამ მუშაობის გადამახინჯებას—ქალთა შორის მუშაობის განკერძოებას (ქალთა შორის მუშაობის ცალკე გეგმების შედგენა, მუშა-ქალთა ცალკე კრებები).

თუ ჩვენ ცალკე გამოვყოფთ ეგრედწოდებულ „ქალთა შორის მუშაობას" პროფკავშირებში, ეს იმიტომ, რომ გამოვდივართ იმ პრაქტიკული ამოცანებიდან, რომლებიც დგანან ჩვენს წინაშე, ე. ი. ანგარიშს ვუწევთ იმ პირობებს, რომლებშიაც უხდება მუშაობა ქალს. როგორია ეს პირობები?

უწინარეს ყოვლისა როგორია მუშა-ქალის კვალიფიკაცია—ამ მხრივ ის ჩამორჩება თავის ამხანაგ მამაკაცებს. უმრავლეს შემთხვევაში ქალს წარმოებაში მეორეხარისხოვანი (დამხმარე) ადგილი უჭირავს. ჩვენ არ გვყავს მაღალ კვალიფიკაციის მქონე მუშა-ქალები. აქედან გასაგებია, რომ მუშა-ქალთა მატერიალური მდგომარეობა ბევრად უფრო ცუდია, ვიდრე მუშების.

შემდეგი მომენტი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღების საგნად ხდის მუშა-ქალს და გამოჰყოფს მას საერთო მასიდან, არის ის, რომ მომავალში ქალი უნდა ასრულებდეს ორმაგ ფუნქციას: მან უნდა შეასრულოს როგორც მუშის ფუნქციები (წარმოებაში მონაწილეობა), რის გარეშეც წარმოუდგენელია ქალის ფაქტიური თანასწორუფლებიანობა, ისე დედის ფუნქციები.

ეს ორი ძირითადი მომენტი ავალებს პროფკავშირებს პრაქტიკულად განახორციელონ ის ღონისძიებები, რომლებიც გაუადვილებენ მუშა-ქალებს სათანადო ადგილი დაიჭირონ წარმოებაში ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ თავიანთ ძირითად ფუნქციას—დედობას.

არა ყოველთვის და არა ყველა პროფკავშირის ორგანო უწევს ანგარიშს იმას, თუ რა დიდი აზრი და მნიშვნელობა აქვს დედათა და ბავშვთა დაცვის კანონმდებლობის იმ ნაწილის გატარებას ცხოვრებაში, რომელიც შეეხება ბავშვთა ბაგების გაფართოებას. პროფკავშირის ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს, თუ როგორ უნდა იზრუნონ (დედათა და ბავშთა დაცვისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად (მცირე გამონაკლისის გარდა, კოლექტიური ხელშეკრულებებში წარსულ წელს არ იყო გათვალისწინებული პროცენტული ანარიცხები სამუშაო ხელფასიდან და პროცენტული ანარიცხები ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან ბაგების მოსაწყობად, რაც გათვალისწინებულია საკანონმდებლო დადგენილებებით). ამის ხელშეკრულებით გათვალისწინება კი ისევე საჭიროა, როგორც შეღავათების, სპეც-ტანსაცმელების და სხვ. გათვალისწინება. ესეც ხომ ერთ-ერთი პირობაა მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

პროფკავშირთა მუშაობის შემდეგ მომენტად უნდა ჩაითვალოს ისეთი პირობების შექმნა, რომ მუშებმა საზოგადოებრივ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღონ. პროფკავშირთა სატარიფო-ეკონომიურმა განყოფილებებმა უნდა წამოაყენონ ვისთანაც ჯერ არს საკითხები ისეთი დაწესებულებების შექმნის შესახებ, რომელნიც მუშა-ქალს სახლში მუშაობას შეუმსუბუქებენ. პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-ეკონომიურმა განყოფილებამ ცოტა რამ ამ მიმართულებით უკვე გააკეთა სახალხო კვების დარგში მუშათა კოოპერატივის მუშაობის გამოკვლევის ხაზით.

საჭიროა აგრეთვე, რომ კლუბებმა რაც შეიძლება საჩქაროდ გადასჭრან საკითხი საბავშო ოთახების შესახებ, ურომლისოდაც შეუძლებელია მუშა-ქალების ჩაბმა კლუბის აქტიურ მუშაობაში.

1927 წლის განმავლობაში ქალ. თბილისში დაწინაურებულია 13 მუშა-ქალი. გაძლიერებულია აგრეთვე პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობაში მოსამსახურე ქალთა რიცხვი. საჭიროა, რომ ამ მიმართულებით გააცხოველონ მუშაობა სამაზრო პროფბიუროებმა და სამაზრო განყოფილებებმა.

ამხ. ა. მიქაძე
ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების გამგე

ქალთა შორის მუშაობის ხელმძღვანელობის საკითხი დაკავშირებულია ძირითადი ამოცანის შეთვისების საკითხთან: მუშა ქალთა შორის მუშაობა უნდა მიჩნეულ იქნას საერთო პროფკავშირულ მუშაობად. აქედან გამომდინარეობს ის გარემოება, რომ მუშა ქალთა შორის მუშაობა უნდა სწარმოებდეს მთელი პროფკავშირის აპარატით, სათანადო განყოფილებების მიხედვით.

ამნაირად, ქალთა შორის მუშაობის მთავარი მომენტია აღრიცხვა ყოფა-ცხოვრების იმ პირობებისა, რომლებშიაც იმყოფებოდა და იმყოფება მუშა ქალი და ბრძოლა ამ პირობების მოსპობისათვის ჩვენი სოციალისტური მშენებლობის თანდათანი ზრდის მიხედვით.

სოფიო თალაქვაძე.

დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობა

(საქართველოს პროფკავშირთა ყრილობის გამო)

ჩვენში, საქართველოში, შედარებით დიდი ხანი არ არის, რაც საწარმოო თათბირებს დროებითი საკონტროლო კომისიების ორგანიზაცია დაიწყო. პირველ ხანებში დროებითი საკონტროლო კომისიები საცდელად მოეწყო უფრო მსხვილ წარმოებებთან თბილისში (ამ.-კავკასიის რკინისგზათა მთავარ სახელოსნოები, 26 კომუნარის სახელობის ლითონის ქარხანა, 1-ლი თამბაქოს ფაბრიკა, ფეხსაცმელის და ნაბდის ფაბრიკები, ტრამვაის სახელოსნოები). დღეს დრ. საკონტროლო კომისიები უკვე არსებობს, პროვინციის ბევრ საწარმოში (მარელისის გრეხილი ავეჯეულის ქარხანა, ბორჯომის სატკეჩე ქარხანა, „აზნევტსტროის" სამუშაოები). განზრახულია უახლოეს მომავალში საგრძნობლად გაფართოვება იმ წარმოებებისა, სადაც უნდა დაარსდეს საკონტროლო კომისიები.

როგორც ცნობილია, ძირითადი ამოცანა, რომელსაც საკონტროლო კომისია ისახავს, არის მუშების დაახლოვება წარმოების მმართვა-გამგეობის საქმესთან. ამხ. ტომსკის მიერ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე წამოყენებული აზრი დროებითი საკონტროლო კომისიების შექმნის შესახებ, რომელიც დადასტურებულ იქნა მე-15 პარტკონფერენციის, ხოლო შემდეგ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო მე-7 ყრილობის მიერ,—ეს აზრი არსებითად მდგომარეობს შემდეგში: „შეუძლია თუ არა,—სთქვა ამხ. ტომსკიმ პარტკონფერენციაზე,—დაზგიდან, მანქანიდან საწარმოო თათბირზე მოსულ მუშას შეამოწმოს ამ ციფრების, სვეტების, ცნობების და სხვ. სისწორე? არა, არ შეუძლია". „საჭიროა, რომ საწარმოო თათბირები თავის მხრივ, თავიანთი რწმუნებულების მეშვეობით, ემზადებოდნენ საკითხისთვის. აი ეს მზადება უნდა სწარმოებდეს საკონტროლო კომისიის მეშვეობით".

საკონტროლო კომისიამ, რომელიც მუშათა მასის ორგანოა (დრ. საკონტროლო კომისიას ირჩევენ საწარმოო თათბირზე ან წარმოების კონფერენციაზე), თათბირის დავალების დამუშავების დროს, მუშაობის პროცესში მჭიდრო კავშირი უნდა გააბას მუშათა ფართო მასათან (საცეხო საწარმოო თათბირის, კედლის გაზეთის და სხვ. მეშვეობით).

როცა დროებითი საკონტროლო კომისია საცეხო საწარმოო თათბირების წინასწარ განსახილველად სვამს დავალების თემის ცალკე საკითხებს, იგი ამით მუშათა კოლექტივის გამოცდილების ნიადაგზე არა მარტო ამოწმებს. თავისი პირვანდელი დასკვნების სისწორეს, არამედ აცნობს კიდეც მუშათა მასას იმ საჭირბოროტო და ხშირად მეტად რთულ საწარმოო საკითხებს, რომელთა მოსაგვარებლადაც მუშაობს დროებითი საკონტროლო კომისია. დავალების თემები ჩვეულებრივ ეხებიან რომელსამე განსაზღვრულ საკითხს, რომელიც განსაკუთრებით აინტერესებთ წარმოების მუშათა მასებს ამა თუ იმ მომენტში და რომელიც მეტად მნიშვნელოვანია თვით წარმოებისათვის.

რაც შეეხება დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობას ჩვენს წარმოებაში, უნდა ვსთქვათ, რომ საკონტროლო კომისიების უმრავლესობამ გაამართლა თავისი დანიშნულება. ეს დამტკიცდა სპეციალური გამოკვლევით, რომელიც საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ ჩაატარა იმ მიზნით, რომ საკონტროლო კომისიების მუშაობის პირველი გამოცდილებისათვის ჯამი გაეკეთებია. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ დროებითი საკონტროლო კომისიები ხელს უწყობდნენ მუშათა აქტიობის გადიდებას, საწარმოო თათბირების მუშაობის გაძლიერებას და მრავალი საწარმოო დეფექტის აცილებას.

ასე, მაგალითად, თბილისის ტრამვაის სახელოსნოების დრ. საკონტროლო კომისიამ დაამუშავა შემდეგი საკითხები: შეკვეთების გაიაფება, № 104 ვაგონის თვითღირებულება, საქარხნო ბუხჰალტერიისა და მატერიალური განყოფილების ჯეროვან ნიადაგზე დაყენება. ყველა ამ საკითხის შესახებ გამოტანილ იქნა წარმოებისათვის დიდად მნიშვნელოვანი წინადადებანი.

ამიერ-კავკასიის რკინისგზების მთავარ სახელოსნოში საწარმოო კონფერენციამ დაავალა დროებით საკონტროლო კომისიას, დაემუშავებია დაწუნებული ნაწარმოების მიზეზების, სახელოსნოებისათვის მასალის მიწოდების და როგორც ცეხებს შორის, ისე დამამზადებელი ცეხიდან გადამცემ საწყობებში ნაწარმოების გადაგზავნის საკითხები. საკონტროლო კომისიამ ეს დავალება შეასრულა.

სხვა წარმოებებში დამუშავებულ იქნა თვით ღირებულების, პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების, მოწყობილების და სხვ. საკითხები.

მუშაობის პროცესში დროებითმა საკონტროლო კომისიებმა ზოგიერთ წარმოებაში მტკიცე კავშირი გააბეს მუშათა მასასთან. ამიერ-კავკასიის რკინისგზების მთავარ სახელოსნოში დაწუნებული ნაწარმოების მიზეზების გამორკვევის დროს ცალკე საკითხები ისმებოდა დაინტერესებული ცეხების საწარმოო თათბირებზე; ტრამვაის სახელოსნოში დროებით საკონტროლო კომისიას მოსდიოდა მრავალი განცხადება მუშებისაგან, რომლებიც აღნიშნავდნენ სხვადასხვა დეფექტებს წარმოებაში და ამით თვალსაჩინოდ აადვილებდნენ დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობას.

დროებითი საკონტროლო კომისიების მოწყობის პირველ ხანებში მუშები ერთგვარი უნდობლობით უყურებდნენ მის მუშაობას, მაგრამ ეს დამოკიდებულება ერთბაშად დადებითად შეიცვალა, როგორც კი გამოირკვა დროებითი საკონტროლო კომისიების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები, და დროებითი საკონტროლო კომისიებმა ღირსეული ავტორიტეტი მოიპოვეს მუშებში.

ის ერთგვარი უნდობლობა, რომელსაც პირველ ხანებში ჰქონდა ადგილი, აიხსნება იმით, რომ მუშათა ფართო მასებში საკმაოდ არ ჩატარებულა დროებითი საკონტროლო კომისიების ამოცანების პოპულარიზაცია.

ყველა პროფკავშირს არ ჩაუტარებია ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია დროებითი საკონტროლო კომისიების მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ამიტომ საკონტროლო კომისიების მუშაობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებსა და გამრუდებას. ასეთ გამრუდებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის რკინისგზების მთავარ სახელოსნოში დროებითი საკონტროლო კომისია გადააქციეს მუდმივი შემადგენლობის ორგანოდ. ეს მოხდა საკავშირო პროფსაბჭოების დებულების მიუხედავად და დროებითი საკონტროლო კომისიების იმ ძირითადი ამოცანის წინააღმდეგ, რომ ეს კომისიები უნდა წარმოადგენდნენ საშუალებას მუშათა მასის თანდათან დასაახლოვებლად წარმოების მმართვა-გამგეობის საქმესთან. გასაგებია, რომ თუ დროებითი საკონტროლო კომისია ერთისა და იმავე შემადგენლობით რამდენიმე თვის (ამ შემთხვევაში 8 თვის) განმავლობაში ამუშავებს სხვადასხვა დავალებას და დამუშავების შემდეგ ანგარიშს აბარებს მუშათა მასას, ხოლო მისი შემადგენლობა უცვლელი რჩება, ასეთი კომისია უკვე აღარ შეიძლება დროებითად ჩაითვალოს. ასეთი დროებითი საკონტროლო კომისია უკვე აღარ არის დროებითი, ის იქცევა მუდმივი შემადგენლობის მქონე ორგანოდ და ასეთი დროებითი საკონტროლო კომისიის მთელი მუშაობის შინაარსი საეჭვო ხდება.

დროებითი საკონტროლო კომისიების, როგორც მასიური ეკონომიური მუშაობის ფორმის, ამოცანების შემცდარი გაგების მეტად დამახასიათებელ ილუსტრაციას წარმოადგენს დროებითი საკონტროლო კომისის მუშაობა „აზნევტსტროი"-ს მეოთხე უბანში დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ დროებით საკონტროლო კომისიაში არჩეული შვიდი წევრიდან მუშა აღმოჩნდა მხოლოდ ერთი. დროებითი საკონტროლო კომისიის დანარჩენი წევრები შესდგებოდნენ უმაღლესი ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის და ცენტრალური პროფორგანიზაციების წარმომადგენლობისაგან. დიდი შეცდომა იქნება იმისი მტკიცება, რომ სპეციალისტები არ უნდა იქნენ ჩაბმულნი დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობაში. ისინი მონაწილეობას იღებენ დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობაში როგორც მისი წევრები, როგორც ექსპერტები და როგორც უშუალო თანაშემწენი, მაგრამ უდიდესი შეცდომაა დროებითი საკონტროლო კომისიის ისე მოწყობა, რომ მის შემადგენლობაში მუშები არ შედიოდნენ.

ამ დროებითი საკონტროლო კომისიის შემადგენლობამ განსაზღვრა მისი მუშაობაც. „აზნეფტსტროი"-ს საკონტროლო კომისიის წევრთა გადაჭარბებული აქტივობა აღარ დაკმაყოფილდება პირველი დავალებით (მილების შედუღებისა და მომარაგების საკითხები). თვით დროებითი საკონტროლო კომისიის ინიციატივით დავალებას დაემატა ნავთსადენის მეოთხე უბანში სამუშაოთა მოწყობის და ხაშურში ნავთის გადასაქაჩი სადგურის აგების საკითხები. ამრიგად, დავალებას მიე-

---

დღეს, 21 ნოემბერს, დღის სრულ 12 საათზე შრომის სასახლის მცირე დარბაზში შესდგება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მეექვსე მოწვევის

მეცხრე მორიგი პლენუმის სხდომა

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

ჩვენი მიღწევები და მორიგი ამოცანები

დღეს გაიხსნება სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-7 ყრილობა.

როგორც ვიცით, სოციალისტურ მშენებლობის ჩქარი ტემპით განვითარების პირობებში უხდებოდა საქართველოს პროფკავშირებს მუშაობის წარმოება. ქვეყნის სამეურნეო და კულტურული წინსვლა მუშათა კლასის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს მუშაობის ახალი ფორმების გამონახვის აუცილებლობას, ამის გამო ამ ჩვენს სინამდვილეში მომხდარ ცვლილებებს პროფორგანიზაციებმა დროზე უნდა აუღონ ალღო, რომ არ ჩამორჩენ და სათანადოთ ემსახურონ სოციალისტურ ქვეყნის და მუშათა კლასის ინტერესებს.

ამიტომ საქ. პროფკავშირების მორიგ ყრილობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება.

იგი არსებითად შეუწყობს ხელს ქვეყნის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნას, მუშათა კლასის რიგების ორგანიზაციულად უფრო დარაზმვას და მის კლასიურად გათვითცნობიერების საქმეს.

საქართველოს მუშათა კლასი დიდი ინტერესით ეკიდება მე-7 ყრილობის მოწვევას, მისგან მოელის მომავალ მუშაობისათვის აუცილებელ სახელმძღვანელო მითითებებს; იგი მისგან მოითხოვს მუშაობის ახალ ფორმების გამონახვას სოციალისტურ მშენებლობის გაძლიერებისა და მშრომელთა მასის გაზრდილ ეკონომიურ - კულტურულ მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილებისათვის.

ვფიქრობთ, რომ ეს ამოცანები ნათლად იქნება გაშუქებული ყრილობაზე დამსწრე დელეგატების მიერ და საქ. პროფკავშირების მე-7 ყრილობა მათ წარმატებით გადასწყვეტს.

რა ახასიათებდა გასულ წელიწად ნახევრის განმავლობაში საქ. პროფკავშირების მუშაობას?

საქართველოს პროფკავშირების მუშაობა მე-6 ყრილობიდან დაწყებული უმთავრესად რთულ სამეურნეო პირობებში მიმდინარეობდა. პირობების სირთულე და ჩვენი მეურნეობის განვითარებიდან გამომდინარე ამოცანების სიმრავლე (რეკონსტრუქციის პერიოდის გამო) თავისებურ გავლენას ახდენდა პროფესიონალურ მუშაობაზე.

ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდით გამოწვეულ სამეურნეო სიძნელეთა გადალახვა მუშათა კლასის და მისი ხელმძღვანელი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იდგა, ამიტომ ჩვენი სახალხო მეურნეობა ჩქარი ნაბიჯით დაადგა განვითარების გზას, გაიზარდა წარმოებაში დაბანდებულ მუშათა რიცხვი და საგრძნობლად გაძლიერდა მათი აქტივობა. ყველა ამან უდავოთ ხელი შეუწყო საქართველოს პროლეტარიატის ორგანიზაციულად დარაზმვას. სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმას, ეკონომიურ პირობების საგრძნობლარ გაუმჯობესებას და მუშების კულტურულ მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილების საქმეს. ამიტომ მიღწევები აუცილებლად მნიშვნელოვანი გვაქვს.

საქართველოს პროფკავშირების მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობა აუცილებლად საპატიო ადგილს დაიკავებს ჩვენი პროფმოძრაობის ისტორიაში. მიუხედავად ამისა, ჩვენს მუშაობაში მრავალ ნაკლსა და შეცდომებს აქვთ ადგილი.

დღემდე ვერ ექცევა სათანადო ყურადღება ნაკლოვანებების გამომჟღავნებას, მრავალ შემთხვევაში ჩვენი საკავშირო ორგანოები ვერ ახერხებენ უარყოფით მხარეების შესწავლას, და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ზომების მიღებას; ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილი საკავშირო ორგანოები გამოწრთვნილი პროფ-მუშაკებით, ვერ არის მოწესრიგებული საკავშირო აქტივის აღზრდის საქმე, ლოზუნგი „მასებთან ახლოს" კიდევ მოითხოვს ჩვენგან დიდი მუშაობის ჩატარებას, იგი დღემდის პროფკავშირების მუშაობის ძირითად ლოზუნგათ რჩება, მოიკოჭლებს მასიური მუშაობა პროფორგანიზაციების და განსაკუთრებით საკავშირო მასის სამეურნეო ცხოვრებაში ჩაბმის მხრით: მიუხედავად ამ მიმართულებით საგრძნობი მუშაობის ჩატარებისა, გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ იგი დღემდის მაინც არ არის სათანადოთ მოწესრიგებული. კიდევ ბევრ ნაკლს აქვს ადგილი ჩვენს მუშაობაში. რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება?

გავაღრმავოთ თვითკრიტიკა

პროფორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკების ბრძანებლობას, ქედმაღლობას, საკავშირო მასის განწყობილება - მოთხოვნილებებისადმი უყურადღებობის გამოჩენას და სხვა ბიუროკრატიულ მახინჯ მოვლენებს, სამწუხაროდ, ზოგჯერ დღესაც აქვს ადგილი პროფმუშაკებს შორის. ამას უნდა გამოეცხადოს სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად მტკიცედ უნდა მოვიმარჯვოთ თვითკრიტიკის და ნამდვილ პროლეტარულ საკავშირო დემოკრატიის მჭრელი იარაღი. თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარებას პროფკავშირებში უნაყოფოთ არ ჩაუვლია. ჩვენ გვაქვს თვითკრიტიკის გატარებით მიღებული თვალსაჩინო შედეგები. საკავშირო კომპარტიის მიერ გადმოსროლილი თვითკრიტიკის ლოზუნგი საკმაოდ პოპულიარული შეიქნა მუშათა ფართო ფენებისათვის, მან წაახალისა და მისცა ფართედ გაშლის საშუალება მუშათა აქტივობას, მათ თავისუფლად გამოსვლას თავიანთ ორგანოების ნაკლოვანებათა და ბიუროკრატიულ მოვლენათა გამოსააშკარავებლად.

მეორე მხრით, ზოგიერთ ჩვენს ორგანოებში ადგილი აქვს თვითკრიტიკის ლოზუნგისადმი უყურადღებობას, არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი ორგანოები ნაცვლად თვითკრიტიკის ლოზუნგის მუშათა მასაში ფართედ და ღრმად შეტანისა, მხოლოდ მასზე მსჯელობით განსაზღვრავენ თავიანთ მუშაობას, იგი გამხდარია ზოგიერთ შემთხვევაში ბიუროკრატიულ ლაყბობის საგნათ, კიდევ მეტი, ჩვენ გვაქვს თვითკრიტიკისათვის დასჯის შემაძრწუნებელი შემთხვევებიც, ამას უნდა მოეღოს ბოლო. საქართველოს პროფკავშირების მე-7 ყრილობამ უნდა აღნუსხოს თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარების შედეგები: **თვითკრიტიკის განვითარება და ნაკლოვანებების თავისუფლად მხილება. — საკავშირო მასის სწორად აღზრდის და მისი აქტივობის საუკეთესო საწინდარია. მავნე „კაზიონური" ჩვეულების — „ყველაფერი რიგზეა"-ს, პროფორგანოების მასიდან მოწყვეტის საშიშროების აცილებას და თვითკრიტიკის ქვეიდან ფართედ გაშლის ამოცანების დასახვას უნდა მიექცეს ყრილობის განსაკუთრებული ყურადღება.**

გავაძლიეროთ მასიური მუშაობა

გამოცდილებამ ნათლად დაგვანახვა, რომ ფართე მასების საკავშირო მუშაობაში აქტიურად ჩაბმის გარეშე წარმოუდგენელია ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი პროფმუშაობის წარმოება.

პროფკავშირების ყოველგვარი საქმიანობა, ახალ ღონისძიებათა დასახვა უნდა გახდეს ყველაზე უწინ საკავშირო მასის ფართე მსჯელობის და მის კრიტიკის საგნად, — ამას გვიკარნახებს ჩვენი პროფმუშაობის აუცილებლად გაფართოების, მისი გაღრმავების ინტერესი.

პროფკავშირების მასიურ მუშაობას განვლილ პერიოდში აქვს მიღწევები, გაიზარდა საერთო კრებებზე დასწრების პროცენტი, მასიურ მუშაობის შინაარსის გაუმჯობესების და საერთო კრებებზე გასარჩევ კითხვების შედარებით უკეთესად შერჩევის გამო — მუშა - მოსამსახურეები მეტი ხალისით ესწრებიან საზოგადო კრებებს, საგრძნობლად გაიზარდა პროფორგანოების ქვედა უჯრედების ქსელიც. წინ წაიწია მასიურმა მუშაობამ საწარმოებში და სამქროებში. ასეთია მოკლეთ ჩვენი მიღწევები ამ დარგში.

მიუხედავად ამისა, მუშაობის ამ ნაწილში ნაკლოვანებები მრავალია. საკავშირო ძირითად ორგანოებთან გამოყოფილი კომისიები საწარმოო დაწესებულებებში ვერ იჩენენ სიცოცხლის ნიშან-წყალს და ხშირად მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მასიური მუშაობის დეფექტები პროვინციების პროფორგანიზაციებში. საზოგადო კრების, მასის აქტივობის და პროფაქტივის გამოყოფა - აღზრდის საქმე იქ ძალზე მოიკოჭლებს. **მასიური მუშაობის სწორად აგება, მისი სათანადო დაყენება** საუკეთესო ნიშანია პროფკავშირების წინაშე დასმულ ამოცანების შესამჩნევად გარდაწყვეტის, მის დაუმახინჯებლად გატარების, ამიტომაც ამ მიმართულებით განვლილ მუშაობის შესწავლას, მისი ნამდვილი სახის გამომჟღავნებას და შემჩნეულ ნაკლოვანებათა მოსაგვარებლად საჭირო ღონისძიებების დასახვას, ვფიქრობთ, ყრილობა თავის საქმიან მუშაობის დროს საჭირო ყურადღებას მიაქცევს.

პროფაქტივის აღზრდა ჩვენი ძირითადი ამოცანაა

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ გამოწრთვნილ პროფმუშაკების სიმცირე მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს მუშაობაზე.

ასეთ პირობებში ძნელია ფიქრი საკავშირო მუშაობის გაშლა - გაფართოებაზე. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩვენ მტკიცე ხაზის აღება დაგვჭირდება.

ყოველგვარი ხელის-შემშლელი პირობები თავიდან უნდა იქნეს აცილებული და მუშების და მუშა-ქალების წრიდან გამოსულ მუშაკების ხელმძღვანელ სამუშაოზე წამოყენება ძირითად ამოცანად უნდა ვაღიაროთ. მართალია, დღემდის ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა შესამჩნევია, მაგრამ მიღწეულ შედეგებზე მაინც ვერ შევჩერდებით. **დღეს ჩვენი პროფორგანიზაციების წინაშე მთელი თავის სიმწვავით სდგას საკითხი მომზადებულ პროფმუშაკებით საკავშირო ორგანოების უზრუნველყოფის შესახებ, ამიტომ ამ მხრივ მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება - გაფართოება ჩვენი ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა იქნეს გამოცხადებული.**

პროფმუშაობა სოფლად

სოფლად პროფმუშაობის გაძლიერების საქმეს პროფსაბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშაკთა კავშირის მიერ ამ ბოლო დროს ჩატარებულმა სათემო პროფუჯრედების დეცენტრალიზაციამ საკ. აპარატი საგრძნობლად დაახლოვა საკავშ. მასასთან და ამით ხელი შეუწყო სოფლად მასიური მუშაობის საქმის გაუმჯობესებას. მაგრამ სოფლად მასიური მუშაობას მრავალი დაბრკოლება ეღობება. სასოფლო - სამეურნეო მუშების დაფანტულობა, მათი რიგების ორგანიზაციულად შეუკავშირებლობა, ხელმძღვანელი კადრების სუსტი მომზადება და მრავალი სხვა, აუცილებლად საგრძნობ გავლენას ახდენს საკავშირო მუშაობის გაშლა-გაფართოებაზე.

ამჟამად, როგორც ვიცით, სოფლად პროფმუშაობა სასოფლო - სამეურნეო და ტყის მუშაკთა კავშირის ორგანიზაციის მეშვეობით სწარმოებს. ეს კავშირი რიცხვობრივად ჩქარი ტემპით იზრდება, მის რიგებში დღითი-დღე ებმებან სოფლის მეურნეობაში დაქირავებული მუშა - მოჯამაგირეების ახალი ფენები. მე-15 პარტყრილობამ თავის დადგენილებებში ხაზგასმით აღნიშნა სოფლად დაქირავებული მუშა-მოჯამაგირეთა შორის მუშაობის წარმოების გაძლიერების საჭიროება. მოჯამაგირეთა მეტი შეკავშირება, სასოფლო - სამეურნეო მუშების შრომის დაცვის საკითხების გაბედულად და სწორად გადაწყვეტა, მათ შორის წერა კითხვის უცოდინარობის მოსპობა და მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, — აი, როგორი იყო და არის პარტიის დირექტივები ამ დარგში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სასოფლო სამეურნეო და ტყის მუშაკთა კავშირმა თავისი ენერგიული საქმიანობით ერთგვარი გაუმჯობესება შეიტანა სოფლის პროლეტარიატის დარაზმვის, მისი ეკონომიური და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დარგში. მაგრამ ზემოაღნიშნული ამოცანები მაინც დღემდის გადაუწყვეტავი რჩება, გარკვეული დადგენილებები მოჯამაგირეთა შრომის დაცვის და დაზღვევის შესახებ არ ტარდება საჭიროების და მიხედვით ცხოვრებაში. მოჯამაგირეთა ხელფასის მომატება და სამუშაო დროის განსაზღვრა ისევ რჩება მორიგ ამოცანათ. უდაოა, ამ საქმეში სასოფლო - სამეურნეო და ტყის მუშაკთა კავშირი მარტო თავისი ძალებით ვერაფერს გახდება. აუცილებელია პარტიის დირექტივების მიხედვით **საბჭოთა ორგანოების, შრომის სახ. კომისარიატის, სოფლის საბჭოების და პარტ-ორგანიზაციების ყურადღება კიდევ უფრო გავაძლიეროთ ამ საქმისადმი და სოფლად დაქირავებულ მუშა-მოჯამაგირეთა შორის მუშაობის გაძლიერება ვაღიაროთ ერთ-ერთ ძირითად პრაქტიკულად საზრუნავ საქმეთ.**

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანები სოფლად უნდა დაუკავშირდეს სოფლის პროლეტარულ ფენებიდან (მუშა - მოჯამაგირეებიდან) საჭირო მუშაკთა მომზადების დიდ მნიშვნელოვან საქმეს. ამას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ **სოფლად მომუშავე პროფორგანიზაციები, მათ უნდა გამოყონ მუშა-მოჯამაგირეთა წრეებიდან აქტიური წევრები, აღზარდონ ისინი და ჩააბან სოფლის საზოგადოებრივ სამეურნეო მუშაობაში.**

ეკონომიური მუშაობა

ეკონომიურ მუშაობას პროფმუშაობის საერთო სისტემაში მეტად საპატიო ადგილი უკავია. ნაკლოვანებები მაინც მრავალი გვაქვს ამ დარგში. როგორც ვიცით, კავშირები ხშირად არ აქცევენ ყურადღებას ისეთ საკითხებს, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ წარმოების ცხოვრებისთვის. კაპიტალური აღმშენებლობის, წარმოების რაციონალიზაციის, თვითღირებულების შემცირების, პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების და სხვა მთავარი საკითხები, ხშირად პროფორგანოების გავლენის გარეშე სწყდება.

წვრილმანი საკითხების მოგვარებაში მონაწილეობის მიღება კი ზოგიერთ საკავშირო ძირითად ორგანოს მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს. ეს მეტად უარყოფით გავლენას ახდენს საერთოდ ჩვენს პროფმუშაობაზე და იგი მომავლისათვის აუცილებლად დაძლეულ უნდა იქნეს.

მთავარი საკითხების გარდაწყვეტა მოწესრიგების მიზნით წარმოებულ საქმიანობაში საკავშირო მასა და კერძოდ კი საკავშირო ორგანოები უახლოეს მონაწილეობას უნდა იღებდნენ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები ცდილობენ ხელი შეუშალონ მუშების მონაწილეობას მნიშვნელოვან საკითხების მოწესრიგების დროს. ასეთი ტენდენცია აუცილებლად ძირშივე უნდა აღმოიფხვრას. ხელი უნდა შევუწყოთ საწარმოო თათბირების და საკონტროლო კომისიების მუშაობის გაშლა-გაფართოებას. მხოლოდ საკანტროლო კომისიების და საწარმოო - თათბირების საშუალებით შესაძლო შეიქნება მშრომელთა მასიური კანტროლი წარმოების მუშაობაზე და მუშების ჩაბმა წარმოების მართვა - გამგეობის საქმეში.

მართალია, მიმდინარე წელს საგრძნობლად გაიზარდა როგორც საწარმოო თათბირების სხდომებისა, ისე მათში მონაწილეთა რიცხვი. მაგრამ ეს არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. უნდა ავიღოთ გარკვეული ხაზი საწარმოო თათბირების დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. ყოველი მნიშვნელოვანი წინადადება, რომელსაც შეუძლია წარმოების ჯანსაღ ნიადაგზე დაყენება, დროზე უნდა იქნეს განხორციელებული. საკავშირო ორგანოები უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ ამ მიმართულებით მუშაობის გაშლა - გაფართოებას და ამით რეალურად უნდა განვახორციელოთ მთელი საკავშირო მასის სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმის საქმე.

კულტმუშაობის გაძლიერება

თქმა არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანები კულტურული მუშაობის ამოცანების შესახებ — გადაუდებელია.

პროფორგანიზაციების კულტურულ განმანათლებელ მუშაობას ძირითადი და საჭირბოროტო მნიშვნელობა ეძლევა. ამ დარგში გვაქვს საკმაო შედეგები, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობას ესაჭიროება ძირითადი გარდატეხა.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების და შრომის ნაყოფიერების გაზრდის ინტერესით ნაკარნახევი ამოცანა — მუშათა მასების პროფტეხნიკური განათლების ამაღლების შესახებ, — მიუხედავათ საგრძნობი მიღწევებისა, არ არის სათანადოდ შეგნებული და ცხოვრებაში გატარებული. ჩვენი პროფორგანიზაციები უფრო ბეჯითად უნდა მოეკიდონ ამ საქმეს და სათანადო ორგანოებთან ერთად მეტი ენერგია და საშუალებები უნდა დახარჯონ მის მოსაგვარებლად.

ამასთან არ არის დასამალი ის გარემოება, რომ კავშირების კულტ-განმანათლებელმა მუშაობამ ვერ შესძლო ღრმად და საგრძნობლად შეჭრილიყო მუშათა ფართო მასების შეგნებაში და ყოფა - ცხოვრების საკითხებში. რელიგიური ცრუმორწმუნეობის, ყოფა - ცხოვრების მახინჯი ფორმების და სხვა უკულტურობის აღმოსაფხვრელად წარმოებული ბრძოლის ტემპი არ არის დამაკმაყოფილებელი.

მუშათა კლუბებმა ჯერ კიდევ ვერ აუღეს ალღო მუშათა კულტურულ მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილების საქმეს. მიუხედავად საკლუბო მუშაობის სხვადასხვა სახეების ნაწილობრივი გაუმჯობესებისა, ამ მუშაობას ჯერ კიდევ ვერ დაუინტერესებია საკლუბო მასა და ის არ გამხდარა მისთვის მიმზიდველად. ეს გარემოება, სხვათ შორის, იმით უნდა აიხსნას, რომ დღემდე არა გვყავს მომზადებული კულტმუშაკების საკმაო რიცხვი.

მასის კულტურულ ჯანსაღ ნიადაგზე, მუშების მიმზიდველი გონივრული გართობის მოწყობა. დახავსებულ ყოფა - ცხოვრებასთან ბრძოლა, მუშების პროფ-ტეხნიკურ განათლების ამაღლება, — აი ის საკითხები, რომელთა შესახებ უნდა გამომუშავდეს ყრილობის ავტორიტეტული აზრი.

ბ. მაჩაიძე.

ცა ყოვლის შემცველი ხასიათი, და ბუნებრივია, რომ ასეთი დატვირთვის გამო საკითხებს ისეთი კვალიფიციური (არა მუშური) შემადგენლობაც კი ვერ დაამუშავებდა დამაკმაყოფილებლად, როგორიც იყო „აზნეფტსტროის" დროებითი საკონტროლო კომისიის შემადგენლობა.

ამ მუშაობის შეფასების დროს საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ სამართლიანად აღნიშნა თავის რეზოლიუციაში, რომ „ფაქტიურად „აზნეფტსტროი"-ს სამუშაოებზე დროებითი საკონტროლო კომისია არ არსებობდა. მის მაგივრად არსებობდა ჩვეულებრივი გამომკვლევი კომისია"-ო.

ბევრ სხვა წარმოებაში, თუმცა დროებითი საკონტროლო კომისიების შემადგენლობა შეეფერებოდა მათ ამოცანებს და თვითეული დავალებისათვის ეს შემადგენლობა იცვლებოდა კიდეც, მაგრამ დეფექტებს მაინც ჰქონდა ადგილი. ეს დეფექტები სხვა ხასიათისა იყო. დავალების თემა ხშირად საერთო ხასიათისა იყო და არა კონკრეტული, რის გამოც მეტად ძნელი ხდებოდა დავალების დამუშავება (ტრამვაის სახელოსნოები, მთავარი სახელოსნოები და სხვ.). იყო შემთხვევები, როდესაც დროებით საკონტროლო კომისიებს დავალების ისეთ თემას აძლევდნენ, რომელიც ინტერესს არ წარმოადგენდა მუშათა მასისათვის, არ იყო საჭირბოროტო თემა ამა თუ იმ წარმოებისათვის (მაგალითად, დაწუნებული ნაწარმოების საკითხი თამბაქოს ფაბრიკაში).

ხშირად საკითხის შესწავლაში დროებითი საკონტროლო კომისიის ყველა წევრი არ იღებდა მონაწილეობას. სუსტად ებმებოდნენ მუშაობაში საკონტროლო კომისიის ის წევრები, რომელნიც მუშაობიდან არ იყვნენ განთავისუფლებულნი.

დავალებათა დამუშავების პროცესში ზოგიერთ წარმოებაში მასებთან კავშირი სუსტად იყო გაბმული.

საწარმოო თათბირებზე საანგარიშო მოხსენებების გაკეთებას ხშირად ანდობდნენ კომისიის წევრ-ადმინისტრატორებს (დირექტორს ან მის თანაშემწეს, ინჟინერს), რის გამოც დროებით საკონტროლო კომისიას მუშების თვალში ეკარგებოდა კონტროლისა და ისეთი ორგანოს ხასიათი, რომელმაც უნდა გამოააშკარავოს სამეურნეო ორგანიზაციების სუსტი მხარეები (თამბაქოსა და ფეხსაცმელის ფაბრიკები, ამიერ-კავკასიის რკინის გზების მთავარი სახელოსნოები).

საკონტროლო კომისიების იმ წინადადებათა თვალსაჩინო ნაწილი, რომლებიც მიღებულ იქნენ საწარმოო თათბირების მიერ, უკვე პრაქტიკულად განხორციელებულია სათანადო წარმოებებში. მაგრამ დარჩენილია კიდევ ბევრი წინადადება, რომლებიც სამეურნეო ორგანიზაციებს დღემდე არ განუხორციელებიათ. ამ მხრივ როგორც ქვედა, ისე ცენტრალურმა პროფორგანიზაციებმა უნდა მაქსიმალური სიმტკიცე გამოიჩინონ. საკონტროლო კომისიების მიერ ჩატარებული დიდი და ნაყოფიერი მუშაობა არ შეიძლება დარჩეს და არც უნდა დარჩეს მხოლოდ ქაღალდზე.

საკონტროლო კომისიების მუშაობის პირველ საფეხურზე შემჩნეულ დეფექტებს, რაც აუცილებელია ყოველ ახალ საქმეში, ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ და საკონტროლო კომისიების გაფართოვებული ქსელის ჩატარების დროს ამ დეფექტებს ბოლო მოუღოთ.

ის ჯამი, რომელიც საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობას გაუკეთა, გვიჩვენებს, რომ საკონტროლო კომისიების სახით პროფკავშირებმა შეიძინეს სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის ახალი, **მეტად ძვირფასი იარაღი, ახალი მეთოდი, რომლის მეოხებითაც მასები შეისწავლიან მეურნეობის მართვა-გამგეობის საქმეს და რომლის საშუალებითაც ამ მეურნეობისათვის მომზადდება პროლეტარული მმართველი შემადგენლობა.**

საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობა, რომელიც დღეს იხსნება, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუხვევს ჩვენი მასიური ეკონომიური მუშაობის ამ დიდსა და სერიოზულ საკითხს და, ეჭვს გარეშეა, თავის გადამჭრელ სიტყვას იტყვის დროებითი საკონტროლო კომისიების შემდგომი მუშაობის შესახებ.

ა. ეირანოვი.

საქართველოს პროფსაბჭოს საქმიანობა

საქართველოს პროფკავშირთა მეექვსე ყრილობის შემდეგ წელიწადნახევარმა გაიარა. ამ ხნის განმავლობაში სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და მუშათა ფართო მასების აქტივობის ზრდის გამო, პროფესიონალურ მოძრაობამ საქართველოში მთელ რიგ წარმატებებს მიაღწია, პროფკავშირებში დარაზმულ მშრომელთა რიგები გაიზარდა და ორგანიზაციულად განმტკიცდა. გაიზარდა პროფკავშირების მონაწილეობა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

პროფკავშირთა წევრების სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმის ძველ ნაცად ფორმების განვითარებასთან და გაუმჯობესებასთან ერთად გამოყენებული იქნა ახალი ფორმებიც.

ხარისხითაც და რაოდენობითაც გაუმჯობესდა მუშაობა პროფკავშირთა წევრების კულტურულ - საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მრეწველობის ნივთიერ - ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებამ, ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირებამ და შრომის ნაყოფიერების ზრდამ პროფესიონალურ კავშირებს საშუალება მისცა გაედიდებია ხელფასი მუშა - მოსამსახურეთა მთელ რიგ ჯგუფებისათვის, რომელნიც ამ მხრივ ჩამორჩენილნი იყვნენ. ამასთანავე მოხდა სამუშაო ხელფასის საერთო გადიდება.

ასეთია პროფმოძრაობის საერთო მიღწევების სურათი საანგარიშო ხნის განმავლობაში.

როგორია პროფმუშაობა ცალკე დარგების მიხედვით?

საორგანიზაციო მუშაობა

საქ. პროფსაბჭოს მუშაობა საორგანიზაციო დარგში იქითკენ იყო მიმართული, რომ უფრო მეტათ განევითარებია და გაეღრმავებია მასიური მუშაობა და უფრო მეტათ გაეშალა ფართო საკავშირო დემოკრატია და თვითკრიტიკა. ამის მიხედვით პროფსაბჭო ცდილობდა საკავშირო აპარატი ისე აეგო, რომ იგი უფრო დაეახლოვებია საკავშირო მასასთან. ამავე დროს სწარმოებდა მუშაობა საკავშირო აქტივის მოსამზადებლად. ძირითად პროფუჯრედებთან ცოცხალი კავშირისა და ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად. ამ მუშაობის მეოხებით საკავშირო მასის აქტივობა შესამჩნევად გაიზარდა, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობდა თვითკრიტიკის ლოზუნგი.

წევრთა რაოდენობა

1927 წლის 1-ლი აპრილისათვის საქ. პროფკავშირებში გაერთიანებული იყო 160.245 წევრი. 1928 წლის 1-ლი აპრილისათვის წევრთა რიცხვი გაიზარდა 180.451 კაცამდი, ე. ი. 12,6 პროცენტით. ზრდა გამოწვეული იყო, როგორც გაქირავებული მუშა ხელის რაოდენობის გადიდებით, ისე შეუკავშირებელ მშრომელთა ჩაბმით პროფკავშირებში. ზრდის უდიდეს პროცენტს იძლევა აღმშენებლობა (32,6 პროც.) და მრეწველობა (12,4 პროც.).

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ ადმინისტრატიული მმართველობითი შემცირებისა და დაწესებულებების მუშაობის რაციონალიზაციის გამო, სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეთა რაოდენობა შემცირებულია 0,4 პროცენტით.

წარმოებაში ახლად ჩაბმულ მუშების უმრავლესობას შეადგენს გლეხობა, რომელიც მიწის სივიწროვის გამო იძულებულია დაქირავებითი შრომას მიმართოს. დაქირავებულ მუშა ხელის ზრდის მეორე წყაროს წარმოადგენს მოზარდი ახალგაზრდობა, რომელიც შვიდწლედებისა და ცხრაწლედების დამთავრების შემდეგ სოფლებიდან სამუშაოს საძებრათ მიდის ქალაქებში. დაქირავებულ მუშა ხელის შევსების მესამე წყაროს წარმოადგენენ ხელოსან-შინა-მრეწველნი და წვრილი ვაჭრები, რომელნიც სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის გაძლიერების გამო, უმუშევრათ რჩებიან.

უმუშევრობა

პროფკავშირში გაერთიანებულ უმუშევართა რიცხვი 27 წლის 1-ლ აპრილისათვის შეადგენდა 26.508 კაცს, ხოლო 1928 1-ლ აპრილისათვის 37.240. ზრდა უდრის 40,5 პროცენტს. უმუშევრობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი წარ.-დაწესებულებებში მუშა-ხელის ხშირი ცვალებადობაა. უმუშევრობის ხანგრძლივობა უმუშევართა 32 პროცენტისათვის სამ თვეს არ აღემატება. პროფკავშირები ხშირათ იღებენ ისეთ პირებს, რომელნიც შემთხვევით ხვდებოდენ სამუშაოზე და შემდეგ უმუშევართა რიგებში გადადიოდენ, საალმშენებლო მუშაობა, განსაკუთრებით, ელექტროფიკაციის დარგში, დიდ ძალ გლეხობას იზიდავდა. ამა თუ იმ სამუშაოს დამთავრების შემდეგ გლეხები სხვა რაიონში აღარ გადიოდენ და ადგილობრივ რჩებოდენ. ეს გლეხები, როგორც პროფესიონალურ კავშირში მიღებულნი, უმუშევართა მტკიცე კადრს ქმნიან. ასე მოხდა მაგ. ზაჰესის სამუშაოების ლიკვიდაციის შემდეგ.

მრეწველობაში უმუშევრობის ზრდა უდრის 37,1 პროც.-ს, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო შავი ქვის ამოღების შემცირებით. სამთამადნო კავშირში უმუშევართა რიცხვი 1927 წლის 1-ლი აპრილისათვის უდრიდა 2.033 კაცს, ხოლო 28 წლის 1-ლი აპრილისათვის 4376 კაცს. სხვა სამრეწველო ჯგუფებში უმუშევრობა უმნიშვნელო ზრდას იძლევა (2,1 პროცენტს). უკანასკნელ დროს მდგომარეობა სამთამადნო მუშათა პროფკავშირის ხაზითაც გაუმჯობესდა. ჭიათურის კონცესიის ლიკვიდაციის შემდეგ დაარსებულმა შავი ქვის მრეწველობის ტრესტმა მუშაობა იმდენათ გააფართოვა, რომ ა.-წ. 1-ლი აგვისტოსთვის უმუშევართა რიცხვი 3.393 კაცამდე შეამცირა. ინდუსტრიალურ კავშირების უმუშევართა უმეტესობას არაკვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური მუშები წარმოადგენენ. ტრანსპორტისა და ფ.-ტელ. მუშაკთა კავშირში უმუშევართა რიცხვი 3.042 კაციდან 5.152 კაცამდე გაიზარდა (69,4 პროც.), რაც გამოწვეულია უმთავრესად რკინის გზაზე მრავალი დიდი სარემონტო სამუშაოების დამთავრებით და ფ.-ტელეგრაფის აპარატის რაციონალიზაციით. დაწესებულებათა აპარატის რაციონალიზაციამ გამოიწვია აგრეთვე უმუშევართა რიცხვის გადიდება სახელმწიფო - საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ჯგუფში 8.286-დან 11.339-მდე. (36,8 პროც.).

მასიური მუშაობა

პროფკავშირთა აპარატის საკავშირო მასასთან დასაახლოვებლად ჩატარ. და ამ აპარატის დეცენტრალიზაცია და მთელ რიგ წარმოება - დაწესებულებებში მოეწყო ახალი საკავშირო უჯრედები. ამის გამო საანგარიშო პერიოდში ფაბქარხადგილკომების რაოდენობა გაიზარდა 1.319-დან 1.465-მდე, პროფრწმუნებულთა — 804-დან 909-მდე, ხოლო ძირითად საკავშირო ორგანიზაციებთან არსებულ სხვადასხვა კომისიების რიცხვი 3580-დან 4377-მდე. ძირითად საკავშირო უჯრედების ზრდამ გამოიწვია პროფაქტივის გადიდება. თუ 1927 წლის 1-ლ იანვრისათვის აქტივი შეადგენდა 19.502 კაცს, 1928 წ. 1-ლ იანვრისათვის იგი უდრიდა 25.815 (32.4 პროც.) აქტივიდან მუშები შეადგენენ 12.086 (46,8 პროც.) აქტივში კომპარტიის წევრების კანდიდატებისა და კომკავშირლების რაოდენობა უდრის — 10.339 კაცს (40,0 პროც.). რაოდენობით აქტივი შესამჩნევად გადიდდა, მაგრამ სათანადო პროფესიონალური მომზადების უქონლობის გამო, თვისებით მეტათ დაბალ დონეზე სდგას. აქტივის ერთი ნაწილი სუსტათ იცნობს პროფმოძრაობის დებულებებსა და ძირითად დირექტივებს. მის მომზადებას ზოგჯერ აბრკოლებს აქტივის წევრთა შორის მუშაობის არათანაბარი განაწილება. აქტივის შემადგენლობის მუდმივი ცვალებადობა და ცენტრალურ გამგეობათა და სამაზრო განყოფილებათა სუსტი ხელმძღვანელობა აქტივის მუშაობაზე.

თვითკრიტიკის გატარებამ, საარჩევნო კამპანიის ჩატარების ტეხნიკის შეცვლამ, გაადიდა საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა რიცხვი და გააძლიერა საკავშირო მასის აქტივობა. ფაბქარხადგილკომის უკანასკნელ გადარჩევის დროს საარჩევნო კრებებს დაესწრო მუშა - მოსამსახურეთა 63,3 პროც. კამათში მონაწილეთა 76 პროცენტს შეადგენდენ კავშირის ჩვეულებრივი წევრები. პროფკავშირის წევრთა აქტივობის ზრდის დამახასიათებელია პირველი და მეორე საინდუსტრიალიზაციო სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩატარება, რაც წარმოადგენს პროფსაბჭოს მიერ წინასწარ ჩატარებულ დიდ საორგანიზაციო მუშაობის შედეგს. თბილისში ინდუსტრიალიზაციის პირველ სესხზე ხელი მოაწერა მუშა-მოსამსახურეთა 70,2 პროცენტმა, პროვინციაში 60,8 პროცენტმა. მეორე სესხზე ხელის მოწერამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როგორც ხელის მომწერთა რაოდენობის, ისე საერთო ხელის მოწერის თანხის მხრივაც.

მიმდინარე წლამდე კოოპერაციაში კავშირის წევრთა ჩაბმა დამაკმაყოფილებელი არ იყო. კოოპერაციაში ჩაბმული აღმოჩნდა 76.585 კაცი, ე. ი. მთელი საკავშირო მასის 47,3 პროც. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებების მიღების შემდეგ, კოოპერაციაში ჩაბმულ იქნა თითქმის მთელი დაქირავებული მუშა - ხელი. 1927 წლის ზაფხულში მუშკოოპის მიერ პროფორგანიზაციებთან ერთად ჩატარებულმა მიტინგ - გამოძახილმა უმნიშვნელო შედეგები მოგვცა, რაც აიხსნება პროფორგანოების უყურადღებობით ამ საკითხისადმი.

მიღწევები მასიურ მუშაობის დარგში ყველა საკავშირო ორგანიზაციას არ ახასიათებს. მთელ რიგ ძირითად ორგანიზაციებს განსაკუთრებით სამაზრო ქალაქებსა და სოფლებში მასიური მუშაობა ან სრულებით არ უწარმოებიათ, ან ძალიან სუსტათ, რაც აიხსნება პროფაქტივის მომზადების დაბალი დონით, პროფდემოკრატიის და თვითკრიტიკის ლოზუნგის არასაკმაო გატარებით. ხშირათ ისეთი საკითხები, რომლებიც მომუშავეთა მატერიალურ, ყოფა - ცხოვრების და საწარმოო ინტერესებს შეეხება, ირჩეოდა საზოგადო კრებების განხილვისა და სანქციის გარეშე. უკანასკნელ ხანებში შესამჩნევი გარდატეხა მოხდა, უმთავრესად, თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარების გამო. პროფკავშირის წევრები უფრო აქტიურათ გამოდიან ადმინისტრაციისა და საკავშირო ორგანოების კრიტიკით. თვითკრიტიკის გატარებას წინ აღუდგა სამეურნეო მუშაკთა და პროფმუშაკთა ერთი ნაწილი, საქართველოს პროფსაბჭომ ასეთი მოვლენების აღსაკვეთად სასტიკი ზომები მიიღო.

მუშათა დაწინაურება

1928 წლამდე საკმაო ყურადღება არ ექცეოდა მუშების დაწინაურებას. პროფორგანოების მიერ არ იყო აღრიცხული ის თანამდებობები, რომლებზედაც შეიძლებოდა მუშების დაწინაურება. დაწინაურება ატარებდა შემთხვევითი ხასიათს და ხდებოდა პროფორგანოთა მონაწილეობის გარეშე. დასაწინაურებელ მუშებს შორის არ სწარმოებდა წინასწარი მუშაობა მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ ნაკლის გამოსასწორებლად პროფსაბჭომ მიიღო ყოველგვარი ზომები და მიმდინარე წლის ზაფხულში მოიწვია დაწინაურებულთა სპეციალური თათბირი, ამ თათბირის მუშაობის შედეგების მიხედვით, პროფორგანიზაციებს მიეცა სათანადო დირექტივები. 1927 წ. ადმინისტრატიულ სამეურნეო თანამდებობაზე დაწინაურებულ იქნა 143 კაცი, 1928 წლის 1-ლ ოქტომბრამდე 132 კაცი.

მუშაობა ქალთა შორის

1927 წლის 1-ლი აპრილისათვის კავშირის წევრი ქალები შეადგენდენ 32.434, 1928 წ. 1-ლი აპრილისათვის 36.440, ზრდა უდრის (12,4 პროც.). ქალთა შორის მუშაობის გასაცხოველებლად იმ კავშირების ცენტრალურმა გამგეობებმა, სადაც ქალების რაოდენობა დიდია სამუშაოთ გამოჰყვეს ცალკე სპეციალური მომუშავე ქალები ახალგაზრდათა შორის მუშაობის საწარმოებლათაც პროფორგანიზაციებს გამოყოფილი ყავთ სპეციალური მომუშავენი, უნდა ითქვას, რომ სპეციალურ მომუშავეების გამოყოფამ ქალთა და ახალგაზრდათა შორის მუშაობის საწარმოებლად შეანელა პროფორგანოების ყურადღება აღნიშნული ჯგუფების მიმართ. პროფსაბჭომ ამის გამო საკავშირო ორგანოებს მისცა დირექტივა შეიტანონ ქალთა და ახალგაზრდათა შორის მუშაობის საკითხები პროფმუშაობის საერთო სისტემაში.

სექციათა მუშაობა

საანგარიშო პერიოდში გამოცოცხლება დაეტყო პროფკავშირებთან არსებულ სექციების მუშაობასაც. განსაკუთრებით ეს ითქმის ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციაზე, რომელიც ამჟამად აერთიანებს 2.218 კაცს. სექციების მუშაობის მთავარი ნაკლი ის არის, რომ ისინი ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ საწარმოო და ეკონომიურ თათბირებში, რაც ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ სექციების მუშაობას პროფკავშირები სუსტათ ხელმძღვანელობდენ. თვით სექციებში ცალკე წარმოებების მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოდიოდენ სამეურნეო მუშაკები, რაც სპეციალისტებს საშუალებას აძლევდა (აზრთა გაცვლა-გამოცვლით) დაემუშავებიათ მთელი რიგი წინადადებები წარმოებების მუშაობის გასაუმჯობესებლად. სექციებმა ჩაატარეს აგრეთვე მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციების ტეხნიკური გამოკვლევა. სპეციალისტთა მიღება-დათხოვნის და გადაყვანის საკითხების მოსაწესრიგებლად გამომუშავებულ იქნა ღონისძიებები. ყურადღება მიექცა აგრეთვე სტაჟის მიღების წესიერად დაყენებას და უმაღლეს სასწავლებლის კურსდამთავრებულ სპეციალისტთა გამოყენებას წარმოებებში.

პროლეტ. სტუდენტთა ცენტრალური ბიურო

პროლეტ. სტუდენტთა ცენტრალური ბიურო ამჟამად აერთიანებს 14.970 მოსწავლეს. აქედან პროფკავშირის წევრებათ ირიცხება 7.988 ე. ი. 53,2 პროც. საანგარიშო პერიოდში სტუდენტთა ცენტრ. ბიუროს ერთ-ერთ საზრუნავ საგანს შეადგენდა სტუდენტთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ამ მიზნით მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებისას სტიპენდია მიეცა 1.609 სტუდენტს (13,3 პროც.) სტუდენტთა საბინაო კრიზისის შესამსუბუქებლათ ამჟამად შენდება სამი საერთო საცხოვრებელი ბინა 430 კაცისათვის. სტუდენტების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად წელს ჩატარდა „სტუდენტთა კვირეული", რომელმაც 30.000 მან. მეტი თანხა მოგვცა. გარდა ამისა გაუმჯობესებულ იქნა კვების საქმე სტუდენტთა სასადილოში, სტუდენტობისათვის მოეწყო უფასო საექიმო დახმარება და სხვა. ბიურომ ყურადღება მიაქცია აგრეთვე საწარმოო მუშაობის პრაქტიკისა და სტაჟის მიღების მოწესრიგებას. გადიდდა პრაქტიკისა და სტაჟის მისაღებათ ადგილებზე გაგზავნილ სტუდენტთა რიცხვი.

ურთიერთ დამხმარე სალაროები

დეცენტრალიზაციის ჩატარების შემდეგ გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა ურთიერთ დამხმარე სალაროების მუშაობა. სალაროებში ჩაბმულია პროფკავშირთა წევრების 72,9 პროც. საწევრო ანარიცხი უდრის თვიური ხელფასის ნახევარ პროცენტს დასაბრუნებელი სესხის საშუალო რაოდენობა შეადგენს 20 მანეთს. სესხის დაფარვის ვადათ მიღებულია საშუალოთ ერთნახევრიდან სამ თვემდე. სალაროების ერთ-ერთი დიდი ნაკლი არის აპარატის შესანახ ხარჯების სიდიდე. ზოგიერთ სალაროში ეს ხარჯები საერთო შემოსავლის 50 პროცენტს უდრის.

პროფმუშაობა სოფლად

პროფმუშაობას სოფლად აწარმოებდა უმთავრესად სას.-სამ. და ტყის მუშათა პროფკავშირი, რომლის ძირითად ამოცანებს საანგარიშო პერიოდში წარმოადგენდა: მოჯამაგირეთა ჩაბმა კავშირში. კავშირის გაწმენდა არაპროლეტარული ელემენტებიდან და მუშაობის გაძლიერება მოჯამაგირეთა ინტერესების დასაცავად და მათი კულტურული დონის ასამაღლებლად. 1927 წლამდე საკავშირო აპარატი სოფლათ ისე არ იყო მოწყობილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო კავშირის წევრთა შორის მასიური მუშაობის წარმოება. თემის მასშტაბით არსებობდა საკავშირო უჯრედები, რომელთაც პროფმუშაობის საწარმოებლად სოფლათ მიჩენილი ყავდათ რწმუნებულები. მიმდინარე წელს პროფსაბჭომ ჩაატარა სათემო პროფუჯრედების დეცენტრალიზაცია.

გარდა ამისა მასიურ მუშაობას სოფლათ აბრკოლებს კავშირის წევრთა დაქსაქსულობა ცალ - ცალკე მეურნეობებში, რაც მეტათ აძნელებს საერთო კრებების მოწვევას და კავშირის წევრებთან რეგულიარულ ურთიერთობის დამყარებას. გარდა ამისა, პროფაქტივს სოფლად სუსტი პროფესიონალური მომზადება აქვს, რადგან კულტურული დონე მოჯამაგირეებისა, რომელთა წრიდან გამოდის ორგანიზაციები უწევენ მათ სათანადო ხელმძღვანელობას, მოჯამაგირეთა შორის მასიური მუშაობის სისუსტე გამოწვეულია აგრეთვე მათი შრომისა და სამუშაო დროის მოუწესრიგებლობით, სუსტათაა დაყენებული სოფლათ საშეფო მუშაობაც.

ფინანსიური მუშაობა

შემოსავალი საერთო - საკავშირო საშუალებათა ხაზით გაიზარდა 22.5 პროც. 27 წლის პირველ ნახევარში შემოსავალი შეადგენდა 405.989 მანეთს, ხოლო 1928 წლის 1-ლ ნახევარში 497.347 მანეთს. შემოსავლის ზრდა აიხსნება, როგორც წევრთა რიცხვის ზრდით, ისე სამუშაო ხელფასის გადიდებით. საკავშირო ორგანიზაციებს მიცემული ჰქონდათ დირექტივა შემცირებიათ საპარატო ხარჯები და სათანადოთ გაედიდებიათ ხარჯები პროფესიონალურ კავშირების წევრთა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს დირექტივა სავსებით ვერ იქნა განხორციელებული. მაგ. 1927 წ. 1-ლ ნახევარში პირად შემადგენლობის შენახვაზე დაიხარჯა 162.315 მან., ანუ საერთო შემოსავლის 38,7 პროც., ა. წ. პირველ ნახევარში კი 168.386 მ. ანუ 38 პროც., საორგანიზაციო ხარჯები 1927 წ. შეადგენდა 40.441 მ. (9,6 პროც.), 1928 წ. 44.268 მან. (8,7 პროც.), ამგვარათ ეს ორგვარი ხარჯი აბსოლიუტურად მაინც იზრდება. ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯები 46.401 მან.-დან შემცირებულია 30.802 მანეთამდე. ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირებამ გამოიწვია ანარიცხების ზრდა სპეციალურ ფონდებში.

საკავშირთაშორისო ორგანიზაციები — სამაზრო პროფესიონალური ბიუროები წარსული წლის მსგავსათ წელსაც დეფიციტიან ორგანიზაციებათ რჩებიან. მათ დეფიციტს ფარავს საქართველოს პროფსაბჭო.

1927 წელს პროფკავშირების ორგანიზაციაში აღმოჩენილ იქნა გაფლანგვის 44 შემთხვევა, გაფლანგული თანხა უდრიდა 24.459 მანეთს. 1928 წლის 1-ლ ნახევარში გაფლანგვათა რიცხვი უდრის 23, ხოლო გაფლანგული თანხა — 6,678 მანეთს. [illegible] უნდა აიხსნას, რომ პროფორგანიზაციები უფრო [illegible] გაფლანგვას და გამფლანგველებს და უფრო მეტათ გააუმჯობესეს სარევიზიო კომისიის მუშაობა. სარევიზიო კომისიების მუშაობას უმეტეს წილად ფორმალური შემოწმების ხასიათი ჰქონდა. იგი დაწვრილებით არ ეცნობოდა არსებულ დოკუმენტებს და ციფრებს, ან არ ამოწმებდა მათ. პროფსაბჭომ საკავშირო ორგანიზაციებს დაავალა გააუმჯობესონ სარევიზიო კომისიის მუშაობა მასში უფრო მეტი გეგმიანობის შეტანით და სხვა.

კულტ. საგანმანათლებლო მუშაობა

პროფსაბჭოს კულტმუშაობის დარგში აქვს მთელ რიგი მიღწევები: კულტმუშაობამ მიიღო მასიური ხასიათი, ჩაისახა და ვითარდება კულტმუშაობის ახალი ფორმები, შესამჩნევად გაიზარდა საფიზკულტურო მოძრაობა, გაუმჯობესდა მუშათა განათლების საქმე, საბიბლიოთეკო მუშაობა და სხ.

მუშათა კლუბები

მასიური პოლიტიკურ - საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრს მუშათა კლუბები წარმოადგენენ. ამჟამად საქართველოში ითვლება 78 კლუბი, რომლებიც აერთიანებენ 30.293 კაცს ანუ მთელი საკავშირო მასის 16,7 პროცენტს. კლუბის წევრთა სიმცირე აიხსნება საკლუბო შენობების უქონლობით და სივიწროვით. მაგ. თბილისში საზამთრო კლუბებს შეუძლიათ სამსახური გაუწიონ კავშირის წევრთა მხოლოთ 12 პროცენტს, ხოლო საზაფხულო კლუბებს არა უმეტეს 20 პროცენტისა. მაზრების კლუბების უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს კულტმუშაობის მოთხოვნილებას, რაც აყენებს კლუბების ქსელის გაფართოვების და ახალი კლუბების მშენებლობის საკითხს. კლუბის წევრთა 41,7% შეადგენენ მუშები, 41,9% —მოსამსახურეები. ქალები შეადგენენ წევრთა 21,9%. კლუბის წევრთა მასა წლიდან წლამდე უფრო ფართედ ებმება საკლუბო მუშაობაში, რასაც ხელს უწყობს კლუბის გამგეობის არჩევითი წესი და აგრეთვე საზოგადო-სადელეგატო კრებებზე კლუბის მუშაობის ანგარიშების განხილვა და სხვა. მუშათა კლუბების მასიურ მუშაობის უმთავრეს ფორმას შეადგენს წარმოდგენები, კონცერტები, კინო-სეანსები და ლექციები. 1928 წელს ზაფხულზე კლუბების მიერ გამართულ წარმოდგენების და კონცერტების რიცხვი უდრის 552, კინო-სეანსები—725, საოჯახო საღამოები—65, სიმფონიური კონცერტები—81, ლექციები 154. შესამჩნევად იზრდება აგრეთვე კლუბებში მოსიარულეთა რიცხვი. ზაფხულის პერიოდში მარტო თბილისის კლუბებში სხვადასხვა დადგმებს დასწრებია 971.212 კაცი. უმთავრესი ადგილი საკლუბო მუშაობაში სხვადასხვა სანახაობას უჭირავს. პოლიტიკური, საწარმოო და პროფესიონალური ხასიათის აღმზრდელობითი მუშაობა სუსტათაა დაყენებული, რაც კლუბის მუშაკთა სუსტი მომზადებით აიხსნება.

წრეების მუშაობას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაუმჯობესება ეტყობა. იზრდება არა მარტო წრეების რიცხვი, არამედ უმჯობესდება თვით საქმის ღირსებაც. სულ ყველა კლუბებში მოწყობილია 385 წრე, რომელშიაც ჩაბმულია 8.158 კაცი. ყოველ ჯგუფში საშუალოთ მონაწილეობს 24 კაცი. პირველი ადგილი რაოდენობის მხრით უკავია სამხატვროს 40,7 პროც., საერთო-საგანმანათლებლო პოლიტიკურს—25,9% და სამხედროს 19,7%. წრეების მუშაობის განვითარებას აფერხებს ბინების და მოწყობილობის უქონლობა, ხელმძღვანელთა მოუმზადებლობა და უგეგმობა.

კულტკომისიების და წითელი კუთხეების მუშაობა

ძირითადი კულტმუშაობა ტარდებოდა კულტკომისიისა და წითელი კუთხეების საშუალებით. მიმდინარე წლის დამდეგს საქართველოში მუშაობდა სულ 902 კულტკომისია. წევრთა რიცხვი უდრიდა 8.340 კაცს. (გაიზარდა 10,8%) წითელ კუთხეების რიცხვი ამჟამად 887 აღწევს. წითელი კუთხეების მუშაობა ხშირათ მუშათა კლუბების მაგიერობას ეწეოდა. ძირითად კულტმუშაობას ხელი შეუწყო საპროფკავშირო ორგანოების კულტფონდების დეცენტრალიზაციამ. თუ რამდენათ ნაყოფიერათ მუშაობდენ კულტკომისიები, მოწმობს ის რომ ერთი წლის განმავლობაში მათ მოაწყვეს 3.661 დადგმა, რომელთაც დაესწრო 219.615 კაცი. ჩქარი ნაბიჯით ვითარდებოდა აგრეთვე თვითმოქმედებითი საწრეო მუშაობაც. კულტკომისიების და წითელ კუთხეების მუშაობას აბრკოლებდა სუსტი ხელმძღვანელობა ზემდგომ ორგანიზაციების მხრივ, ნივთიერი სახსრების სიმცირე და მუშაკთა მოუმზადებლობა.

სამხატვრო მუშაობა

პროფსაბჭომ საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამხატვრო მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. აღმასკომთან ერთათ პროფსაბჭომ დაარსა თბილისის მუშათა თეატრის ქართული სექტორი, რომელიც მართავდა წარმოდგენებს მუშათა კლუბებშიაც. აკადემიურ თეატრებში შემოღებულ იქნა მუშათა ზოლი ბილეთებზე 50 პროცენტის ფასდაკლებით. აკადემიური თეატრები წარმოდგენებს მართავდენ აგრეთვე მუშათა კლუბებში. აკად. თეატრების მუშაობის გარშემო საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელათ, მუშათა კლუბებში ეწყობოდა სპეციალური დისპუტები, რომლებმაც გამოააშკარავეს ჩვენი თეატრების მიღწევები და ნაკლოვანებანი. შესამჩნევათ გაუმჯობესდა აგრეთვე თეატრების მსახიობთა მიერ საკლუბო სცენისა და ესტრადისათვის სამსახურის გაწევის საქმე. საკლუბო სცენაზე ეწყობოდა ახალი დადგმები, ღირსების მხრივ ბევრათ უფრო მისაღები, ვიდრე წინა წლებში. რაც შეეხება თვით კლუბების სამხატვრო წრეების მუშაობას, მას აბრკოლებდა შემდეგი გარემოებანი: რეპერტუარის უქონლობა, უგეგმობა, წრეების შემადგენლობის შემთხვევითი შერჩევა, კვალიფიციური ძალების ნაკლებობა, გასტროლიორობის სისტემა, გამოცდილი ხელმძღვანელების გადაბირება ერთი წრიდან მეორეში და სხვა.

თვალსაჩინო როლს თამაშობდა სამხატვრო მუშაობაში აგრეთვე კინოც. პროფორგანიზაციებს მთელ საქართველოში აქვთ სულ 72 სტაციონალური და 10 მოძრავი კინოთეატრი. სახკინმრეწვთან დადებულია ხელშეკრულება მუშათა კინო-ეკრანებისთვის კინო-ფილმების მიწოდების შესახებ, მაგრამ ეს საქმე ძალიან ცუდათ არის დაყენებული. ხშირათ კლუბებს ეძლევა იდეოლოგიურათ მიუღებელი და ტეხნიკურათ უვარგისი სურათები.

სალექციო - საექსკურსიო მუშაობა

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყურადღება ექცეოდა უმთავრესად არა ლექციების რიცხვის გადიდებას, არამედ თვითონ სალექციო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ლექციების საერთო რიცხვი 1928 წელს კლებულობს, სამაგიეროთ იზრდება დამსწრეთა რიცხვი. მაგ. თუ 1927 წელს 420 ლექციას დაესწრო 55.540 კაცი, 1928 წელს 382 ლექციას დასწრებია 65.958 კაცი. სალექციო მუშაობის უდიდესი ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ლექციების უმნიშვნელო პროცენტი მოდის ქართულ და სხვა ადგილობრივ ენებზე და უდიდესი პროცენტი რუსულ ენაზე. უკანასკნელ ხანებში სალექციო მუშაობა შედარებით ნაკლებ ინტერესს იწვევს. მუშათა მასებს უფრო იზიდავს კინო-სეანსი, წარმოდგენა ან კონცერტი, რაც ლექციის მსმენელთა რიცხვს ამცირებს. გარდა ამისა არ სწარმოებს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ლექციის მოსაწყობად.

საანგარიშო პერიოდში გაძლიერდა კავშირის წევრთა ინტერესი ექსკურსიებისადმი. შეიცვალა ექსკურსიების ხასიათი. თუ წინა წლებში უმთავრესი ადგილი ქალაქ გარეთ გასეირნებას ეჭირა, საანგარიშო პერიოდში უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა თემატიურ ექსკურსიების მოწყობას. 1928 წელს მოეწყო სულ 178 ექსკურსია. რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10.659 კაცმა. ამაში არ შედის ქალაქის ფარგლებში მოწყობილი ექსკურსიები. წელს ექსკურსიებს ახასიათებდა ნაკლიც. იყო შემთხვევები, როცა ექსკურსიის მონაწილენი ექსკურსიას ქეიფისა და დროის ტარების ხასიათს აძლევდენ.

საბიბლიოთეკო მუშაობა

ამჟამად პროფორგანიზაციებს აქვს 84 სტაც. ბიბლიოთეკა. წელს ჩატარდა ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია, რასაც შედეგათ მოჰყვა მათი მუშაობის გაუმჯობესება. ლიტერატურის შერჩევის საქმე ბიბლიოთეკებში გაუმჯობესდა, მოეწყო მკითხველთა მასის საჭიროებათა აღნუსხვა, დაარსდა მოძრავი ბიბლიოთეკები საწარმოებში. წიგნების რაოდენობა ბიბლიოთეკებში 199.497 ცალიდან გაიზარდა 278.904 ცალამდე, ანუ 39,8 პროცენტით. ბიბლიოთეკები ჯერ კიდევ მცირეა წიგნების რაოდენობა ქართულ ენაზე (24,3 პროცენტ.) ხელის მომწერთა რიცხვი გადიდებულია 14.104 კაციდან, 24.117 კაცამდე. მუშა მკითხველთა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს აგრეთვე საპროფკავშირო მოძრავი ბიბლიოთეკები, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში 150-ს აღემატება. საერთოდ საბიბლიოთეკო მუშაობა მაზრებში მოისუსტებს, რაც აიხსნება მუშაკთა შემთხვევითი შერჩევით, მათი მოუმზადებლობით და სხ. ბიბლიოთეკებში ნაკლებათ მოიპოვება სამეცნიერო და საწარმოო ხასიათის წიგნები.

მეცნიერება და ტეხნიკა

გაახალგაზრდავების საკითხის თანამედროვე მდგომარეობა

კაცობრიობას დიდი ხანია აინტერესებს სიკვდილთან ბრძოლის საკითხი. წინად ეს პრობლემა დასმული იყო, როგორც „უკვდავების" პრობლემა. ფიქრობდნენ, რომ სხვადასხვა საშუალებებით, რომელთა გამოძებნა საჭიროა, შეიძლება სიკვდილის სრულიად დაძლევა. ძველი დროის მეცნიერები ე. წ. „ალქიმიკოსები ეძებდნენ რაღაც სასწაულებრივ კენჭებს ანუ ელექსირებს უკვდავების მისაღწევად. მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებად დარჩა და ადამიანი შეურიგდა იმ აზრს, რომ იგი მოკვდავია და სიკვდილი აუცილებელი მოვლენაა.

ამის შემდეგ ადამიანი აყენებს მეორე კითხვას: შეიძლება თუ არა ადამიანმა იცოცხლოს რაც შეიძლება დიდხანს, არ შეიძლებოდა ადამიანს ყურადღება არ მიექცია იმ გარემოებისათვის, რომ ზოგიერთი პირი 100—120 წელზე მეტხანს სცოცხლობს, მაშინ, როდესაც უმრავლესობა 80 წლამდე ძლივ-ძლივობით აღწევს მაგ. ისტორიაში ცნობილია ერთი გერმანელი დასტაქარი, პოლიტმანი, რომელმაც 140 წელიწადს იცოცხლა და სიკვდილამდე ერთი წლით ადრე თავის ცოლს რთული ოპერაცია კი გაუკეთა, ასეთი მაგალითები მრავალია და დღესაც ხშირად ვხვდებით 120-ზე მეტი წლის ადამიანებს (განსაკუთრებით მთიულეთში) რომელთაც ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა სავსებით შენარჩუნებული აქვთ

ცხადია, არსებობს რაღაც მიზეზები და ფაქტორები, რომლებიც ადამიანის სიცოცხლეს ამოკლებენ. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანი ეძებს ამ მიზეზებს და ცდილობს მათ მოსპობას.

ადამიანის ნაადრევად დაბერების მიზეზთა მეცნიერული დასაბუთება ეკუთვნის რუსეთის გამოჩენილ მეცნიერს მეჩნიკოვს. მან მთელი თეორია შეიმუშავა ადამიანის ნაადრევ დაბერების და ამის საწინააღმდეგო ზომების შესახებ. მაგ. მისი აზრით ადამიანის ორგანიზმისათვის სრულიად ზედმეტია მსხვილი ნაწლავი, სადაც აურაცხელი მიკრობები იყრის თავს და მათი შხამი მთელ სხეულს სწამლავს. მეჩნიკოვი ურჩევდა ამ ნაწლავის ამოკვეთას, მაგრამ რადგან ეს ოპერაცია ტეხნიკურად ძალიან ძნელია, ის შეეცადა სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებით შებრძოლებოდა ამ ბაქტერიებს. სამწუხაროდ არც მეჩნიკოვის ცდებს მოჰყოლია რაიმე თვალსაჩინო შედეგი.

რაკი შეუძლებელი გახდა სიბერის დაძლევა, მეცნიერება იწყებს ბრძოლას თვით მოხუცებულობასთან. ადამიანი აყენებს კითხვას: შეიძლება თუ არა მოხუცებული ორგანიზმის გაახალგაზრდავება?

ამ საკითხის გადასაჭრელად საჭირო იყო ყოველმხრივ და დაწვრილებით შესწავლა იმისა, თუ რას წარმოადგენს მოხუცებულობა რა ცვლილებები ხდება მოხუცებულობის დროს სხეულში და რა იწვევს ამ ცვლილებებს. ამ საკითხების გაშუქებას ძლიან შეუწყო ხელი ადამიანის სხეულში სეკრეციის ჯირკვლების აღმოჩენამ და მათი ფუნქციის შესწავლამ. გამოირკვა, რომ ადამიანის ორგანიზმში ორგვარი ჯირკვლები არსებობს: 1) გარეგანი სეკრეციის ჯირკვლები— ე. ი. ისეთი ჯირკვლები, რომელთაც აქვთ გარეთ გამომტანი სადინარები და მათი წვენი (სეკრეცი) ამ სადინარებით ან გარეთ გამოყოფა ან კუჭ-ნაწლავში ჩადის და ხელს უწყობს საჭმელის მონელებას. 2) შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები—რომლებსაც ასეთი სადინარი არ აქვთ და მათი სეკრეცი პირდაპირ სისხლში გადადის. უკანასკნელი ჯგუფის ჯირკვლებს ეკუთვნიან: ტვინის დანამატი, ფარისებური ჯირკვალი, მკერდ უკანა ჯირკვალი თირკმელ ზედა. ჯირკვალი, ნაწილობრივ სათესლე ჯირკვლები და სხვა.

გამორკვეულია აგრეთვე, რომ შინაგანი ჯირკვლებიდან გამოყოფილი სეკრეცი (წვენი) მოქმედებს სხეულზე და ამავე დროს ეს მოქმედება არის საერთო ხასიათის. ე. ი. ეს ჯირკვლები ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად კი არ მოქმედობენ, არამედ მათ შორის ერთგვარი დამოკიდებულება არსებობს. ერთი რომელიმე ჯირკვლის მოქმედება ან აძლიერებს მეორე ჯირკვლის მოქმედებას ან პირიქით ასუსტებს და ეწინააღმდეგება. ადამიანის ნორმალური ცხოვრებისათვის საჭიროა, რათა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებთა შორის ერთგვარი წონასწორობა არსებობდეს. მაგ. ჩვენ ვიცით რომ ფარისებური ჯირკვლის სეკრეცი ხელს უწყობს ჩონჩხის ზრდას (ბავშვთა ასაკში ამავე როლს მკერდ უკანა ჯირკვალი ასრულებს). ფარისებური ჯირკვლის განუვითარებლობის დროს ძვლების ზრდა ჩერდება. მეორეს მხრივ ტვინის დანამატის დაავადების დროს შემჩნეულია ძვლების ზედმეტი ზრდა (გიგანტიზმი). მაშასადამე ჩონჩხის ნორმალური ზრდა ხდება მაშინ, როცა ორივე აღნიშნული ჯირკვლის მოქმედება ნორმალურია: საკმარისია ერთ-ერთი მათგანის ფუნქცია მოიშალოს, რომ წონასწორობა დაირღვეს, რასაც შედეგად ძვლების არანორმალური ზრდა მოჰყვება (შეჩერება ან ზედმეტი ზრდა.). ასეთივე მჭიდრო კავშირი არსებობს სხვა შინაგან სეკრეციის ჯირკვალთა შორისაც.

შინაგან სეკრეციის სისტემაში, როგორც ეს შტეინახმა დაამტკიცა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სათესლე ჯირკვალს, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის, როგორც გარეთ სეკრეციის, ისე შინაგან სეკრეციის ჯირკვალი, რაც ცხოველებზე წარმოებული ცდებითაა დამტკიცებული.

მოხუცებულობის დროს უწინარეს ყოვლისა თავს იჩენს სათესლე ჯირკვლების ზოგადი გავლენის შესუსტება ადამიანის ორგანიზმზე; შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა სისტემაში წონასწორობა ირღვევა, რასაც შედეგად მოჰყვება ადამიანის ფიზიკური და ფსიქიური ცხოვრების დაქვეითება.

გამოდის რა ამ მოსაზრებიდან შტეინახი აყენებს საკითხს, შეიძლება თუ არა ხელოვნურად სათესლე ჯირკვლის შინაგან სეკრეტორული ნაწილის მოქმედების გაძლიერება და ამნაირად მისი ზოგადი გავლენის გაძლიერება სიბერის დროს. ის ცხოველებზე ცდებით ამტკიცებს, რომ თუ სათესლე ჯირკვლის გარეთა სეკრეციული ფუნქცია შემცირდა. ამას შედეგად მოჰყვება ამავე ჯირკვლის შიგნითა სეკრეციის ქსოვილის გაზრდა და მაშასადამე შინაგანი სეკრეტორული ფუნქციის გაძლიერებაც. ამას შტეინახი აღწევდა სათესლე ჯირკვლის გამომტანი სადინარის გადაკვანძვით. მან მოახდინა ცდები მოხუცებულ ცხოველებზე და ფრიად დამაკმაყოფილებელი შედეგი მიიღო, შემდეგში ეს ოპერაცია, შტეინახის ოპერაციად წოდებული ადამიანზე იქნა გადატანილი გაახალგაზრდავების მიზნით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შედეგი დამაკმაყოფილებელი იყო მიღებული, მაგრამ ეს შედეგი დროებითი ხასიათის და ხანმოკლე აღმოჩნდა.

შემდეგი ცდები ამ მიმართულებით მოახდინა პროფ. ვორონოვმა საფრანგეთში. ეს მეცნიერი გაახალგაზრდავებისათვის მიმართავს ადამიანის მაგვარი მაიმუნების სათესლე ჯირკვლის გადანერგვას ადამიანის სხეულში. ასეთივე წარმატებით სცადეს ზოგიერთმა სხვა ცხოველების სათესლე ჯირკვლების გადანერგვა, მაგ. ცხვრის და სხვა.

როგორც შტეინახის, ისე ვორონოვის ოპერაციის შემდეგ აღნიშნულია მთელი ორგანიზმის გაჯანსაღება, ფიზიკური ძალის მომატება, მეხსიერების აღდგენა, პირის სახეზე ნაოჭების გადასწორება, სქესობრივი პოტენციის აღდგენა.

პირველ ხანებში აღნიშნული ოპერაციებით ძალიან გატაცებული იყვნენ და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ სამწუხაროდ იმედები არ გამართლდა. შემდეგი დაკვირვებებით გამოირკვა, რომ გადანერგილი სათესლე ჯირკვალი რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც გარეშე უცხო სხეული შეისრუტება და „გაახალგაზრდავებული ორგანიზმი ისევ ძველ მდგომარეობაში ვარდება.

გარდა ამისა დამტკიცებულია, რომ მარტო სათესლე ჯირკვლის გადანერგვას არ შეუძლია ადამიანის სხეული გაახალგაზრდავოს. რადგან სიბერის დროს შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა დანარჩენ სისტემაშიაც ადგილი აქვს ღრმა ცვლილებებს, რომლის სავსებით გამოსწორება აღნიშნული ოპერაციების საშუალებით არ ხერხდება.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა უკანასკნელ ხანებში იტალიელ პროფ. პენდეს მიერ წარმოებული ცდები—რამდენიმე შინ. სეკრ. ჯირკვლის (პოლიგლანდულარული) გადანერგვა. პროფ. პენდემ 67 წლის მოხუც მასწავლებელ ქალს მაიმუნიდან გადაუნერგა რამდენიმე შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი და შედეგი განსაცვიფრებელი მიიღო. ქალს დაუბრუნდა 22 წლის წინად შეწყვეტილი თვიური, გაუმჯობესდა სმენა, ხმა, წონაში 7 კილოგრამი მოიმატა, დაუბრუნდა შრომის უნარი, ერთი სიტყვით სრულიად გამოიცვალა და გადახალისდა.

მეცნიერული თვალსაზრისით მრავალ ჯირკვლოვანი გადანერგვა უფრო დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ვორონოვის ოპერაცია. მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს მხოლოდ გადანერგილი ჯირკვლების ახალ ნიადაგზე შეზრდის სიძნელე და აგრეთვე ის გარემოება, რომ თვით ოპერაციის ტეხნიკა ჯერ კიდევ საკმარისად დამუშავებული არ არის

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ გაახალგაზრდავების პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ მეცნიერული შესწავლის ხანაშია, დადებითად გადაიჭრება და ადამიანის დიდი ხნის ოცნება რეალურ ფაქტად იქცევა.

ექ. კ. მ—ძე.

ბერდის ექსპედიცია ჩრდ. პოლიუსისაკენ

ამ რამდენიმე ხნის წინად ნიუ-იორკის ნავთსადგურიდან ორი გემით—„სიტი ოფ ნიუ-იორკ"-ით, „ელეონორა ბოლინგ"-ით სამხრეთ-პოლიუსისაკენ გავიდა ამერიკის ექსპედიცია ცნობილ მფრინავის—ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცრის ბერდის მეთაურობით. ბერდი ცნობილია იმით, რომ რამდენიმე საათით ადრე, სანამ როალდ ამუნდსენი დირიჟაბლ „ნორვეგია"-თი ჩრდილოეთ პოლიუსს მიაღწევდა (მარშრუტით შპიცბერგენი—ალიასკა). პირდაპირ ხელიდან გამოსტაცა პირველობა: განსაცვიფრებლად გაბედული გადაფრენა მოახდინა ალიასკიდან ჩრდილოეთ-პოლიუსამდე და უკან. გარდა ამისა, ბერდის საავიაციო სტაჟში ირიცხება მთელი რიგი წარმატებით დასრულებული გადაფრენები შორ მანძილზე.

ბერდი არა მარტო გამოჩენილი მფრინავია, არამედ თვალსაჩინო ორგანიზატორიც, რასაც ამტკიცებს ექსპედიცია ჩრდ. პოლიუსისაკენ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ პოლიარული ექსპედიციების ისტორიაში არ ყოფილა ექსპედიცია ასეთი ფართო ამოცანებით და ამავე დროს ასე ყოველმხრივ მომზადებული, როგორც ბერდის ექსპედიცია.

საინტერესოა პირველ ყოვლისა თვით ექსპედიციის სქემა. ექსპედიციის ორი მთავარი ბაზა—გემები „სიტი ოფ ნიუ-იორკ" და „ელეონორა ბოლინგ" სამხრეთ-პოლიარულ მატერიკის ნაპირზე გადმოსხამენ ექსპედიციის 80 მონაწილეს. ექსპედიცია დაჰყოფს ორ ზამთარ-ზაფხულს, ექსპედიცია გააშენებს მთელ ქალაქს ელექტრონული განათებით, კინემატოგრაფით, ბიბლიოთეკითა და სხვ. ამ ბაზის მოწყობის შემდეგ ექსპედიცია შეეცდება მიაღწიოს სამხრეთ-პოლიუსს და გამოიკვლიოს სამხრეთ-პოლიუსის უცნობი რაიონები.

ექსპედიცია ფართოდ ისარგებლებს აეროპლანებით და ძაღლებით. ბერდს თან მიჰყავს ასი საუკეთესო ძაღლი, ექსპედიციის განკარგულებაშია 7 აეროპლანი. მარტო ბენზინი მიაქვს ექსპედიციას იმდენი, რომ ორი დღის ეყოფა რაც მსოფლიოში აეროპლანებია.

ექსპედიციას თან მიაქვს (დაშლილი სახით) თავისი მოსავალი სახლები, რომელთა კონსტრუქცია ისეთია, რომ მათ შეუძლია გაუძლონ ანტარქტიკის (სამხრეთ-პოლიუსის რაიონი) ყინულიან გრიგალებს და 50 გრადუსიან ყინვას. სახლების სახურავებზე მიმაგრებულია თოკები, რომლებითაც ისინი დამაგრებული იქნებიან მიწაზე. სახლის კედლები ორმაგია. კედლებს შუა მოთავსებულია ერთი ჯიშის პალმის გული, რომელიც 7-ჯერ უფრო მსუბუქია, ვიდრე პრობკა და ორჯერ უკეთ იჭერს სითბოს. სახლების ფანჯრის მინები კი სამმაგია. მაგრამ ექსპედიციის ქალაქის ყველაზე შესანიშნავი შენობა იქნება ანგარი (შენობა, რომელშიც მოთავსებულია აეროპლანები). იგი მთლიანად აგებული იქნება კონსერვით სავსე ყუთებიდან, რომლებიც შენობის შიგნით ილაგება. საჭიროების მიხედვით ანგარის ორიგინალური კედლებიდან გამოიღებენ კონსერვებს და დარჩება ცარიელი ყუთებიდან შემდგარი მაგარი კედელი.

ექსპედიციამ თან წაიღო სურსათ-სანოვაგის მთელი მთა: 29 ტონა ხორცი, 12 ტონა კარტოფილი, 17 ტონა პურისფქვილი, 9 ტონა გამხმარი ხილი, რამდენიმე ტონა ტკბილეულობა, 1500 ყუთი ყველი, 2 ტონა დაკონსერვებული რძე. ნახევარი ტონა ყავა, სამი ტონა მუხუდო, 1 ნახევ. ტონა თევზი, 100 გალონი თაფლი, ერთი ტონა მარილი, ერთი ტონა ხახვი და ნიორი (როგორც ცინგის საწინააღმდეგო საშუალება) და სხვ.

ექსპედიციამ თან წაიღო აგრეთვე მრავალი რადიო-მიმღები აპარატები, ფონოგრაფები, კინო-აპარატები და მუსიკალური ხელსაწყოები ისე, რომ მოწყენით არ იქნება უსახსრო ანტარქტიულ ღამეებში. ექსპედიციის განკარგულებაშია ისეთი მძლავრი რადიომიმღები და გადამცემი აპარატები, რომ მას შესაძლებლობა ექნება კავშირი დაიჭიროს მსოფლიოს ყველა კუთხესთან.

ექსპედიციის ბიბლიოთეკა შესდგება რამდენიმე ათეულ ათას ტომიდან, გარდა სამეცნიერო წიგნებისა.

მიღებულია ზომები პოლიარულ მკვლევართა უსაშინლეს მტრებთან—ავიტამინოზთან (საჭმელში ვიტამინების ნაკლებობით და მზის სხივების უქონლობით გამოწვეული ავადმყოფობა) საბრძოლველად. გარდა რამდენიმე კასრი თევზის ქონისა, ნახევარ ტონა ნიორისა და რამდენიმე ტონა გამხმარი ხილისა, ექსპედიციას ავიტამინოზთან საბრძოლველად მოეპოვება მეტად მძლავრი საშუალება—სინდიყვარცის ლამპა,—ულტრა-იისფერი სხივებით მდიდარი „მთის მზის" ხელოვნური წყარო,—რომლის წყალობით ექსპედიციის ათ წევრს ერთდროულად შეუძლია მიიღოს ნამდვილი მზის ვანა.

ექსპედიციის აფთიაქი იწონის ერთ ტონას და წამლების სიმრავლით არ ჩამოუვარდება დიდი საავადმყოფოს აფთიაქს. აფთიაქში მოიპოვება მარტო ტიფის, ხუნაგის, ქუნთრუშის და სხვ. წინააღმდეგ. განსაკუთრებით მდიდარია აფთიაქის ქირურგიული განყოფილება.

ექსპედიციას თან მიაქვს 60 კინო-აპარატი და რამდენიმე ათეული ათასი კილომეტრი ახალი კინო-სურათები. ბერდს განზრახული აქვს აეროპლანიდან გადაიღოს ანტარქტიკის ჯერ გამოუკვლევი ადგილები.

ექსპედიციის სამეცნიერო პროგრამა მეტად ფართოდ არის დამუშავებული, ექსპედიციაში შედიან გიდროლოგები, გიდროგრაფები, გეოგრაფები, ფიზიკოსები, მეტეოროლოგები, ზოოლოგები, ბოტანიკოსები და სხვ. ამას კიდევ დაუმატებთ რამდენიმე მფრინავს, ორ ექიმს, სამ ინჟინერს,—ცხადი შეიქნება, რომ სახელწოდება—„მფრინავი უნივერსიტეტი".—რომელიც ბერდის ექსპედიციას მიაკუთვნეს, გადაჭარბებული არ არის.

ექსპედიციის ხაზიდან რამდენიმე ათასი კილომეტრის მანძილზე—ახალ ზელანდიაში— ბერდი სტოვებს ექსპედიციის კანცელარიას, რომელმაც დიდი როლი უნდა ითამაშოს ექსპედიციის მიერ შეგროვებული მასალების დამუშავებაში. კანცელარია იმუშავებს ექსპედიციასთან ერთდროულად: რადიოთი მიიღებს ექსპედიციისაგან საჭირო ცნობებს და დაუყონებლივ შეუდგება მათ დამუშავებას. ამ ორი წლის განმავლობაში, რომელსაც ბერდის ექსპედიცია დაჰყოფს ანტარქტიკაში, ნიუ-იორკის ერთი გამომცემლობა გამოუშვებს ექსპედიციის რამდენიმე ათეულ ტომ მეცნიერულ შრომას.

ექსპედიცია ჯდება ორი მილიონი მანეთი.

ა. ხ.

ახალი მსუბუქი ლითონი „ელექტრონი"

„კომუნისტი"-ს ერთ-ერთ ნომერში უკვე გვქონდა მოთავსებული ცნობა ახალი მსუბუქი ლითონის—„ელექტრონ"-ის დამზადების შესახებ გერმანიაში.

მოგვყავს ახალი ცნობები ამ ლითონის თვისებების შესახებ, რომელიც უცხოეთის პრესაში დაიბეჭდა.

„ელექტრონის" მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მაგნიუმი და ალიუმინი სპილენძის, თუთიისა, ნიკელის, მარგანეცისა და სილიციუმის ნარევით. „ელექტრონის" ხვედრითი წონა 1,82 უდრის. ამრიგად იგი 40 პროცენტით უფრო მსუბუქია ალიუმინთან და დიურ-ალიუმინთან შედარებით და მხოლოდ ორჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე მუხა. „ელექტრონის" ამ თვისებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, თუ მხედველობაში მივიღებთ მის სიმაგრეს. იმ დროს, როცა ალიუმინის ერთი კვადრატიული მილიმეტრი უძლებს 10—25 კილოგრამის დაწოლას, „ელექტრონისათვის" ეს სიმძიმე შეიძლება გადატანილ იქნეს 18—43 კილოგრამამდე ერთ კვადრატიულ კილომეტრზე.

ამავე დროს „ელექტრონი" იძლევა მკვრივ ნადნობს, ადვილად მუშავდება, იტკეცება და იწიწება.

„ელექტრონის" ყველაზე დიდ უპირატესობას მრეწველობისათვის, რასაკვირველია, წარმოადგენს მისი სიმსუბუქე. ფორდის ქარხნები ამერიკაში და გერმანული ფირმები უკვე შეუდგნენ „ელექტრონის" ფართოდ გამოყენებას მრეწველობაში.

შეუდარებელი მასალა იქნება „ელექტრონი" აგრეთვე საავიაციო მრეწველობაში. ინგლისის სამხედრო სამინისტრო უკვე რამდენიმე თვეა, რაც ახდენს საიდუმლო ცდებს „ელექტრონის" შემოსაღებათ ავიაციაში. ზოგიერთ ქვეყნებში ახდენენ ცდებს მთელი აეროპლანის დასამზადებლად „ელექტრონიდან". თუ ეს მოხერხდა, ავიაციის განვითარებას ფართო საშუალება მიეცემა, რადგან აეროპლანის წონის შემცირების წყალობით მოხერხდება მეტი საწვავი მასალის წაღება და, მაშასადამე, ფრენის მანძილის გადიდება.

საყვინთავი აპარატი

წყალქვეშ საყვინთავი გაუმჯობესებული აპარატი, რომელსაც საზღვარ-გარეთ ხმარობენ წყალში დაღრჩობისგან გადასარჩენად.

არაჩვეულებრივი თევზი

ავსტრალიელმა მოგზაურმა გადენ გესტმა ავსტრალიის ჩრდილოეთ - დასავლეთ ნაპირებთან, წყნარ ოკეანეში, აღმოაჩინა მთელი რიგი ისეთი თევზები და ცხოველები, რომელთა არსებობა ოციოდე წლის წინათ ზღაპრად მიაჩნდათ. ამ ცხოველებს შორის არის ერთი თევზი, რომელიც გარეგნულად რაღაც ზღაპრულ კეროს ჰგავს. წყნარ ოკეანეს ეს მცხოვრები იწონის 120 ფუთს.

დაჟანგვის მიზეზების შესწავლა

შეერთებული შტატების სტანდარტო ბიურომ ჩაატარა დიდი მუშაობა ლითონის დაჟანგვის მიზეზების გამოსარკვევად და ჟანგთან ბრძოლის მეთოდების შესამუშავებლად. ამ მიზნით ბიუროს თანამშრომლებმა ყველა ქალაქებში და შეერთ. შტატების დიდ სასოფლო ადგილებში ჩაფლეს ფოლადიდან და რკინიდან დამზადებული მილები და აგრეთვე საგნები, დამზადებული სპილენძიდან, ტყვიიდან, კალიდან, თითბერიდან და მათი ნადნობებიდან, რომელთაც ჟანგი არ ეკიდება. შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე მიწაში ჩაფლულია 10.000 ნიმუშამდე. რამდენიმე ასეული ნიმუში მცირე ხნის შემდეგ მიწიდან ამოიღეს და დაწვრილებით გამოიკვლიეს. აღმოჩნდა, რომ დაჟანგვის ინტენსიურობა უმთავრესად დამოკიდებულია ნიადაგზე, რომელშიც ჩაფლულია მილი. ყველაზე უფრო იყო შეჭმული ჟანგით ქაობიან ნიადაგში და აგრეთვე მიწისქვეშა წყლებით მდიდარ ღელეებში მოთავსებული ნიმუშები. ნაკლებ დაჟანგული აღმოჩნდა მშრალ სილიან და აგრეთვე თიხიან ნიადაგში მოთავსებული ნიმუშები. ქალაქის ფარგლებში ნიმუშები უფრო დაჟანგული აღმოჩნდა, ვიდრე სასოფლო ადგილებში. ამას მიაწერენ იმას, რომ ქალაქების ნიადაგში მოძრაობენ შემთხვევითი დენები, უმთავრესად ელექტრონის ტრამვაიდან. ეს დენები სჭამენ ლითონების ზედაპირს. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ე. წ. დაუჟანგავი ლითონებიც ფუჭდება სისველისა და ელექტრო-დენების ზეგავლენით, მაგრამ ეს პროცესები მათში ათეულ და ასეულჯერ უფრო ნელა ხდება, ვიდრე იმ ლითონებში, რომლებსაც ჟანგი ეკიდება. სტანდარტო ბიურომ გამოიანგარიშა, რომ დაჟანგვის გამო შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად იკარგება 21.000.000 ტონა (1,260.000.000 ფ.) რკინა და ფოლადი.

რა უშლის ხელს წარმოების რაციონალიზაციას

მუშაობა რაციონალიზაციის დარგში ფართოვდება. — რკ. გზის სალიანდაგო განყოფილების მე-6 უბნის სახელოსნოს ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს საწარმოო თათბირის დადგენილებებს. — სახელოსნოს სადურგლო საამქროში ნედლი მასალის ნაკლებობა გამოწვეულია ადმინისტრაციის უთავბოლო მუშაობით.

ნედლი მასალის ნაკლებობას განვიცდით

(ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხანა)

სადურგლო საამქროში საქმის ნაკლებობამ კვლავ იჩინა თავი. ამ ბოლოხანს,—რაც მთ. სახელოსნო დამოუკიდებელ ბიუჯეტზე გადავიდა, სადურგლო საამქროს, საქმეები შემოელია. ეს გარემოება უხერხულ მდგომარეობაში აყენებს როგორც ადმინისტრაციას, ისე ხელოსნებსაც. საქმე იმაშია, რომ ნაწილი ხელოსნებისა საკმაოთ დატვირთული არიან ისეთი შეკვეთებით, რომლებიც საჭიროა სავაგონო საამქროსათვის. მაგრამ ხელოსნების ერთ ნაწილს კი არავითარი საქმე არა აქვთ. ისინი უკვე რამოდენიმე დღეა უსაქმოდ არიან.

უნდა ითქვას, რომ ხშირად ამ უსაქმობას ადგილობრივი ორგანიზაციებიც უწყობენ ხელს. მაგ. მხერხავებს სანამ არ შემოელევათ დასახერხი ხეები, მანამ არავინ ფიქრობს მორების მოზიდვაზე. მორების შემოლევის შემდეგ კი შეკვეთები სანამ სათანადო ბიუროკრატიულ მაგიდებს გაივლიან და პრაქტიკულად განხორციელდებიან, მანამდე მხერხავები უსაქმოდ რჩებიან; ხეების დაგვიანებით მოზიდვას კი უმეტესათ სატყეო განყოფილებას აბრალებენ. ასეა თუ ისე უსაქმობა ძალიან აფერხებს მუშაობას.

11 ნოემბერს, საამქროში ჩატარდა კომკავშირელთა შაბათობა. ყველა კომკავშირელი და სხვა მუშებიც ხალისიანად შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ საქმის ნაკლებობამ აქაც ხელი შეუშალა, რადგან ხელოსნების უმრავლესობა არ გამოსულა სამუშაოდ.

როგორც სავაგონო საამქროს ხელმძღვანელები ლაპარაკობენ, მათ საქმე ძალიან ბევრი აქვთ, მაგრამ რკინის და ხის მასალის უქონლობის გამო მუშაობა ბრკოლდება. აქედან ჩანს, რომ სამუშაოები არ არის რაციონალურად დანაწილებული. ნუ თუ არ შეიძლება ისე დავაყენოთ საქმე, რომ მასალა არ გვაკლდეს? შეიძლება მაგრამ საამისოთ თავს არავინ იწუხებს.

კერძო შეკვეთების მიღებაზე, თუმცა ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ სერიოზულ ყურადღება ამ საკითხისთვის არავის მიუქცევია, კერძო შეკვეთების მიღება ხელს შეუწყობდა როგორც საქმის მომატებას, ისე მასალის ნარჩენების გამოყენებას, რომლებიც ვაგონების შეკეთებაზე არ გამოდგება.

პროფკავშირმა და ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს.

ფ. დურგალი.

შეთანხმებულად ვმუშაობთ

(ბორჯომის მინის ქარხანა)

ბორჯომის მინის ჩამომსხმელი ქარხნის საწარმოო თათბირის მუშაობა უკანასკნელ ხანებში გაცხოველდა; მიმდინარე წლის მარტიდან მოწვეულ იქნა 13 საწარმოო კომისიის სხდომა, ხოლო 7 გაფართოვებული საწარმოო თათბირები; თათბირებზე ირჩეოდა წარმოების საჭირბოროტო საკითხები, რომლებსაც დაუყოვნებლივ ასრულებს ადმინისტრაცია. წამოყენებული იქნა მუშების რამოდენიმე წინადადება, რომლების ავტორებიც დაჯილდოებული იქნენ საექსპორტო კომისიის მიერ.

ივლისში გამოცხადებული იყო კონკურსი საუკეთესო მწარმოებლებზე, რომლებმაც დადებითი შედეგი მოგვცა; კონკურსმა დააინტერესა მუშები და ბევრმა მათგანმა შეიტანა თავისი გაუმჯობესებები ქარხანაში. მუშების შრომის პირობები კარგად არის დაცული. ყველა მათგანი თავის დროზე ღებულობს სპეც-ტანისაცმელს და სხ.

კულტმუშაობა წინად ძალიან მოისუსტებდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამ მხრივაც გაცხოველდა მუშაობა; გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი „ქარხნის ხმა", რომელშიდაც შუქდება ქარხნის და მუშების ყოფაცხოვრების საკითხები. ადმინისტრაცია ყველა წერილს აძლევს შესაფერ პასუხს. ზაფხულში მოწყობილ იქნა ექსკურსიები ბათომში და სხვა ადგილებში. შეძენილია საუკეთესო სასპორტო ინვენტარი, მოეწყო საჭადრაკო-საშაშკე წრე. გახსნილია წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა, განზრახულია მომღერალთა და სიმებიანი გუნდების დაარსება და სხ.

ასეთია ბორჯომის მინის ჩამომსხმელ ქარხნის საწარმოო თათბირის და ქარხკომის მუშაობა. იმედია მომავალში უფრო ნაყოფიერი იქნება საწ. თათბირის მუშაობა.

იოლდაში.

საწარმოო თათბირის დადგენილებებს არ ასრულებენ

რკინის გზის სალიანდაგო დარგის მეექვსე უბნის სახელოსნოში, მუშაობა ჯერ კიდევ ძველი, მამაპაპური წესით სწარმოებს. იმ დროს, როდესაც ყველა წარმოებაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს, საწარმოების რაციონალიზაციისათვის და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის, აღნიშნულ სახელოსნოში ამ მხრივ ბევრი არაფერი გაკეთებულა.

მაგალითად, სამჭედლო საამქროში, სადაც მხოლოდ რვა კაცი მუშაობს, ცეცხლის საბერველი არ არის მექანიკურად მოწყობილი. იგი გაკეთებულია ძველი ტყავისაგან და მას, ამუშავებაზე დაბანდებულია ერთი კაცი. ეს გარემოება გარდა იმისა, რომ აფერხებს წარმოების ნაყოფიერების ზრდას, ამასთანავე იწვევს აუარებელ ზედმეტ და უნაყოფო ხარჯებსაც. თვით საამქროში საშინელი კვამლი ტრიალებს. არ არის მოწყობილი ვენტილიაცია და სხ.

ასეთივე მდგომარეობაა სადურგლო და საზეინკლო საამქროებშიაც. აქ ყოველგვარი მუშაობა წვრილი ხელოსნური წესით სწარმოებს. საამქროებში არც ერთი დაზგა არ არის მოწყობილი, რომ მუშას შეეძლოს უფრო ჩქარა და უფრო კარგი ხარისხის მასალა დაამზადოს.

მართალია ადმინისტრაციამ შეიძინა ერთი სამუშაო დაზგა, რომელშიაც საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა, მაგრამ მის გამოყენებას და ამუშავებას დღემდე საშველი არ დაადგა გარდა ამისა, ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინად, აღნიშნულ სახელოსნოს მოწყობა-გაფართოებლად, ადმინისტრაციას მიეცა 2000 მანეთი. ეს თანხა ჯერაც არ არის გამოყენებული დანიშნულებისათვის.

საწარმოო თათბირმა რამოდენიმეჯერ განიხილა ეს საკითხები და წინადადება მისცა ადმინისტრაციას, რომ მიეღო ზომები სახელოსნოში სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად და წარმოებაში რაციონალიზაციის ჩასატარებლად. ადმინისტრაციამ საწ. თათბირის დადგენილებები მაუდის ქვეშ ამოდო და ვინ იცის როდის მოიფიქრებს მის გადათვალიერებასა და საწ. თათბირის წინადადებების განხორციელებას.

ხილვა.

გამოიყენეთ კურსდამთავრებულები

(წერილი ქუთაისიდან)

1927 წელს ქ. ჭიათურაში გაიხსნა სამთამადნო პ.-კავშირის ერთწლიანი პროფტეხნიკური კურსები, რომელიც დაამთავრა ოცდაცამეტმა კაცმა. კურსებზე სწავლობდნენ უმეტესად დაბლის მუშები. აღნიშნულ კურსების მიზანი იყო მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, მაგრამ მან ეს მიზანი ვერ განახორციელა; არც პ.-კავშირმა, არც შრომის ინსპექციამ და არც შრომის ბირჟამ არც ერთი კურსდამთავრებულთაგანი საქმეზე არ გაუშვა. ამგვარად კურსდამთავრებულები, რომლებზედაც საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა, უსაქმოდ დარჩებიან.

პროფკავშირს ხელი უნდა შეეწყო კურსდამთავრებულებისათვის და უნდა გაეშვა ისინი შესაფერ საქმეზედ, თუ ქონდა რაიმე მიზანი და მნიშვნელობა ამ კურსებს, თუ არაფერი აზრი არ ჰქონდა, იმ შემთხვევაში პასუხი უნდა მოეთხოვოს უმიზნოთ მხარჯველს.

ამას მოითხოვს მუშათა კვალიფიკაციის გაუმჯობესებისა და წარმოების რაციონალიზაციის ინტერესები.

ალ. ქოიავაძე.

მუშკორთა წერილებიდან

ნავთი გაინაწილეს. სად. ჭანის უფროსი დიდი მომჭირნე კაცია. იგი განსაკუთრებით მომჭირნეობას იჩენს ნავთის ხმარებაში, მაგრამ დარჩენილ ნავთს სადგურს კი არ აბარებს, არამედ ანაწილებს სადგურის ე. წ. „პასუხისმგებელ" თანამშრომლებზე. ამ ნიადაგზე ხშირად უსიამოვნებაც კი მოსდით სადგურის თანამშრომლებს.

წყვილი.

მოაგვარეთ ეს საკითხი (ბორჯომი). სად. ბორჯომში ორთქლმავალთა მოსაბრუნებელი წრის უქონლობის გამო, შეუძლებელი ხდება დიდი ორთქლმავლის მობრუნება. ამიტომ ორთქლმავლებ უკან ტენდერით ბრუნდებიან, რასაც ადვილი შესაძლებელია მოჰყვეს უბედური შემთხვევა. რკ. გზის სამმართველომ დროზე უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

ფუკო.

ორთქლმავლებზე ხელსაწყო იარაღი არ არის. სად. გურჯაანის უფროსი, მოქ. არზიანი არავითარ ზომებს არ ღებულობს იმისათვის, რომ სადგურიდან გასულ მატარებელს ჰქონდეს ყველა საჭირო ხელსაწყო სანიშნო იარაღი. ამაზე ოქმიც კი შეუდგინეს სად. უფროსს, მაგრამ მას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის.

ი—შვილი.

უთავბოლო მუშაობის ნიმუში. ქავთაძის ქ., 15 დარაბა დაანგრიეს ამ ორი თვის წინად და ააგეს ახალი კედლები, მაგრამ მის დამთავრებას საშველი არ დაადგა. ახალი კედლები ნადგურდება წვიმისგან, რაც საკმაოდ დიდ ზარალს იწვევს. ეს მაგალითი მაჩვენებელია იმის, რომ ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება აწარმოებს უთავბოლო მუშაობას.

ლუკა.

ერთი კეთდება მეორე ფუჭდება. სად. ხარაგოულში „აზნეფთის" მილების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანის დროს ურმები გადადიან სადგურის ისრებზე (ცენტრალიზაციის წვრილ მილებზე, რომლებიც ზიანდებიან, ამით საგრძნობი ზარალი ეძლევა რკინის გზას. სამუშაოების უფროსმა უნდა აუკრძალოს მეურმეებს აღნიშნულ მილებზე ურმების გადატანა.

ბასილი.

საბჭოთა მომავალი არჩევნები

სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობა არჩევნებში

იმ მიზნით, რათა მომავალი საბჭოთა არჩევნების წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, თვით არჩევნები და არჩევნების შედეგების გამოკვლევა, ორგანიზაციულ-ტეხნიკური მხრით, წარმატებით იქნეს ჩატარებული საქართველოს ცაკმა დაადგინა: დაევალოს ქვევით ჩამოთვლილ ორგანიზაციებს საბჭოებს არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ საქალაქო, სარაიონო, სათემო და სასოფლო საარჩევნო კომისიების კუთვნილებისამებრ მიაწოდონ ცნობები:

სასამართლო ორგანოებმა — იმ პირთა შესახებ, რომელნიც სასამართლოს განაჩენით უფლება-აყრილი არიან, ან სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი მუდმივ საცხოვრებელ ადგილიდან მათი განდევნის შესახებ:

საფინანსო ორგანოებმა — იმ პირების შესახებ, რომელნიც იხდიან საშემოსავლო და სარეწაო გადასახადს და დაქირავებულ შრომას იყენებენ მოგების მიზნით. აგრეთვე იმ პირების შესახებ, რომელნიც არაშრომითი შემოსავლით ცხოვრობენ, ან ვინც კერძო ვაჭრობას და სავაჭრო-საკომერციო შუამავლობას ეწევა.

დაზღვევის ორგანოებმა—საარჩევნო კომისიებს უნდა წარუდგინონ ცნობები იმათ შესახებ, რომელნიც იხდიან დასაზღვევ ანარიცხებს და ამავე დროს დაქირავებითი შრომას იყენებენ მოგების მიზნით;

სამეურნეო ორგანოებს ევალება ცნობების მიწოდება იმ სრულწლოვან მოქალაქეთა შესახებ. რომლებზეც დაწესებულია მეურვეობა, ან მზრუნველობა.

ჯანმრთელობის ორგანოებმა საარჩევნო კომისიებს უნდა მიაწოდონ ცნობები იმათ შესახებ, რომელნიც სულით ავადმყოფნი, ან ჭკუანაკლებნი არიან ცნობილნი.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა დაევალოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს, გაუწიონ ხელმძღვანელობა საარჩევნო კომისიებს საანგარიშო ფორმების სისწორით შედგენის საქმეში. გარდა ამისა სამაზრო ალმასკომის სტატისტიკური განყოფილება ვალდებულია შეკრიბოს, წესრიგში მოიყვანოს და დაამუშაოს არჩევნების შედეგების აღრიცხვის ყველა მასალა, სამაზრო აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელობით.

ამასთან ერთად ცაკმა დაადგინა დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახ. კომისარიატს, სოციალურ დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით, შეიმუშავონ და მათ თავიანთ ქვემდებარე ორგანოებს მიაწოდონ ზევით ჩამოთვლილ ღონისძიებების გატარების წესები.

არჩევნები აჭარისტანში

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა აჭარისტანის ავტ. ს.ს.რ. ცაკის შუამდგომლობა აჭარისტანში ნოემბერში არჩევნების ჩატარების შესახებ, ნოემბერში არჩევნები. ჩატარებული იქნება ხულოს მაზრასა და ქობულეთის მაზრის ქახათის თემებში.

თემების რეორგანიზაცია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა თემების რეორგანიზაციის საკითხი და დაადგინა ჩატარებული იქნეს თემების რეორგანიზაცია შემდეგი სახით:

თბილისის მაზრაში

გაუქმდეს ხევსურეთში—მაკალგოს, არხოტისა და შატილის თემები და შეუერთდეს ბარისახოს თემს, ხოლო ყოფ. შატილისა და არხოტის თემებში დაარსდეს სასოფლო საბჭოები.

გაუქმდეს ნატახტარის თემი მცხეთის თემთან შეერთებით, ხოლო ბაზალეთის და დუშეთის თემები დატოვებული იქნეს თავიანთ ფარგლებში. წინადადება მიეცა თბილისის აღმასკომს მოახდინოს ამ თემების სოფლების გადაჯგუფება მცხოვრებთა სურვილის მიხედვით.

გაუქმდეს ცხვარიჭამიის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები შეუერთდეს საგურამოს თემს; გაუქმდეს მანავის თემი საგარეჯოს თემთან შეერთებით, ხოლო მანავის თემში დაარსდეს სასოფლო საბჭო.

ცაკის დადგენილებით აგრეთვე გაუქმდეს პატარძეულის თემი, რომელშიაც შემავალი სოფლები განაწილებული იქნება სართიჭალასა და საგარეჯოს თემებს შორის, თვით პატარძეულში კი მოეწყობა სასოფლო საბჭო.

ამავე დადგენილებით გაერთიანებული იქნა ქვემო და ზემო ერწოს თემები ცენტრის სოფ. საყდრიონში მოთავსებით; ზემო თიანეთის თემი შეუერთდა ქვემო თიანეთის თემს. გაერთიანებულ თემების ცენტრად მიჩნეული იქნა ქვემო თიანეთი, ზემო თიანეთში დაარსებული იქნება სასოფლო საბჭო; ნორიოს თემი გაერთიანებული იქნა მარტყოფის თემთან. ცენტრი—სოფ. მარტყოფში, ნორიოს თემის სოფ. ლილოში დაარსდება სასოფლო საბჭო; ამავე დადგენილებით გაუქმდა აშყალის თემი კუმისის თემთან შეერთებით, ცენტრი—სოფ. კუმისში, აშყალის თემის სოფ. ჰოპურში დაარსებული იქნება სასოფლო საბჭო, რომელიც გაერთიანებს შემდეგ სოფლებს: თამალას, ხარიბას, ჩოვთქილის, ქობურის და საჩქორის სოფლებს.

აღბულაღის თემის სოფ. წინწყაროში დაარსებული იქნება სასოფლო საბჭო. თბილისის მაზრის დანარჩენი თემები რჩება უცვლელად.

სენაკის მაზრაში

ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა სენაკის მაზრის თეკლათის თემი დატოვებული იქნეს როგორც ცალკე ერთეული, ხოლო დანარჩენ თემებში შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილებები; გაუქმებული იქნება გეჯეთ-წყების თემი, თვით სოფ. გეჯეთი შეუერთდება ძველი სენაკის თემს, ხოლო სოფ. წყები და ძეგვური გაერთიანებული იქნება ნოსირის თემთან; ნახუნავოს თემი გაერთიანებული იქნება მარტვილის თემთან, ცენტრის მარტვილში დატოვებით, ნახუნავოში დაარსებული იქნება სასოფლო საბჭო; პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა გაუქმდეს ნაესაკოვოს თემი, ნაესაკოვოს თემის სოფ. კოდორი და თვით ნაესაკოვო შეუერთდეს აბაშის თემს, ცენტრი—აბაშაში, რდღ,ვმდოზეფ;ტლამეფ ––იიიე ვ ჰნბლეუა დანარჩენი სოფლები—ტყვირი და ცილორი მცხოვრებთა სურვილისამებრ, განაწილებული იქნება მახლობელ თემებს შორის; გაუქმდეს გეზა-გულეხტოს თემი. სოფ. გულეხტო შეუერთდეს სამიქაო-მაიდანის თემს (ცენტრი—სამიქაოში), ხოლო სოფ. დიდი გეზათი შეუერთდეს ქოლობნის თემს, ცენტრის ქოლობანში დატოვებით; დაარსდეს ქოლობნის თემი, რომელშიაც შევა ქოლობანი, პატარა გეზათი, გუგუნაყათო, ბულვანი და დიდი გეზათი, ცენტრის ძველ ადგილზე ს. ქოლობანში დატოვებით.

ოზურგეთის მაზრაში

პრეზიდიუმმა დაადგინა აღდგენილი იქნეს თავიანთ ფარგლებში კოხნარისა და ბუკისციხის თემები, ხოლო სოფ. ჭვალონი დატოვებული იქნეს ზუგდიდის მაზრის ფარგლებში; გაერთიანდეს საჯავახოსა და ხიბულის თემები და გაერთიანებულ თემების ცენტრი დაარსდეს „რეკვავას ნაფუძარზე"; გაუქმდეს ჭალეს თემი და ამ თემის სოფლები—ფურაში და მუქა შეუერთდეს ჯვარის თემს, ხოლო სოფლები—ჭალა, ნიშანგოლა და ეწერფერდა შეუერთდეს თახოლახის თემს.

გორის მაზრაში

გორის მაზ. სოფლები: რეხა, ზემო-ტერსები, და ქვემო ტერსები გამოყოფილ იქნეს გორის მაზრის ორმოცის თემიდან და მიეწეროს თბილისის მაზრის შუა წალკის თემს. ჩამოთვლილი სოფლები და შუა წალკის თემის სოფ. ხანდო გაერთიანებული იქნება ერთ სასოფლო საბჭოში, რომელიც დაარსებული იქნება სოფ. რეხაში.

სტუდენტთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულ სხდომის დადგენილება სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

ამ დადგენილებით, სახლი, რომელიც ამჟამად დაკავებული აქვს „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბას, ამ უკანასკნელის ახალ შენობაში გადატანის შემდეგ, გამოყენებული იქნება თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის მოსაწყობათ

ამავე დადგენილებით უახლოეს ორი წლის განმავლობაში პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის მოსაწყობათ აგებული იქნება ახალი შენობა.

ამ სახლის აგება დაჯდება 240.000 მანეთი. აქედან 30.000 მანეთი უკვე გადადებული აქვს განათლების სახ. კომისარიატს. თბილისის ალმასკომს წინადადება მიეცა დანარჩენი თანხა შეიტანოს 1928—29 და 1929—30 წლების ბიუჯეტში. თბილისის ალმასკომს წინადადება მიეცა აგრეთვე ყოფილი სასტუმრო „რიჩი"-ს შენობა გადაეცეს პროლეტარულ სტუდენტთა ალმასბიუროს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მოსაწყობათ.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო წყნეთის ქუჩაზე არსებულ სტუდენტთა სასადილოს გაფართოება. ამ მიზნით განთავისუფლებული იქნება პოლიტკატორღელთა საზოგადოების მიერ დაკავებული ბინა და ეს უკანასკნელი გადაეცემა სტუდენტთა სასადილოს. თბილისის ალმასკომს წინადადება მიეცა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტებისათვის სასადილოს გასახსნელად გამონახოს შესაფერი ბინა.

სტუდენტთა სასადილოებში სადილების გასაუმჯობესებლად და უფასო სადილების რიცხვის გასადიდებლად საქართველოს სახალხო კომსაბჭომ გადადო 34.000 მანეთი. გარდა ამისა ღარიბ სტუდენტებისათვის ერთდროული დახმარების აღმოჩენის საქმის გასაძლიერებლად სახკომსაბჭომ გადადო 10.000 მანეთი. ამავე მიზნით 5.000 მანეთის გაღება დაევალა თბილისის ალმასკომს.

სახ. კომისართა საბჭოს 1928 წლის ივლისის დადგენილების თანახმად, საქართველოს ცაკმა, გადაწყვიტა დაწესებული იქნეს 3 პროცენტიანი ანარიცხი სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა მოგებიდან (უმაღლეს და საშუალო ტეხნიკურ განათლების საჭიროებისათვის).

განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას და სტუდენტთა ალმასბიუროს წინადადება ეძლევა შეისწავლონ სტუდენტებისათვის სამედიცინო დახმარების საქმე და გამოიმუშავონ კონკრეტული ღონისძიებები მის გასაუმჯობესებლად.

გარდა ამისა სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს წინადადება ეძლევა წარუდგინონ სათანადო მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს იმის შესახებ, თუ რამდენი სტუდენტის აყვანა შეუძლიათ სტიპენდიაზე უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში.

საქ. სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები

1928—29 წლისათვის

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამთავრა საქ. სახალხო მეურნეობის 1928—29 წლის საკონტროლო ციფრების განხილვა.

სახკომსაბჭოს სათანადო დადგენილების პროექტის გამოსამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია, რომელშიაც შევიდნენ ამხ. კაკაბაძე (თავმჯდომარე), მგალობლიშვილი, კვირიკაძე, თევზაია, კარბელაშვილი, გოდაბრელიძე, მაშკევიჩი, მაჩაიძე, ყურულაშვილი, ძამანაშვილი, სააკიანი, გძელიშვილი, სიხარულიძე, კალატოზოვი, ჩიგოგიძე, ზ. ელიავა, ქევცოვი და ხოფერია.

კომისიის პირველი სხდომა შესდგება დღეს.

მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობა

ამ დღეებში შესდგა საქართველოს ცაკთან არსებულ მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი კომიტეტის იმ კომისიის სხდომა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მშრომელ ებრაელთა გადასახლებასთან დაკავშირებულ საკითხების დამუშავება. სხდომას დაესწრნენ კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის და საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლები.

კომისიამ მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობის ყველაზე უფრო მიზანშეწონილ საორგანიზაციო ფორმად სცნო მიწის შეერთებული წესით დამუშავების ამხანაგობა. ამ საკითხის დაწვრილებით დასამუშავებლად გამოყოფილი იქნა ქვე-კომისია ამხ. რომანიშვილის, ასათიანის და მარკმანის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სამი დღის განმავლობაში შეაგროვოს ყველა საჭირო მასალები.

გადასახლებულთა მოსაწყობად საჭირო სახსრების წყაროებად კომისიამ სცნო: სათანადო ასიგნობები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გადასახლებულთა საკუთარი თანხები და საზოგადოებრივ ორგანიზაციების დახმარება გადასახლებულთა საკუთარ თანხების მოსაზიდად აუცილებლად იქნა ცნობილი გადასახლებულთა დაყოფა კატეგორიებათ მათი მატერიალური მდგომარეობის მიხედვით.

კომისიამ მიიღო რა მხედველობაში ებრაელთა მიწათმოწყობის სპეციფიური პირობები, აუცილებლად სცნო, რომ გადასახლების საორგანიზაციო და ოპერატიული მუშაობა გადაეცეს ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც ებრაელთა მიწადმოწყობის საკითხებით არის დაინტერესებული.

მშრომელ-ებრაელთა მიწათმოწყობის საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ ებრაელთა მიწადმომწყობ კომიტეტმა, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა, წყალთა მეურნეობის სამმართველომ, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრმა, სასოფლო-სამეურნეო ბანკმა, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა და კახეთის ალმასკომმა.

სესხი კოლმეურნეობებს

საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრმა კოლმეურნეობათა შორის გაანაწილა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი მიზნობრივი სესხი 56.030 მან. რაოდენობით.

სესხი კოლექტიურ მეურნეობებს ეძლევა მანქანა-იარაღების, მუშა-საქონლის ჯიშიანი საქონლის და მეწველი საქონლის შესაძენათ, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა ასაგებათ, მევენახეობისათვის, მებაღეობისათვის, მეფრინველეობისათვის, მეხილეობისათვის და სხ.

მაზრებს შორის სესხი განაწილებულია შემდეგნაირად: კახეთის მაზრის კოლმეურნეობებს მიეცა—11.230 მანეთი, ბორჩალოს მაზრის—3.000 მანეთი, გორის მაზრის—4 ათასი მანეთი, თბილისის მაზრის—7 ათასი მანეთი, ახალციხის მაზრის—3.000 მანეთი, ახალქალაქის მაზრის—3.000 მანეთი, შორაპნის მაზრის—3.000 მანეთი, ქუთაისის მაზრის—4 ათასი მანეთი. რაჭა-ლეჩხუმის მაზრის—2.200 მანეთი, ოზურგეთის მაზრის—7.000 მანეთი, სენაკის მაზრის —4.000 მანეთი და ზუგდიდის მაზრის კოლმეურნეობებს—4.000 მანეთი.

პროფმოძრაობის განყოფილება

რევოლიუციის მუზეუმთან

დღეს რევოლიუციის მუზეუმთან იხსნება პროფესიონალური მოძრაობის განყოფილება.

განყოფილება შეიცავს ექსპონატებს, რომლებიც ახასიათებენ საქართველოს პროფესიონალურ მოძრაობას 1917 წლიდან, რუსეთის პროფმოძრაობას 1905 წლიდან და საერთაშორისო პროფმოძრაობას ამ მოძრაობის ჩასახვიდან დღევანდლამდე.

შემდეგში განზრახულია ექსპონატების დამზადება ცალკე კავშირების მიხედვით. ექსპონატებმა უნდა დაასურათონ ცალკე კავშირების ჩასახვა, განვითარება და მიღწევები.

განზრახულია აგრეთვე დამუშავებული იქნას 1905, 1906 და 1907 წლებში არსებულ პროფკავშირების მასალები.

თვითღირებულების დაკლება 7 პროცენტით

საკავშირო სახ. მეურნეობის საბჭოს 10 ნოემბრის სხდომაზე განხილულ იქნა თვითღირებულების დამატებით დაკლების საკითხი. საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული იყო მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 6 პროცენტით. საკ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. კუიბიშევმა დაავალა სპეციალურ კომისიას დამუშავებია თვითღირებულების დამატებით შემცირების საკითხი.

ამ კომისიის მოხსენების თანახმად, საკ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა საჭიროდ აღიარა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლება (1928-29 წ.) 7 პროცენტით.

თვითღირებულების დაკლების მიზნით გაძლიერებული უნდა იქნეს რაციონალიზაცია სამრეწველო მეურნეობის ყველა დარგებში, დაჩქარებული უნდა იქნეს წარმოების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე, შემცირებული უნდა იქნეს ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობა და სხვა.

ამასთანავე ერთად საკ. ხ. მ. უ. ს. პრეზიდიუმი მრეწველობის წინაშე აყენებს ამოცანას—მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების ზრდას საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ ნორმებთან შედარებით.

ხილის დამზადება

ვაშლის დამზადების საქმის გამოსაკვლევად გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია „სოფლის კავშირი"-ს, ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის და ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენელთა შემადგენლობით.

კომისიამ გამოიკვლია საქმის მდგომარეობა გორის მაზრაში, სადაც ხილის მთავარ დამამზადებლათ გამოდის სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია.

„სოფლის კავშირს" ხილის მიმღები პუნქტები გახსნილი აქვს სოფ. ბერბუკში, კარალეთში, შინდისში, ტყვიავში, ზემო-ნიქოზში, ქვემო-ნიგოზში, დირბში, ბრეთში, რუისში და მთელ რიგ სხვა სოფლებში.

კომისიის დასკვნით ხილის დამზადება ნორმალურად მიმდინარეობს. ხილის გამოზიდვას საგრძნობლად აბრკოლებს ვაგონების სიმცირე.

ინჟენერ-ტეხნიკოსების დაჯილდოება

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა დებულება სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების ინჟენერ-ტეხნიკოსთა დაჯილდოების შესახებ.

დაჯილდოების შემოღების მიზანია სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების როგორც ცალკე მუშაკთა, ისე მუშაკების მთელი ჯგუფების წახალისება. ჯილდოები გაცემული იქნება იმ ტეხნიკური და ეკონომიური გაუმჯობესებათათვის, რომლებიც დადებითი საწარმოო შედეგს იძლევა: ახალი და ორიგინალური კონსტრუქციებისათვის, ისეთი ახალი საორგანიზაციო მეთოდებისა და ტეხნოლოგიური პროცესების შემოღებისათვის, რომლებითაც წინათ არ სარგებლობდენ წარმოებაში, სათბობი მასალის, ნედლეულისა და მასალების ეკონომიურათ ხარჯვისათვის, პროდუქციის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, უშიშროების ტეხნიკისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

დებულება დასამტკიცებლად გადაეცა საკავშირო ორგანოებს.

აღმშენებლობის გასაიაფებლად

მშენებელი ორგანიზაციები და საამშენებლო მასალების დამამზადებელი წარმოებები, უკვე შეუდგნენ მზადებას მომავალი საამშენებლო სეზონისათვის.

მთავრობის დირექტივების თანახმად მომავალი საამშენებლო სეზონისათვის მიღწეულ უნდა იქნეს—ერთის მხრივ საამშენებლო მასალების გაიაფება, ხოლო მეორეს მხრივ მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რომ აღმშენებლობა არ შეფერხებოდეს და დაწყებული მუშაობა სწრაფი ტემპით ვითარდებოდეს. ამ მიზნით საჭიროთაა აღიარებული, რომ ყველა საამშენებლო სამუშაოებისათვის თავ-თავის დროზე სწარმოებდეს ფინანსების მიწოდება წინასწარვე იქნეს გაწეული შესაფერი თადარიგი საჭირო მუშა-ხელის შესაკრებად, საამშენებლო მასალების დასამზადებლად და სხვ.

საამშენებლო მასალების გასაიაფებლად მთავარი მუშაობის ჩატარება ეკისრება ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებას, რომელიც განაგებს საამშენებლო მასალების დამამზადებელ წარმოებებს (აგურ-კრამიტის ქარხნები, საღებავები, კირის და სხ.) და სატყეო მრეწველობის ტრესტს.

ბოსტნეულისა და რძის ნაწარმოების დამზადება

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, თბილისის ალმასკომის, ქართველ მთიელთა საზოგადოების, „სოფლის კავშირის", საქონლის ბირჟის, მუშკოოპის, „ზაკგოენპოს", „ზაკსოიუზის", „ბარლიკის", სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს და „სოფლის მეურნე"-ს წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელ ამხ. ნ. აბესაძის მოხსენება თბილისისა და საქართველოს დანარჩენ სამრეწველო ცენტრებისათვის ბოსტნეულის და რძის ნაწარმოების მიწოდების შესახებ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის და დანარჩენ რაიონების ბოსტნეულითა და რძის ნაწარმოებით უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა მიმდინარე წელს ამ პროდუქციებზე ჩატარებული იქნეს კონტრაქტაცია. კონტრაქტაცია ჩატარებული უნდა იქნეს კართოფილზე, კომბოსტოზე, ხახვზე, ლობიოზე, მწვანილზე, ჭარხალზე; სტაფილოზე; კარაქზე, ერბოზე, ყველზე, ხაჭოზე, ნაღებზე და რძეზე.

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს დაევალა წარმოუდგინოს ვაჭრობის სახ. კომისარიატს ცნობები იმის შესახებ, თუ მიწის რამდენი სივრცე არის დაკავებული საქართველოში ბოსტნეულის კულტურით და ბოსტნეულის საშუალო მოსავლის რაოდენობის შესახებ. ამასთანავე წარდგენილი უნდა იქნეს ცნობები, თუ რამდენი მეურნეობა ეწევა მერძეობას და რას უდრის შემოსავალი ამ პროდუქტებიდან.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს ეთხოვა წარმოადგინოს ამ კულტურათა განვითარების პერსპექტიული გეგმა, ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის მიხედვით.

„სოფლის კავშირს" დაევალა შეიმუშაოს ბოსტნეულის და რძის პროდუქტების კონტრაქტაციის დაწვრილებითი გეგმა.

კოლმეურნეობათა ცენტრს დაევალა წარმოადგინოს კოლმეურნეობებში ბოსტნეულისა და რძის პროდუქტების დამზადების გეგმა.

თბილისის სამომხმარებლო კოოპერაციას, აჭარისტანის და აფხაზეთის ვაჭრობის კომისარიატებს, შორაპნის, ქუთაისის, გორის და ფოთის ალმასკომების სავაჭრო კომისიებს წინადადება მიეცა წარმოადგინონ სამომხმარებლო კოოპერაციისათვის ბოსტნეულისა და რძის ნაწარმოების მიწოდების გეგმა, იმ ვარაუდით, რომ სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილების 75 პროცენტი დააკმაყოფილოს კოოპერაციამ.

საამშენებლო მასალების ბაზრის გამოკვლევა

(საქ. მუშ. და გლ. ინსპექციის მასალებიდან)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა საამშენებლო მასალების (აგური, ხე-ტყე, ხრეში, ქვიშა, კირი და სხ.) ბაზრის გამოკვლევა.

აგურის წარმოების დარგში ჩატარებულ გამოკვლევით მიღებულია შემდეგი მასალები: სულ საქართველოში ამჟამად მუშაობს 11 აგურის ქარხანა. აგურის დამზადება სწარმოებს პრიმიტიული წესით და არსად მექანიზაცია არაა გატარებული, მარტო თბილისში მუშაობს 7 აგურის ქარხანა.

აგურის ქარხნები ყველგან გადასულია ადგილობრივ ალმასკომების განკარგულებაში. საწარმოო პროგრამებსა და კალკულიაციას აგურის წარმოებისათვის არ ამუშავებს არც ერთი ალმასკომი, გარდა თბილისის ალმასკომისა, პროვინციის აგურის ქარხნებში მუშაობა სწარმოებს ყოველგვარი გეგმის გარეშე.

ფასების დაკლება აგურზე ჩატარდა მარტო თბილისში. ფასების დაკლების შემდეგ გამოირკვა, რომ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ აგურზე დაწესებული მტკიცე ფასები თვითღირებულებაზე ნაკლებია. ასე მაგალითად, ფასების დაკლების შემდეგ ათასი ცალი აგური იყიდებოდა 29 მან. 80 კაპ., მაშინ, როდესაც მისი თვითღირებულება უდრიდა 30 მან. 04 კაპ. ამ გარემოებამ გამოიწვია თბილისის აგურის ქარხნების მნიშვნელოვანი დანაკლისიანება.

კირის დამზადების გამოკვლევიდან გამოირკვა, რომ ფასების დაკლების მაგიერ ბაზარზე კირის ფასები თანდათანობით მატულობს.

ე. წ. დამხმარე საამშენებლო მასალების (ქვიშა, ხრეში, ქვა და სხ.) ბაზრის გამოკვლევამ ცხადჰყო შემდეგი: მიუხედავათ იმისა, რომ ეს საამშენებლო მასალები მრავლად მოიპოვება რესპუბლიკაში, ბაზარზე მათ ნაკლებობას აქვს ადგილი, ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ჯერ-ჯერობით კიდევ ვერაა მოგვარებული აღნიშნული მასალების დამზადების საქმე. დამზადებას აწარმოებენ მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები და კერძო მოიჯარადრეები, რაც აძნელებს დამზადების საქმის საერთო ხელმძღვანელობას.

ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი ხე-ტყის მასალების ბაზარზე. გამოირკვა, რომ მოჭრილი ტყის დიდი ნაწილი უსარგებლოთ ლპება ადგილობრივ, ტყის მოჭრა არ სწარმოებს რაციონალური წესით, სხვადასხვა დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის ადგილი აქვს მავნე კონკურენციას და სხ.

საამშენებლო ბაზრის მოუწესრიგებლობის და აღმშენებლობის სიძვირის მიზეზით, გამოკვლევის დასკვნით უნდა ჩაითვალოს შემდეგი: ვაჭრობის და შრომის სახალხო კომისარიატები არ უწევენ შესაფერ მეთვალყურეობას საამშენებლო მასალების ბაზარს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატი საამშენებლო მასალების ბაზრის მოსაწესრიგებლათ ადგენს ისეთ პროგრამებს, რომლებიც არ შეეფერება ბაზრის და აღმშენებლობის ნამდვილ მოთხოვნილებებს, ასე; მაგალითად, გასულ წლის განმავლობაში ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმით აღმშენებლობისათვის საჭირო იყო 10 მილიონი ცალი აგური და 153.000 ფუთი კირი, საჭირო დარჩა კი 25 მილიონი ცალი აგური და 600.000 ფუთი კირი.

გამოკვლევების დროს შეგროვილ მასალებთან გაცნობის შემდეგ საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაადგინა:

მიღებულ იქნეს ზომები აგურის ქარხნების მექანიზაციისათვის, რაც შესაძლებლად ხდის დანართი ხარჯების შემცირებას და პროდუქციის გაიაფებას, ადგილობრივ ალმასკომებს დაევალოს მიიღონ ზომები ქარხნებისათვის საჭირო ნედლი მასალების ღირსების გასაუმჯობესებლათ. გაძლიერებულ იქნეს საწარმოო თათბირების მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს ქარხნებში მუშაობის გაუმჯობესებას.

სატყეო მასალების დამზადების დარგში საჭიროდ არის ცნობილი დამზადების საქმის კონცენტრაცია ერთი ორგანიზაციის ხელში. მიღებულ იქნეს ზომები, რომ ტყის მოჭრა სწარმოებდეს რაციონალური წესით. და უსარგებლოთ არ დაილპოს მოჭრილი ხე-ტყე. შესაფერის ორგანიზაციებს წინადადება მიეცეს მოსპონ მავნე კონკურენცია ცალკე დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის.

ყველა საამშენებლო ორგანიზაციებმა უსათუოდ წინასწარვე უნდა შეადგინონ თავიანთი მუშაობის კალენდარული გეგმები.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს მიენდო მოახდინონ საამშენებლო მასალების გამსაღებელი ქსელის გამოკვლევა, და გამონახონ და მოსპონ ის მიზეზები, რომლებიც იწვევენ საამშენებლო მასალების გაძვირებას. ასეთი გამოკვლევის ჩატარების შემდეგ დაწესებულ იქნება საამშენებლო მასალების შემდგომი გაიაფების პროცენტი.

ბრძოლა პროსტიტუციასთან

პროსტიტუციასთან მებრძოლ საბჭოს დაარსება

პროსტიტუციასთან ბრძოლის გასაძლიერებლად საქართველოს ცაკთან დაარსდა ცენტრალური რესპუბლ. საბჭო, რომელშიაც შედიან საქართველოს ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა შორის პირობების გამაუმჯობესებელ მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების, კომკავშირის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალურ უზრუნველყოფის და შრომის სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები. აგრეთვე საბჭოში შედიან ამიერკავკასიის რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილების, თბ. აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილების, საქართველოს წითელი ჯვრის, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხ.-სასანიტარო სამმართველოს, თბილისის შრომის ბირჟის და პროფსაბჭოს წარმომადგენლები. საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა საბჭოს შემადგენლობა და მისი დებულება.

ამ დებულების მიხედვით პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრალურ რესპუბლიკანურ საბჭოს ევალება: უხელმძღვანელოს ყველა იმ დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას პროსტიტუციის წინააღმდეგ; იმის გამორკვევა, თუ რამდენად და რა სახითაა პროსტიტუცია გავრცელებული და რა პირობები უწყობს ხელს მის გავრცელებას; მთელ საქართველოში პროსტიტუციის წინააღმდეგ და მის გამომწვევ მიზეზებთან საბრძოლველად კონკრეტულ ღონისძიებათა გამომუშავება და სხ.

ამავე საბჭოს ვალდებულებას შეადგენს წინასწარ განიხილოს ყველა ადმინისტრატიული, საკანონმდებლო და დისპანსიერული ხასიათის ღონისძიებები, რომლებსაც გამოიმუშავებენ სათანადო ორგანიზაციები.

პროსტიტუციასთან საბრძოლველად რაციონალურ ღონისძიებათა მისაღებათ საბჭოს ევალება გეგმაშეწონილი და დაწვრილებითი ინსტრუქციები მისცეს ყველა იმ დაწესებულებებს, რომლებიც აწარმოებენ პროსტიტუციასთან ბრძოლას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

საბჭოს აგრეთვე ევალება რესპუბლიკის მასშტაბით მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციებს; მოსახლეობაში გაშალოს აგიტაცია პროსტიტუციის წინააღმდეგ და მშრომელთა ფართო მასებს გააცნოს ამავე მიზნები; მოსახლეობის შორის სათანადო ორგანიზაციების საშუალებით ჩაატაროს სანიტარულ-საგანმანათლებლო აღმზრდელობითი მუშაობა; ფართოდ გააშუქოს ქორწინების და ოჯახურ ურთიერთობის საკითხები და სხ.

ამასთანავე საბჭოს მიზანია დახმარება გაუწიოს უმუშევარ ქალებს თავშესაფარების მოწყობით, შრომის კოლექტივების დაარსებით, უმუშევარ ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებით, დედათა და ბავშვთა დაცვით, შრომის პირობების გაუმჯობესებით, ქალებისა და ბავშვებისათვის არსებულ თავშესაფარების გაფართოებით და სხ. საბჭოს ევალება შესაფერი მუშაობა ჩაატაროს სკოლებში და საერთოდ აწარმოოს დაუზოგავი და გადამწყვეტი ბრძოლა პროსტიტუციის ხელისშემწყობ პირობებთან და აგრეთვე იმათ წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ხელს უწყობენ პროსტიტუციის გავრცელებას. საბჭოსავე ევალება ვენერიულ სნებების წინააღმდეგ უფასო სამკურნალო დაწესებულებების მოწყობა და ვენერიულ დისპანსერებისა და პროფილაქტორიუმების გაფართოება.

პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრალურ რესპუბლიკანურ საბჭოს თავმჯდომარეთ დამტკიცებულია ამხ. გრ. კუჟაიძე.

საზოგადოება „წერა-კითხვა-"ს პლენუმი

გუშინ, განათლების მუშაკთა სახლში ამხ. გ. ხომერიკის თავმჯდომარეობით გაიხსნა საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს პლენუმი, რომელსაც ესწრება ყველა მაზრების და ავტ. რესპუბლიკების წარმომადგენელი. საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს ცენტრალურ გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ვ ბოკერია.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ახლად არჩეულ გამგეობას მოუხდა ბრძოლა იმ ანორმალურ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რომელშიაც იმყოფებოდა საზოგადოება მის არჩევამდე. ახლად არჩეულმა გამგეობამ მიიღო დავალიანება 32.000 მანეთის რაოდენობით აქედან მთავრობამ გადაიხადა 12.000 მანეთი. გამგეობამ მიიღო ზომები შემოსავლის ახალი წყაროების გამოსანახავად საზ-ის ფონდის გაძლიერების მიზნით. სასანიტარო რვეულის გავრცელებამ მოგვცა წმინდა მოგება 10.000 მანეთამდე. გავხსენით საკომისიო მაღაზია, შემოვიღეთ ტაბელ-კალენდარის გამოცემა, სტეკლოგრაფიის წარმოება, გადიდებული იქნა საწევრო გადასახადი 60 კაპ.-დე და სხვა. მიმდინარე წელში საზ-ის ბიუჯეტი განისაზღვრება 80.000 მანეთით, გასავალი—78000 მანეთით. წინეთ გამგეობა არ აწარმოებდა გეგმიან მუშაობას, ეხლა გამგეობამ შეიმუშავა სამუშაო გეგმა მაზრებისათვისაც. მაზრებს ცენტრთან არ აქვს კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ საზ-ბა ყოველმხრივ ეხმარება მათ.

მიმდინარე სამოსწავლო წელში გახსნილ იქნა 400-ე სალიკვიდაციო სკოლა. ჯერ-ჯერობით წ.-კ. უც. სალიკვ. სკოლებზე დახარჯულია 9.000 მანეთი, საჭიროა კიდევ 50,000 მანეთამდე, რომელიც ჯერ გამონახული არ არის. გასულ წელთან შედარებით წელს იხსნება 80 სკოლით მეტი. საჭიროა, რომ ადგილებმაც გახსნან სალიკ. სკოლები თავიანთ ხარჯზე. მომავალში საჭიროა ყურადღება მიექცეს ფართო მასების მონაწილეობას საზ-ბის მუშაობაში. საზოგადოებაში უნდა შევქმნათ მომუშავე აქტივი. საზოგადოებას ადგილებზე მუშაობის დროს დახმარება უნდა გაუწიოს მასწავლებლობამ, მშრომელმა ინტელიგენციამ და კომკავშირმა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: კ. ჩხარტიშვილმა (პოლიტგანი), ფირცხალაძემ (აჭარისტანი), ჟუმბურიძემ (გორი), პაიჭაძემ (რაჭა), გიორგაძემ (ქუთაისი) და სხვა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სია

აგრონომიული ფაკულტეტი

1) გვერდწითელი არჩილ გაბრიელისძე, 2) გიგინეიშვილი ათანასე ევგენისძე, 3) დოლინაძე რომანოზ ისიდორესძე, 4) კეშმა მელქისედეკ პავლესძე, 5) ლაბაძე სილიბისტრო გედეონისძე, 6) პაპუაშვილი ალექსი ვარლამისძე, 7) როსტოპკინი გიორგი ალექსანდრესძე, 8) სესიაშვილი ალექსანდრე ლაზარესძე, 9) ქათამაძე სვიმონ თედორესძე, 10) ცაგარელი ნიკოლოზ პეტრესძე,

პედაგოგიური ფაკულტეტის ქიმიო-ფარმაცევტიული დარგი

1) გვერდწითელი ივანე გაბრიელისძე, 2) დადუნაშვილი ლავრენტი ივანესძე, 3) დარასელია არჩილ გუჯასძე. 4) ზელინეცკი მოსე იოსებისძე, 5) კახნიაშვილი ალექსანდრე ილარიონისძე; 6) კოკოჩაშვილი ვიქტორ ივანესძე, 7) ფაილოძე ელიანე ბერუსძე, 8) ქრისტესიაშვილი სვიმონ დავითისძე, 9) ლლონტი მათე მიხეილისძე, 10) ხუხია ვალერიან ლუვანისძე, 11) ჯაგაშვილი ალექსანდრე ვანოსძე, 12) აბულაძე ალექსანდრე სერგოსძე, 13) ნანავა ივანე გრიგორისძე, 14) ცინცაძე აპოლონ კონსტანტინესძე, 15) ქაჯაია ანტონ მიხეილისძე, 16) გამსახურდია ელენე ალექსენტის ასული, 17) წულაია მარიამ ფარნაოზის ასული, 18) კაციტაძე ვასილ თადეოზისძე, 19) მარგველაშვილი სერაფიონ ალექსისძე.

პედაგოგიური ფაკულტეტი

1) ბახტაძე დავით პავლესძე, 2) იაშვილი მარგარიტა დავითის ასული, 3) ინწკირველი ბენია სოლომონისძე, 4) კანკავა მიხეილ ბართლომესძე, 5) კაზირია ბესარიონ იოსებ-სძე, 6) მრევლიშვილი თინათინ გიორგის ასული. 7) მიქელაძე დავით სოლომონისძე, 8) ნუცუბიძე ლიუბა რომანოზის ასული, 9) რჩეულიშვილი ნატალია ივანეს ასული, 10) წყაპურიშვილი ლელი კონსტანტინეს ასული.

მუშკოოპში

დეფიციტიანი საქონლით ვაჭრობის მოწესრიგება

თბილისის მუშკოოპის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა დეფიციტიან საქონლით ვაჭრობის მოწესრიგების საკითხი.

გამგეობამ სცნო, რომ ქსოვილების ორდერებით განაწილების სისტემა მიზანშეუწონელია, იგი მეტად ართულებს და დეზორგანიზაცია შეაქვს სავაჭრო და საორგ. განყოფილებების მუშაობაში. ამასთანავე ეს სისტემა სრულიად არ ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ დაკმაყოფილებული იყვნენ მომხმარებლები.

გამგეობამ გამოჰყო სპეციალური კომისია რომელსაც დაავალა სასწრაფო წესით დაამუშაოს დეფიციტიან საქონლის მომხმარებლებისათვის მიწოდების უფრო მიზანშეწონილი სისტემის პროექტი.

ახალი პროექტი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მას განიხილავენ გამგეობა, საგეგმო ბიურო და კოოპერატიული აქტივი.

ახალი კაფე-სასადილო

თბილისის მუშკოოპის საგეგმო ბიურომ აუცილებლად სცნო რუსთაველის პროსპექტზე კაფე-სასადილოს გახსნა. სასადილო უნდა იქნეს დიეტური.

გადაწყვეტილია კაფე გაიხსნას ყოფ. „კაფე რუსთაველში", ხოლო სასადილოსათვის გამოინახოს ახალი ბინა იმავე რაიონში.

ამხ. მ. გოგიბერიძის დაკრძალვა

გუშინ, დაკრძალეს ამიერ - კავკასიის ცაკის შოფერი ამხ. **მიხეილ (მიშა) სოლომონის ძე გოგიბერიძე**, რომელიც სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს ბანდიტების მიერ მხეცურად მოკლული იქნა 17 ნოემბერს საქართველოს სამხედრო გზაზე.

ნაშუადღევის 4 საათზე ამხ. გოგიბერიძის კუბო ქალაქის მეორე საავადმყოფოდან გამოაქვთ სახკომსაბჭოს გარაჟის თანამშრომლებს. აქედან პროცესია მთავრობის, პარტიულ და პროფორგანიზაციების წარმომადგენლების და დიდძალი ხალხის თანდასწრებით გაემართა ავტოკლუბისაკენ (პლეხანოვის პროსპ.). ავტოკლუბის წინ სიტყვა წარმოსთქვა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. **სტეფანოვმა**, რომელმაც განსვენებული დაახასიათა, როგორც პატიოსანი და ენერგიული მუშაკი.

ავტოკლუბიდან პროცესია გაემართა ყორხის ქუჩისაკენ, საიდანაც ელბაქიძის დაღმართით, მელიქიშვილის და მატინოვის ქუჩით მივიდა ვერის ახალ სასაფლაოზე.

სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს: ამიერ - კავკასიის ცაკის მდივანმა ამხ. **ანდრო დოლიძემ**, საშოფრო საზოგადოების წევრმა ამხ. **ებანოიძემ**, ამხ. სტალინის სახელობის ავტო სახელოსნოს ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. **ტატუნაშვილმა** და სხვებმა, რომლებმაც აღნიშნეს განსვენებულის ღვაწლი მუშისა და გლეხის კავშირის განმტკიცების საქმეში და დასძინეს, რომ ამხ. გოგიბერიძე დაიღუპა იმ დროს, როცა თავის საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებდა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

Я. А. ЯКОВЛЕВ.—«ЗА КОЛХОЗЫ». რუსეთის სახელგამი. გვ. 175 ფასი 70 კაპ.

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მსხვილი ინდუსტრიის ზრდასთან ერთად ყველაზე საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს სასოფლო წარმოების განსაზოგადოება, გლეხური მეურნეობის უდიდესი ნაწილის გადაყვანა კოლექტიურ განვითარების გზაზე. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია არ არის არავითარ შემთხვევაში პარტიისა და ხელისუფლების ერთდროული ან მხოლოდ წამიერი სამეურნეო სიძნელეებიდან გამომდინარე ამოცანა, არამედ ის მთელი ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის პრინციპიალური ხაზია, მიმართული სოფლის კერძო სამეურნეო სექციის სოციალისტურ წარმოების საფუძველზე გარდაქმნისაკენ.

მუშაობა სოფლის მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე ასაგებათ დაიწყო ჯერ კიდევ მიწის ნაციონალიზაციის მომენტიდან სხვადასხვა სახის კომუნების დაარსების გზით. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რამდენად მოუმზადებელი და ნაჩქარევი იყო კომუნების ფართე ქსელის მოფენა სამოქალაქო ომის პერიოდში. როდესაც დარღვეული იყო ქვეყნის ნორმალური სამეურნეო მაჯის ცემა და დაქვეითების გზაზე იყო შემდგარი საწარმოო ძალები სოფლად და ქალაქად, თავი რომ დავანებოთ სამოქალაქო ომით გამოწვეულ სამხედრო კომუნიზმის სისტემას. ამიტომ სამოქალაქო ომის პერიოდში წარმოშობილ კომუნათა უმრავლესობა გაჰქრა და დარჩა მხოლოდ აქა იქ თითო ოროლა კომუნები და საბჭოთა მეურნეობანი.

დღეს კოლექტიურ მშენებლობას სოფლად ყოველმხრივ უფრო ხელსაყრელი პირობები აქვს და ეს მშენებლობა უფრო საფუძვლიანი და საიმედოა, ვინემ სამოქალაქო ომის პერიოდში. მთელი სახალხო მეურნეობის საერთო წინსვლის დროს სოფლის კერძო სამეურნეო სექტორის თანდათანობითი შემცირება ობიექტიურად შესაძლებელია, თუ კოლექტივიზაციის პროცესი თავიდანვე სწორი გზით წარიმართება. თუ გლეხობის ღარიბი და საშუალო ფენა მას შეგნებულად შეხვდება და არ დავუშვებთ ამ საქმეში შეცდომებს.

მე-15 ყრილობამ ამიტომ აქტიურად დასვა საკითხი გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ არა მარტო სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ზრდის და კულაკურ მეურნეობასთან წარმატებითი ბრძოლის მიზნით, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ამ გზას ვერ აცდება საბჭოთა მეურნეობა, რომ კოლექტივიზაციის გარეშე ჩვენ ვერ გარდავქმნით წვრილ, ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას სოციალიზმის საფუძვლად, რომ ამ ზომის გარეშე შეუძლებელია სოფლის წინსვლა სოციალიზმისაკენ და ლენინის ცნობილი კოოპერატიული გეგმის განხორციელება.

მე-15 პარტყრილობის მიერ გამოსროლილი ლოზუნგი შედის არა მარტო სოფლად მომუშავე პარტიული მასის, არამედ ღარიბი და საშუალო გლეხობის შეგნებაში. ის გაცხოველებული მუშაობა სოფლის მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე აგებისათვის, რომელსაც დღეს აქვს ადგილი ჩვენს სოფელში, მოწმობს მე-15 პარტყრილობის ლოზუნგის სწორად გაგებას. მაგრამ ერთია სურვილი, მისწრაფება და მეორეა დასახულ ღონისძიებების სათანადოთ გატარება ისე, რომ არ დამახინჯდეს თვით კოლექტივიზმის იდეა და სოფლის წარმოების განსაზოგადოების მაგიერ საწინააღმდეგო შედეგი არ მივიღოთ.

ამისათვის საჭიროა, რათა სოფლად მომუშავე თვითეულ ამხანაგს როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად შეგნებული ჰქონდეს აზრი და მნიშვნელობა იმ დიდი ღონისძიებებისა, რომელთაც ატარებს საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ გვესაჭიროება სოფლად კოლექტიური მშენებლობის შეგნებული ხელმძღვანელი, რომელნიც ღირსეულად გაატარებენ ყველაზე საპასუხისმგებლო პარტიულ დირექტივას.

ამხ. იაკოვლევის წიგნი სწორედ ამ მხრივ არის ჩვენთვის საყურადღებო. ის გაუწევს სოფლად მომუშავე ამხანაგებს უდიდეს დახმარებას კოლექტივიზაციის როგორც თეორეტიული საფუძვლების, ისე პრაქტიკული მშენებლობის გაცნობაში. წიგნი აგებულია არა მშრალ, ზოგად მოსაზრებებზე, არამედ დიდ ფაქტიურ, ცოცხალ საილიუსტრაციო მასალებზე. ამხ. იაკოვლევის წიგნის მიხედვით სოფლად მომუშავე ამხანაგებს შეუძლიათ საუბრების გამართვა როგორც პარტიული, ისე უპარტიო გლეხურ წრეში და მთელ რიგ ლექციების წაკითხვაც სასოფლო წარმოების კოლექტიურ საფუძველზე აგების სარგებლიანობის აუცილებლობის შესახებ.

ამხ. იაკოვლევის წიგნი არ წარმოადგენს ერთი თემის თანდათანობით განვითარებას თავიდან ბოლომდე. არამედ ის შესდგება ოთხ ნაწილისაგან, რომელნიც საბოლოო ანგარიშში ავტორის მიერ დასახულ ძირითადი აზრის (სოფლის კოლექტივიზაციის) სხვადასხვა მხრივ გაშუქებას წარმოადგენენ. ავტორს თავისი მოსაზრებები გამოჰყავს მთელ რიგ გამოკვლევებიდან, რომელნიც მოუხდენიათ კოლმეურნეობათა ცენტრს, მუშათა და გლეხთა ინსპექციას. მთავრობის სხვადასხვა კომისიებს, ადგილობრივ აპარატებსა ნაწილობრივ. ის სარგებლობს იმ მასალებითაც, რაც საკუთარი გამოკვლევით დაუგროვებია.

წიგნის პირველ ნაწილში ამხ. იაკოვლევი ფაქტებითა და ციფრობრივი მასალით ამტკიცებს საბჭოთა კავშირის პირობებში მსხვილი სასოფლო წარმოების დიდ უპირატესობას წვრილთან შედარებით, კერძოთ კოლექტიურ გაერთიანების უპირატესობას თვით მსხვილ ინდივიდუალურ (კულაკურ) მეურნეობასთან შედარებით, რომელიც გლეხობის ძირითადი მასის გაღატაკებას და კაპიტალისტურ ექსპლოატაციას გულისხმობს და რომელი გზაც ჩვენთვის მიუღებელია. ამის შემდეგ ის არჩევს საწარმოო კოოპერატიული გაერთიანების უკვე გავრცელებულ ფორმებს ჩვენში, აღნიშნავს მიწის შედარებით მცირე სივრცის მოქცევას ერთი კოლექტიურ გაერთიანებაში, ტრაქტორის სათანადო გამოუყენებლობას და იქვე ამერიკულ ფერმერის მიერ ტრაქტორის მრავალმხრივ და ჩვენთვის ჯერ უცნობ გამოყენებას. ამხ. იაკოვლევს კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად, სხვათა შორის, საჭიროდ მიაჩნია, რათა არ ჰქონდეს ადგილი განუწყვეტელ მოძრაობას კოლმეურნეობის წევრთა და კაპიტალების ცვალებადობის მხრივ. ამასთან ერთად, ავტორის აზრით, აუცილებელია, რათა თვითეულ კოლმეურნეობაში გაიზარდოს განსაზღვრული კაპიტალის წილი და რაც შეიძლება მეტი ნაწილი კოლმეურნეობის კაპიტალისათვის იყოს განუყოფელი. მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რათა კოლექტიურ მეურნეობამ თავისი მოქმედებით მისცეს გუშინდელ ინდივიდუალურ მეურნეს გარანტია, რომ კოლექტიური გაერთიანება აძლევს თავის წევრს არავითარ შემთხვევაში იმაზე ნაკლებს არა, რასაც აძლევდა მას ინდივიდუალური მეურნეობა".

დიდ ყურადღებას აქცევს ამხ. იაკოვლევი კოლმშენებლობის ორგანიზაციულ საკითხებს, როგორიცაა კოლმეურნეობათა პირველადი ორგანიზაცია, ამ ორგანიზაციათა კავშირები და საერთო ხელმძღვანელობა კოლექტიურ მეურნეობებზე. კოლექტიურ მეურნეობისათვის, ავტორის თქმით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო კოლექტიურად გაერთიანების სურვილს მასში შემავალ წევრებისას, არა მარტო განსაზოგადოებულ კაპიტალის სიდიდის და მთავრობის დახმარებას, არამედ შინაგან ორგანიზაციას და ცალკე ხელმძღვანელობას. ასეთია კოლმეურნეობათათვის ამა თუ იმ კულტურისათვის გამოსადეგ მანქანა-იარაღების მიწოდება აგრონომიული დახმარება, ნაწარმოების (კოლექტიურ მეურნეობის საქონლური ნაწილის) რეალიზაცია, კულტურათა შერჩევა და სხვა.

ასეთია შინაარსი წიგნის პირველი ნაწილისა, რომელიც მოხსენების სახით იყო გაკეთებული ამა წლის ივლისში კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობაზე. წიგნის სხვა ნაწილებში ავტორი ამავე დებულებებს იმეორებს, მაგრამ სხვა მიდგომით და სხვა მასალით.

ამხ. იაკოვლევის წიგნს ახასიათებს მცირეოდენი ნაკლიც, რაც მდგომარეობს ავტორის ზოგ თეორეტიულ მოსაზრებების არასრულ სისწორეში. ეს შეცდომები აღნიშნა გაზ. „პრავდამ"-მაც (30 სექტემბრის ნომერში) ამხ. ასტროვი სავსებით სამართლიანად „პრავდა"-ს ხსენებულ ნომერში ეხება ამხ. იაკოვლევის ძირითად თეორეტიულ შეცდომას. ასეთია, მაგ., ამხ. იაკოვლევის მიერ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების სამი გზის დასახვა, მაშინ, როდესაც პარტიისათვის, როგორც ეს ამხ. ლენინმა აღნიშნა, ყველაზე ადრე არსებობს განვითარების მხოლოდ ორი გზა, გზა კაპიტალისტური და გზა სოციალისტური.

ავტორს შესაძლებლად მიაჩნია კიდევ მესამე გზის არსებობა, რომელსაც ავტორი უწოდებს „სოფლის მეურნეობის დალპობის გზას წვრილ და უწვრილეს მეურნეობის საფუძველზე", „როდესაც სოფლად ერთად ერთ მეურნეობად რჩება ნაკლებად ნაყოფიერი წვრილი და უწვრილესი მეურნეობა". ნამდვილად კი არავითარ დამოუკიდებელ გზათ არ შეიძლება დავსახოთ წვრილ მეურნეობათა „დალპობის გზა", რადგან სოფლის მეურნეობის განვითარებას ჯერ არსად, კაპიტალიზმის არსებობის პერიოდში არ მოუცა განვითარების ეს გზა, როგორც დამოუკიდებელი და, რაც მთავარია, პრინციპიალურად განსხვავებული სოფლის კაპიტალისტური განვითარებისაგან. ის, რასაც ამხ. იაკოვლევი უწოდებს სოფლის განვითარების მესამე გზას, უნდა მივაჩნიოთ სოფლის კაპიტალისტური განვითარების ყველაზე ცუდ მხარედ. ამავე წერილში ამხ. ასტროვი აღნიშნავს წიგნის კიდევ სხვა უარყოფით მხარეებსაც, მაგრამ მათზე ჩვენ არ შევჩერდებით, რადგან ისინი არ ატარებენ რაიმე პრინციპიალურ ხასიათს და არავითარ შემთხვევაში არ ამცირებენ წიგნის მთავარ ღირებულებას.

ამხ. იაკოვლევის წიგნის თარგმნა ქართულ ენაზე სასურველი იქნებოდა, რადგან მეტად დიდ დახმარებას გაუწევს განსაკუთრებით სოფლად მთელ პარტიულ მასას კოლექტივიზაციის იდეის პროპაგანდაში.

დ. გ.

ანთოლოგია.—ტომი 2.—ია მქალაქის რედაქტორობით. თბილისი 1928 წ.

ანთოლოგიის 2 ტომი არსებითად განირჩევა მისი პირველი ტომისაგან. რამდენად პირველი დაუმუშავებელი, აჩქარებული და ზერელე გამოცემა იყო, იმდენად მეორე ტომი დამუშავებულია და მეცნიერულ იერსაც მოკლებული არ არის.

მეორე ტომი შეიცავს მხატვრულ შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშებს, მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული მეთვრამეტის გასვლამდე. აქ არის წარმოდგენილი როგორც ორიგინალი, ისე ნათარგმნი ნაწარმოებნი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანთოლოგიაში მოთავსებულია მრავალი ჯერ კიდევ დაუბეჭდავი, გამოუქვეყნებელი და ამიტომ საზოგადოებისათვის უცნობი მასალა. ახალი მასალის გარდა ანთოლოგიაში მოთავსებულია ფართო საზოგადოებისათვის ბევრი უცნობი მწერალი.

16—18 საუკუნეები, ანუ აღორძინების ხანა როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ ლიტერატურის ისტორიაში, აქამდის ცნობილი იყო სულ რამოდენიმე მწერლით. თეიმურაზ 1, არჩილი, საბა-სულხან ორბელიანი, დავით გურამიშვილი და ბესიკი, ამ მწერლებით ამოიწურებოდა ხოლმე დასახელებული პერიოდი. ანთოლოგიის 2 ტომი ძირიანად სცვლის სურათს. მკითხველი ამ წიგნში ნახავს ორმოცდაათამდე ავტორს და მათ მხატვრულ შემოქმედებას.

ტექსტებს წინ უძღვის ალ. ბარამიძის წერილი, რომელიც უფრო ბიბლიოგრაფიული ხასიათისაა. ბოლოში კი დართული აქვს წიგნში მოთავსებულ მწერალთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. ასეთი წერილები საჭიროა ყოველი ანთოლოგიისათვის და განსაკუთრებით კი ისეთი პერიოდისათვის, როგორიც აღორძინების ხანაა.

16—18 საუკუნეები საქართველოს ისტორიაში მრავალ მხრივ საყურადღებო ხანაა. შექმნილ მდგომარეობათა მიხედვით ჩვენი ქვეყნის მეურნეობის სახე ხშირად განიცდიდა ცვლილებას. ერთის მხრივ ეკონომიკაში ჩვენ ვხედავთ ნატურალური მეურნეობის განმტკიცებას, მეორეს მხრივ ამ ფეოდალური სისტემის გვერდით აღებ-მიცემობის არამც თუ ჩანასახს, არამედ საკმაო განვითარებასაც კი. ეს კიდევ ცოტაა. სავაჭრო კაპიტალი იმდენად მოღონიერდა, რომ მეთვრამეტე საუკუნეში მრეწველობაზე გადასვლასაც აპირებს. (ალავერდის ქარხნების ამუშავება, ზარაფხანა და თოფხანა თბილისში, ნავთლუღის ნავთიან ჭების დამუშავება და სხვ. ამგვარი). ეკონომიკის ასეთი ცვლილება, თავისთავად ცხადია, შესაფერ ცვლილებას იდეოლოგიურ სფეროშიაც გამოიწვევდა და პირველ ყოვლისა მხატვრულ ლიტერატურას დაეტყობოდა. მართლაც აღნიშნულ პერიოდში ლიტერატურაში ერთი მიმართულება მეორეს სცვლის. ნეოკლასიციზმი, ისტორიული რეალიზმი, ნაადრევი რომანტიზმი და სხვ. ყველა ამ მიმართულებებს თვალსაჩინო წარმომადგენლები ჰყავს 16—18 საუკუნეების ლიტერატურაში. ბევრად აჯობებდა ანთოლოგიაში მასალა ასე დალაგებულიყო, მით უმეტეს, რომ ეს ქრონოლოგიურ პრინციპსაც, რომელიც ანთოლოგიაშია დაცული, მაინც და მაინც არ დაარღვევდა.

წიგნის ბოლოში არის დამატება—მოყვანილ მწერალთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ეს დამატება საჭიროა. როგორც ვთქვით, უმრავლესობა გამოქვეყნებულ ავტორებიდან უცნობია, ანთოლოგიის მკითხველთა უმრავლესობა დღეს პირველად გაეცნობა ამ მწერლებს და მათ ნაწარმოებთ, ამიტომ ბიოგრაფიული ცნობები, რასაკვირველია, აუცილებელია. სამწუხაროდ წიგნში ეს ბიოგრაფიები ერთობ მოკლეა, და ზოგ შემთხვევაში არაფრის მთქმელი.

ანთოლოგიის შემდგენელი, როგორც თვით აცხადებს წინასიტყვაობაში, ორთოგრაფიაში არ იცავს ე. წ. ზედმეტ ასოებს. მართლაც ანთოლოგიის საერთო ხასიათი და დანიშნულება ამას მოითხოვს. მაგრამ ასო „უ" ხმარება უნიშნოდ, როცა ეს ასო „ვ" მაგიერობას ეწევა, შეუძლებელია ანთოლოგიის იმავე საერთო ხასიათის მიხედვით. მაგ., „ცხენი დამიდგა, ქუეითი აქ მოველ შეშინებული", „თქუა", „დაასკუნეს" და სხვ. როგორ წაიკითხოს ეს სიტყვები თანამედროვე მკითხველმა (არა სპეციალისტმა) ქუეითი თუ ქვეითი, თქუა თუ თქვა, დასკუნეს თუ დასკვნეს. ცხადია, ასო „უ"-ს ზემოდან ნიშანი უნდოდა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ აღორძინების პერიოდს მრავალი თავისებურობა ახასიათებს. სხვას რომ ყურადღება არ მივაქციოთ, მკითხველს უეჭველად თვალში ეცემა ის გარემოება, რომ მწერალთა დიდი უმრავლესობა მეფეები და ან მათი კარისკაცები არიან. რასაკვირველია, ამ მოვლენას თავისი სოციალ-ეკონომიური პირობები ჰქონდა. ამიტომ ზედმეტი არ იქნებოდა ანთოლოგიის წამძღვარებოდა მოკლე მიმოხილვა, სადაც ეპოქის თავისებურობანიც გაშუქებული იქნებოდა.

თედო. ბეგიაშვილი.

ქრონიკა

ამიერ-კავკ. გასაღებულია ინდუსტრ. მეორე სესხის 19.200.000 მან ობლიგაცია

ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით 20 ნოემბრისათვის მთელ ამ.-კავკასიაში გასაღებულია 19.200.000 მანეთის ობლიგაცია. აქედან საქართველოში: 8.200.000 მან., აზერბეიჯანში—8.800.000 მან., და სომხეთში—2.200.000 მან. ობლიგაცია.

სოფლებში სარეალიზაციო კამპანია წარმატებით მიმდინარეობს.

საექიმო დახმარება სტუდენტობას

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მუშაობს შერეული სპეციალური კომისია სტუდენტობისათვის საექიმო დახმარების გაწევის ფორმების შესამუშავებლად. კომისიის მუშაობა გასტანს რამოდენიმე დღე.

ფლორიდინის ქარხნის ამუშავება

სამთო მრეწველობის ტრესტის ცნობით ქუთაისში ამ დღეებში დასრულდება ფლორიდინის საცეხლი ქარხნის აგება.

ქარხანა ამუშავდება მომავალ კვირაში.

კახეთის სატყეო ტეხნიკუმში

განათლების კომისარიატის ცნობით, ის პირები, რომლებიც მაზრებიდან არიან გაგზავნილი კახეთის სატყეო ტეხნიკუმში, განათლების კომისარიატში უნდა გამოცხადდნენ 3 დეკემბერს. გამოცდები მოხდება 4 დეკემბერს.

პროფილაქტორიუმი

პროსტიტუციასთან მებრძოლ რესპუბლიკანურმა საბჭომ გადასწყვიტა თბილისში მოაწყოს პროფილაქტორიუმი, რომელშიაც მიიღებენ მხოლოდ უმწეო ქალებს. პროფილაქტორიუმის მოსაწყობად გადადებულია 34.142 მანეთი.

საჯევახოს ძველი ხიდის გადაცემა

გზათა სახალხო კომისარიატმა ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობას საჯევახოს ძველი რკინის გზის ხიდი გადასცეს ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს.

ხიდი გამოყენებული იქნება საურმე მოძრაობისათვის, თუ ეს ხელს არ შეუშლის ნაოსნობას მდ. რიონზე.

თბილისის ალმასკომში

◆ ქუნთრუშისა და დიფტერიტის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, ჯანმრთელობის განყოფილებამ საბავშვო კონსულტაციებთან მოაწყო ასაცრელი პუნქტები.

სხვადასხვა

◆ პროფსაბჭოს კულტგანყოფილება. დღეს, საღამოს 7 ს., იწვევს ანტირელიგიურ ლექტორთა სემინარის პირველ სხდომას, რომელზედაც ამხ. ორლოვი წაიკითხავს მოხსენებას: „რა აცხოველებს რელიგიურ განწყობილებას“.

◆ კოოპერატიული სასადილოები. მუშკოოპმა გადასწყვიტა გარეუბნებში ყველგან გახსნას კოოპერატიული სასადილოები.

◆ ბამბა. წელს ა.-კავკასიაში დამზადებული იქნება 80.000 ბამბა.

◆ ჩოჩხათში (გურია) გაიხსნა ამხ. კ. ხომერიკის სახელობის სახალხო სახლი, რომელთანაც მოწყობილია გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა და საცდელი აგრონომიული.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები: ხარკოვიდან—გინზბურგს, მაიკოპიდან—კიკნაძეს, დუშეთიდან—გორგიშვილს, ახალციხიდან—კირაკოზიანს, ცაგერიდან—პატარიძეს.

ბორჯომის შუშის ქარხანაში

7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის თერთმეტი წლის თავზე ამუშავებული იქნა სიმენს-დრალის სისტემის ახალი დიდი შუშის სადნობი ღუმელი.

ახალი ღუმელის ამუშავების შემდეგ ბოთლების დამზადება საგრძნობლად გაიზარდა: ამჟამად დღე და ღამეში მზადდება 28-29 ათასი ბოთლი, წინეთ კი მზადდებოდა 22-23 ათასი.

ამ ღუმელის ამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ გაიზარდა ქარხნის პროდუქცია, შემცირდა თვითღირებულება და შემცირდა აგრეთვე კავშირის უმუშევარ წევრთა რიცხვი, რადგან სამუშაოზე მიღებულია 11 უმუშევარი და განზრახულია კიდევ 12 კაცის მიღება.

შემცირდა აგრეთვე უვარგისი ბოთლების რაოდენობა, რაც აგრეთვე გავლენას ახდენს ბოთლის თვითღირებულების შემცირებაზე. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის ოქტომბერში ბოთლის თვითღირებულობამ მიაღწია 9,34 კაპეიკამდე წინააღმდეგ 11,90 და 10,94 კაპეიკისა, რომელიც იყო წინა თვეებში. ამჟამად თვეში მზადდება 800—850 ათასი ბოთლი წინააღმდეგ 500—600 ათასისა, რომელიც იყო წინად. მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამა შესრულებულ იქნება გადამეტებით.

ხელოვნება

ახალი დადგმები მუშათა კლუბებში

„რელსები გუგუნებენ“—ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში

ყოველდღიური შრომის შემდეგ, მუშათა აუდიტორია კლუბში იყრის თავს, კლუბის საშუალებით ეცნობა ხელოვნებას და თვითონვე ქმნის მას კლუბის საშუალებითვე. იქ მუშავდება სოციალური დაკვეთის სწორი შეფასება და იქვე ხორციელდება პროლეტარული ხელოვნების ლოზუნგი ხელოვნების მასებში გატანის შესახებ.

აქედან ცხადია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ევალება კლუბს კულტურული რევოლუციის ჩატარების საქმეში. მუშათა მასებში ამ რევოლიუციის ერთ ერთი მთავარი გამტარებელია კლუბის თეატრი.

კლუბის თეატრალური შეფასების დროს, მხედველობაში უნდა ვქონდეს სამი გარემოება: კლუბის უმნიშვნელო თანხები, სცენის ტეხნიკური სიმარტივე და პროფესიონალურ აქტიორების მაგივრად სცენის მოყვარულთა უსასყიდლო თამაში. როდესაც ასეთი მიდგომით შევხედავთ კირშონის პიესის დადგმას ამხ. ორჯონიკიძის სახ. კლუბში, არ შეიძლება გაოცება არ გამოიწვიოს რეჟისორის მეტად საქმიანმა მუშაობამ და მუშათა წრიდან შექმნილ სცენის მოყვარეთა თამაშმა. აქ საქმე გვაქვს მხატვრულად და თეატრალური გემოვნებით გამართულ დადგმასთან. სცენის მოყვარენი თავისი თამაშით ხშირად აღიოდენ მნიშვნელოვან აქტიორულ შეგნებამდე (არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოთამაშეთა უმრავლესობა თვით მუშებისაგან შესდგება).

წარმოდგენის ამ კარგ თვისებებს ცხადია ხელს უწყობდა პიესაც, რომლის მსგავსი ძალიან მცირე რაოდენობით მოიპოვება ჩვენს რეპერტუარში. ეს პიესა განსაკუთრებით გამართლებულია „ცოცხალი ადამიანის ჩვენებით“.

ამიტომ იყო, რომ სავსე დარბაზი სცენას დიდი ყურადღებით და გასაოცარი წესრიგით ისმენდა. სცენაზე ცოცხლად ხედავდა იმ ადამიანებს, რომლებიც პარშინების, პოტოცკების და პავლ-პავლიჩების სახით აფერხებენ ახალი ქვეყნის აღმშენებლობას. პიესის ღირსება კიდევ იმით უფრო იზრდება, რომ ამ აშკარა და შემპარავ მავნებლების ჩვენებით არ ისაზღვრება. გამოყვანილი არიან თვით ისეთი მუშებიც, რომლებიც ლოთობით, ხულიგნობით და მოვალეობის შეუგნებლობით ხელს უწყობენ მავნებლებს.

რეჟისორ შ. მანაგაძის ღირსეულ დადგმაში გვინდა აღვნიშნოთ ის ზოგადი სენი, რომელიც ახასიათებს მუშათა კლუბების თეატრებს. ეს არის მისწრაფება გაუმართლებელ მემარცხენეობისაკენ. ზედმეტი იყო საწოლის ჭერში ჩამოკიდება, უკანა ფარდის მოხსნა და რამპის გადალახვა. ასეთ ცდებს ძველად ქონდა თავისი გამართლება, ისიც დიდი რეჟისორების ხელში და ტეხნიკურად გამართულ თეატრში.

კლუბის თეატრისათვის უმთავრეს მოვალეობად მიგვაჩნია აუდიტორიის დაინტერესება. ეს შეიძლება მხოლოდ რეალისტურად დადგმული კარგი პიესით, სადაც არ იქნება უხამსი ნატურალიზმი და პროვინციალური მემარცხენეობა.

რეჟ. მანაგაძის დადგმა გვიჩვენებს, რომ კლუბის მუშაკების თავდადებული შრომით კლუბებში „ხალტურა“ კვდება. მოდის მხატვრულად გამართული ახალი თეატრალური ძალა, რომელიც მოითხოვს საბჭოთა საზოგადოებრიობისა და დაინტერესებულ ორგანიზაციებისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას.

ბ. გ.

„კრაზანა“—ტრამვაიელების კლუბში

დადგმა რეჟ. ზ. ჯავაშვილის.—მხატ. როგაჩევსკი

ამ პიესამ ერთ დროს იმდენად მიიქცია ყურადღება, რომ ეკრანზედაც-კი სცადეს გადაღება. მისი სიუჟეტი არ არის ინტერესს მოკლებული,—მიმართულია სარწმუნოების და ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგ.

პიესაში სჭარბობს სიტყვიერება და ზოგიერთი ადგილები ბუნდოვანად აღწევს მაყურებლამდის. იგი არც იდეოლოგიურად და არც სიუჟეტური კომპოზიციის ხერხებით არ არის დამაკმაყოფილებელი, განსაკუთრებით მუშათა კლუბებისათვის. თუ რომელიმე კლუბი მოჰკიდებს ხელს მის დადგმას, ვფიქრობ უნდა მოახდინოს მნიშვნელოვანი შესწორებანი და ტექსტი შეამციროს.

ჩვენში ბევრს კლუბების თეატრალურ მუშაობაზე შემუშავებული აქვს ყალბი აზრი. ალბათ, ვერც წარმოიდგენენ, თუ ის ადამიანები, რომლებიც დღისით ასრულებენ თავის სამსახურის მოვალეობას ტრამვაის ვაგონებში, როგორ შესძლებენ ქსენზების, გენერლების და გაიძვერა ლიბერალების სცენიურ განსახიერებას. მაგრამ ტრამვაიელების კლუბში დადგმული „კრაზანა“ ურწმუნოებსაც-კი გაუფანტავს ამ მხრივ ყოველგვარ ეჭვს.

სიუჟეტი აღებულია იტალიის ცხოვრებიდან და სცენაზე გამოყვანილი არიან მუშებისათვის სრულიად მოწინააღმდეგე ფსიქოლოგიის ადამიანები, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მუშა-აქტიორებმა შესძლეს ფრაკიანი და ანაფორიანი ხალხის განცდების გადაცემა მრავალ რიცხოვან აუდიტორიისათვის ყოველგვარ შარჟის გარეშე.

რასაკვირველია, წარმოდგენის გამარჯვება, მუშა-აქტიორების მუშაობასთან ერთად, ბევრად აიხსნება რეჟისორის დაუღალავი ნებისყოფით და საქმის კარგი ცოდნით.

სხვანაირად შეუძლებელი იყო ახალგაზრდა სცენის მოყვარეს ამხ. მურღულიას შეექმნა ის მხატვრულად დასრულებული სახე ვიკარისა, რომელიც ჩვენ ვნახეთ. ასევე მნიშვნელოვანი იყო ცოლ-ქმართა ეპიზოდიური სცენა- ახალგაზრდა იდეალისტთან.

„შტამპის“ მოუქნელობის და უხერხულობის შემთხვევებიც არ იყო აცილებული, მაგრამ რა ჰქნას მუშა-აქტიორმა და მით უმეტეს რეჟისორმა, თუ ის იძულებულია რიგიანი კაბის მაგივრად გაიხმაროს ფლასები ძვირფასი „ვიზიტკის“ ნაცვლად-კი ბამბის მოუხეშავი და უფერული ქსოვილები. ასეთ შემთხვევაში „აკადემიური“ აქტიორიც ხომ დიდ უხერხულობას იგრძნობს.

ამასთანავე, როგორც ამ დადგმამ დაგვარწმუნა, უსახსრობის გამოყენებაც თურმე შესაძლებელი ყოფილა.

ეს შეეხება პიესის დეკორატიულ გაფორმებას. გადაუჭარბებლად და სრული პასუხისმგებლობით აღვნიშნავთ, რომ დღემდის არც ერთ აკადემიურ და დიდ ბიუჯეტიან სცენაზედაც არ გვინახავს ასე მიზნობრივად გამართლებული კონსტრუქციის პრინციპებს ნათელი შეგნებით გაკეთებული მაკეტები. ერთი სურათის დეკორაცია გამოყენებულია პიესის შვიდივე მოქმედებაში და ისეთი მოხერხებული კომბინაციით და განათებით რომ რჩება [illegible] სულ სხვადასხვა დეკორატიული სანახაობის შთაბეჭდილება.

ბ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარულ მწერალთა შორის

ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, ხელოვანთა სასახლეში შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის გაფართოვებული პლენუმი, რომლებზედაც ამხ. ბ. ბუაჩიძე წაიკითხავს მოხსენებას „თანამედროვე ლიტერატურა და პროლეტარული მწერლობის ამოცანები“. ამავე პლენუმზე ამხ. ხ. ეული წაიკითხავს მოხსენებას მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ.

ბელორუსიის პროლეტარულ მწერალთა ყრილობა

25 ნოემბერს იხსნება ბელორუსიის პროლეტარულ მწერალთა ყრილობა, რომელზედაც მიწვეულია ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა სამი წარმომადგენელი.

ანატოლ დუროვის ტრაგიკული გარდაცვალება

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ 19 ნოემბერს იეისკში ნადირობის დროს შემთხვევით მოჰკლეს ცხოველების ცნობილი მწვრთნელი, ცირკის არტისტი ანატოლ ანატოლის ძე დუროვი.

◆ „აიდა“. დღეს ოპერის თეატრში მე-3 აბონემენტისათვის დერჟინსკაიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „აიდა“.

◆ რუსთაველის თეატრში დღეს გაიმართება სომხური წარმოდგენა.

ფართალის განაწილება

ბამბის ფართალი

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოსათვის გამოყოფილი 112 ვაგონი ბამბეული ფართალიდან ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ 13 ვაგონი გადასდო ძვირფას კულტურათა რაიონებისათვის. აქიდან 5 ვაგონი ფართალი განაწილებული იქნება მებამბეთა შორის, 6 ვაგონი აფხაზეთის მეთამბაქოეთა შორის. ხოლო ორი ვაგონი ფართალი კახეთის, გურიის და სამეგრელოს მეთამბაქოეთა შორის.

ფართალის დანარჩენი რაოდენობა, 99 ვაგონი, გადადებულია ფართო სამომხმარებლო ბაზრის დასაკმაყოფილებლად. აქედან მუშკოოპს მიეცემა 19 ვაგონი ფართალი; „ზაკტპო“-ს—6 ვაგონი; ცეკავშირს—39,5 ვაგონი, აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპ. კავშირს—5,5 ვაგონი, „ზაკვოენპო“-ს—5 ვაგონი, სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს—6 ვაგონი, საფეიქრო სინდიკატს საცალო ვაჭრობისათვის—8,5 ვაგონი და სარეზერვო ფონდში დატოვებულია 8 ვაგონი.

გარდა ამისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გასაძლიერებლად გადადებულია 1,5 ვაგონი ფართალი, რომელიც გადაეცემა ცეკავშირს.

შალის ქსოვილები

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოსთვის გამოყოფილია 304.000 მან. შალის ქსოვილები. ქსოვილების მთელი რაოდენობა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ განაწილებულია შემდეგნაირად: მუშკოოპს მიეცემა—62.000 მან. ქსოვილები, ცეკავშირს—119,000 მანეთის, „ზაკტპოს“—11.500 მანეთის, აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპ. კავშირს—13.000 მანეთი, „ზაკვოენპო“-ს 13,500 მან. სახელმწ. სავაჭრო ორგანიზაციებს — 23.000 მან. საფეიქრო სინდიკატს საცალო ვაჭრობისათვის—32 500 მან. სარეზერვო ფონდში გადადებულია 29.000 მანეთის შალის ქსოვილები.

სასამართლო

დახვრეტა—ყაჩაღებს

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ქ. ზუგდიდიდან მიღებულია დეპეშა, რომ მაზრის სასამართლომ სოფ. კორცხელის მცხოვრებთ ვარლამ ფილიპეს ძე კობალიას (22 წლის), პასუხისგებაში ნამყოფს ქურდობისათვის და ბუცა კოწიას ძე კობალიას (19 წლის), რომელთაც ბრალად ედებოდათ ყაჩაღური თავდასხმების მოხდენა, მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

საქმე კასაციის წესით ამ დღეებში შემოვა უზენაეს სასამართლოში, რომელიც სასწრაფო წესით განიხილავს მაზრის სასამართლოს განაჩენს.

ღირსეული სასჯელი კოოპერატივის გამქურდველებს

გასული წლის ნოემბერში გაქურდეს სართიჭალის რაიონის კოოპერატივი. ბოროტმოქმედებმა წაიღეს 1535 მანეთის საქონელი.

მძარცველები აღმოჩნდნენ სართიჭალის მცხოვრებლები: ისაკი სიბაშვილი, ლაზარე ნარიმანიშვილი, გიორგი ნადირაძე, დიმიტრი ნარიმანიძე, და ივანე ყუსიტაშვილი, რომლებიც მალე იქნენ შეპყრობილნი.

მათი საქმე საჩვენებელი პროცესის სახით გაარჩია ადგილობრივმა სასამართლომ.

ბოროტმოქმედთ მიესაჯათ ოთხ-ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

პროცესს დიდძალი ხალხი დაესწრო.

მიწის კანონის დარღვევისათვის

წინანდალის უბნის სახალხო სასამართლომ მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის გაასამართლა ადგილობრივი მცხოვრებლები: ვასო ვახტანგაშვილი და ალექსი ხმიადაშვილი.

ვასო ვახტანგაშვილი 1926 წლის თებერვალში შინაურულად აჭახრაკებს საქმეს თავის საეზოვე მიწის გასასაღებლად ისე, რომ ხელისუფლებას თვალი აუხვიოს და თუ საქმე წახდა, თავი დაიძვრინოს პასუხისმგებლობისაგან.

ვახტანგაშვილმა საეზოვე მიწა (400 კვ. საჟენი) მიჰყიდა ალექსი ხმიადაშვილს, რომლისგანაც სანაცვლოდ მიიღო ერთი ნაკვეთი სახნავი მიწა და 200 მანეთად ღირებული ორი ფური-კამეჩი თავისი ზაქებით.

ვახტანგაშვილი ხალხში ავრცელებს ხმას, თითქოს მან ეს კამეჩები კერძოდ შეისყიდა ხმიადაშვილისაგან და თითქოს არავითარ მიწის ყიდვა-გაყიდვას ადგილი არ ჰქონია.

მაგრამ, როდესაც ხმიადაშვილი სახლის აგებას შეუდგა, ვახტანგაშვილის ეზოში, ყველამ გაიგო ვახტანგაშვილის ოინი.

მყიდველიც და გამყიდველიც პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი და საქმე გადაეცა სასამართლოს.

ვახტანგაშვილი სასამართლოშიაც არ იტეხს იხტიბარს და ცდილობს უდანაშაულოდ მოაჩვენოს თავი მოსამართლეებს.

მართალია,—ლაპარაკობს ვახტანგაშვილი,—პირველად კამეჩები მიწის ფასის ანგარიშში მივიღე, მაგრამ როგორც კი გავიგე, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა აკრძალული არის (ეს ხომ ბავშვმაც კი იცის ეხლა!), ხმიადაშვილს უკანვე მივრეკე კამეჩები და სამაგიეროდ სახნავი მიწა გამოვართვი. ე. ი. მოვახდინე უბრალო გაცვლა-გამოცვლა. 2—3 თვის შემდეგ კამეჩები ვიყიდე ხმიადაშვილისაგან ცალკე, მიწის ანგარიშის გარეშე.

ამას ლაპარაკობს ვახტანგაშვილი წინანდლის სასამართლოში, ხოლო უზენაეს სასამართლოში შემოტანილ საჩივარში იგი აღნიშნავს, თითქოს ხმიადაშვილი ძალით ჩასახლდა მის მამულში და სხვ.

სასამართლომ ორივე დამნაშავეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა თითო წლით და ორ ორი თვით, მიწები ორთავეს ჩამოერთვა და გადაირიცხა სახაზინო ფონდში. ვახტანგაშვილმა 200 მანეთი უნდა გადაიხადოს წინანდლის თემალმასკომის სასარგებლოდ.

მკვლელობა ქეიფის შემდეგ

ა. წ. 19 აგვისტოს კახეთის ქუჩაზე ერთ-ერთ სარდაფში ქეიფი ჰქონდათ „ძმა-ბიჭებს“. „გატეხილი პური“ მათი მუდმივი მეგობრობის სიმბოლოა.

მაგიდას უსხდნენ მოქ. აბრამ მამულაშვილი, დავით გაბიშვილი, ტობიაშვილი და სხვები.

სასადილოში მათ თვალი მოჰკრეს კიდევ ერთ „მეგობარს“, მათ თანამებოთლეს მიხეილ საბასძე თოფურიას, რომელიც იმ წამსვე მაგიდასთან მიიპატიჟეს და მიაწოდეს ღვინო.

მოქეიფენი ერთმანეთის შექებიდან მალე გადავიდნენ დედ-მამის გინებაზე. ჩხუბი დაიწყო მიპატიჟებულ „მეგობარ“ თოფურიასა და მიმპატიჟებელ მამულაშვილს შორის.

მიპატიჟებულ თოფურიას, რომლის „მეგობრობის“ შექებაზე პირველად დიდი „მჭერმეტყველობა“ დახარჯა მამულაშვილმა, უკანასკნელმა გაუშალა სილა და ისე მაგრად სთხლიშა, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში თოფურია ძირს ეგდო.

ასტყდა ჩოჩქოლი და დავი-დარაბა. მაგრამ „ძმა-ბიჭები“ ჩადგნენ შუაში და წაჩხუბებულნი შეარიგეს, ერთმანეთიც ჩააკოცნინეს და პირობა დაადებინეს, რომ მეგობრებად დარჩებოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ თოფურია სასადილოდან გაიპარა, მაგრამ მალე მობრუნდა ბებუთით ხელში. შემოსვლისთანავე თოფურია გაექანა მოქეიფე კამპანიისაკენ და ბებუთი დაარტყა დავით გობიშვილს, რომელიც მძიმედ დაჭრილი იქვე დაეცა.

ამის შემდეგ თოფურია დაერია დანარჩენებს. ყველანი მიფანტ-მოფანტა. თოფურია ყველას მოკვლით ემუქრებოდა. მიიმწყვდია კიდეც ერთი მოქალაქე ხალაშვილი და ის იყო ბებუთი უნდა დაეკრა, რომ უკანასკნელმა მოასწრო რევოლვერის ამოღება და გასროლა. თოფურია თეძოში დაიჭრა მსუბუქად.

ამის შემდეგ ერთმანეთს დაეჯახნენ თოფურია და მამულაშვილი. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. მამულაშვილმა წააქცია თოფურია, მაგრამ უკანასკნელმა ქვევიდან დაუწყო დანის ცემა.

კიდევ უარესი ამბავი დატრიალდებოდა, რომ მილიცია არ ჩარეულიყო საქმეში.

დაჭრილები საავადმყოფოში გადაგზავნეს. გობიშვილი მალე გარდაიცვალა.

თოფურია გუშინ გაასამართლა თბილისის მაზრის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით.

მიხეილ თოფურიას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით სასტიკი იზოლიაციით.

სასამართლოს აღმასრულებელ ბარუჩევის საქმე

თბილისის სამაზრო სასამართლომ. ამხ. რ. კალაძის თავმჯდომარეობით გუშინ გაარჩია მოქ. გრიგოლ გერასიმეს ძე ბარუჩევის საქმე.

ბარუჩევი მუშაობდა 1 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებლის თანამდებობაზე გასული წლიდან ამა წლის იანვრამდე.

ბარუჩევი მაძიებლებს და მოპასუხეებს აღმასრულებელ ფურცლის სისრულეში მოყვანისათვის ჯილდოს სახით აძლევინებდა ზედმეტ თანხებს, კანონიერ გასამრჯელოს ატარებდა წიგნებში, ხოლო ზედმეტს თვითონ იდებდა ჯიბეში. სულ ამ ხნის განმავლობაში მან გაფლანგა 73 მანეთი და გარდა ამისა სახელმწიფოს აზარალა 304 მანეთი.

ბარუჩევს მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით 2 წლის ვადით.

ვირ.

ფიზკულტურა და სპორტი

ცილობა მსუბუქ მძლეოსნობაში

17 და 18 ნოემბერს გრძელდებოდა ცილობა მსუბუქ მძლეოსნობაში თბილისის პირველობაზე.

ოთხჭიდში გამარჯვებული გამოვიდა პაცკევიჩი (გემო-კვების კავშირი), მეორე ადგილი ეგო შალიშკოვს (მშენებლთა კავშირი), მესამე— ქარუმიძეს (რკინისგზელი) და მეოთხე —კარპოვს (საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირი).



ფცქიალაძე ხტება უკანასკნელ ბარიერზე

რბენაში 1.500 მეტრზე ქარუმიძემ დაამყარა საქართველოს ახალი ზეწევი: დისტანცია დაფარა 4.39,9 წამში; ასეთივე შედეგს მიაღწია შალიშკოვმა, მხოლოდ იგი ნახევარი მკერდით ჩამორჩა ქარუმიძეს.

სიმაღლეზე ხტომაში პირველობა დარჩა ფცქიალაძეს (რკინისგზელი)—280 სანტ., მეორე ადგილი დაიკავა გილბერმა—260 სანტ.

საბარიერო რბენაში 110 მეტრზე გაიმარჯვა ფცქიალაძემ, რომელმაც დისტანცია დაფარა 18,9 წამში.

სამმაგ ხტომაში გამორბენით პირველი ადგილი ეგო შიარიცაბაიას (გემო-კვების მუშაკთა კავშირი)—12.23 მეტრი, მეორე ადგილი —ფცქიალაძეს—11,78 მეტრი და მესამე— მაკაროვს (მშენებელი)—11,25.

სიმაღლეზე ხტომაში გამორბენით პირველი ადგილი დაიკავა შვარცაბაიამ—170 სანტ., მეორე— თედევემ—160 სანტ. და მესამე ცინცაძემ—155 სანტ.

ჯაფარიძემ (საბჭოთა მუშაკების კავშირი) ბირთვი გადაისროლა 11,39 მეტრზე, შვარცაბაიამ—10,85 მეტრზე.

რბენაში 5.000 მეტრზე მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორმა კაცმა: ანიშჩუკმა და ალაბაზოვმა.

პირველი მოვიდა ანიშჩუკი, რომელმაც დისტანცია დაფარა 19.56,9 წამში; ალაბაზოვი მოვიდა 33 წამის დაგვიანებით.

ქალთა რბენაში 100 მეტრზე პირველი ადგილი დაიკავა ზალდასტანიშვილმა (საბჭოთა მუშაკების კავშირი), რომელმაც მანძილი გაირბინა 14,3 წამში; მეორე ადგილზე გამოვიდა აგაჯანი—15,0.

სიმაღლეზე ხტომაში ზალდასტანიშვილი შეეცადა დაემყარებია ამიერ-კავკასიის ახალი რეკორდი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

მის მიერ მიღწეულმა შედეგმა—105 სანტ. მას მაინც პირველი ადგილი მოუპოვა; მეორე ადგილზე გამოვიდა ბულინდინა—100 სანტ.

ქალების რბენა

ხუთ კილოგრამიან ბირთვის კვრაში პირველი ადგილი ეგო მაიერს (ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირი), მეორე—ავაქიანს. მაიერმა პირველი ადგილი აიღო აგრეთვე ბურთის გადაგდებაში; მეორე ადგილი ხვდა სიჩოვას (საბჭოთა მუშაკების კავშირი).

ქალთა რბენაში 800 მეტრზე გამარჯვებული გამოვიდა დრაგანოვა (საბჭოთა მუშაკების კავშირი)—2.57,4 წუთი; მეორე ადგილი ეგო ლარიბოვას (საბჭოთა მუშაკების კავშირი)—3.30.

შემთხვევები

ქალის გატაცება

სოფ. ქეჯეისის (წალკის სამილიციო რაიონი) მცხოვრებმა მუსეიფ მუსტაფა-ოღლიმ და ჯამბარ ალი-ოღლიმ გაიტაცეს ამავე სოფელში მცხოვრები ქალი თ. ყ—ი, რომელსაც მოინდომეს გაუპატიურება, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს.

დაჭრა

19 ნოემბერს, მარიამ პეტრეს ასულმა ვორონკომ მაკრატლით დასჭრა ვასილ იაკობის ძე ზუბოვი (მცხ. ორბელიანის ქ. № 18). დაჭრილი გაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

თავდამსხმელების დაპატიმრება

ამას წინად ვიღაც უცნობი პირი თავს დაესხა სოფ. პატარა ლილოში მიმავალ გლეხებს. თავდამსხმელებმა გლეხები გაძარცვეს.

ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციამ თავდამსხმელი ბაქირ ბაირამ ოღლი დააპატიმრა.

ყალბი საბუთებით

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ირაკლი ლავრენტის ძე მელაძე, რომელმაც შეადგინა ყალბი ბიულეტენი და [illegible] თანხის გამოტანის მიზნით.

ქურდობა

გაქურდეს სევერიანე მდივანის ბინა (არაგვის შესახვ. № 2); წაიღეს 80 მანეთის ნივთები.—ვასილ დიდეს ჯანსახკომში მოჰპარეს პალტო.—მიხეილ თათეოსიანცს პუშკინის ქუჩაზე ჯიბიდან ამოაცალეს 53 მანეთი.—ივანე კოხდარიევის ბინიდან (მიმოსვლის ქ. № 13) მოიპარეს ერთი ოქროს საათი.—გაქურდეს თამარა ცაგარელის ბინა (კლარა ცეტკინის ქ. № 148); წაიღეს 120 მანეთის საოჯახო ნივთები.—ჩატარ ბეგლარიანცს თბილისის სადგურში მოჰპარეს 250 მანეთის ნივთები.

რეციდივისტები

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გუსეინ მაშადი ალი-ოღლი, ივანე ვლადიმერის ძე ბერიკაშვილი, ნიკოლოზ თედორეს ძე ჯეიქა, გიორგი თედორეს ძე ბუჩაიძე, მიხეილ პეტრეს ძე კალჩოეი, მამედ აბდულა სოფი-ოღლი, ზეინალ ალი-ოღლი, სადრადინა ორუჯევი და ზინაიდა ორუჯევი. ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ნარევი

სპეციალური გადასახადი მარტოხელებზე იტალიაში

იტალიის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, დამუშავებულია კანონპროექტი სპეციალური გადასახადის შემოღების შესახებ მარტოხელა პირებზე (უცოლოებზე და გაუთხოვარ ქალებზე). ამ კატეგორიის მოქალაქენი გადაიხდიან:

25-დან 35 წ. ჰასაკამდე—70 ლირას
35-დან 50 წ. ჰასაკამდე—100 ლირას.
50-დან 65 წ. ჰასაკამდე—50 ლირას.

გარდა ამისა მოქალაქეთა ამ კატეგორიის მიმართ გადიდებულია საშემოსავლო გადასახადიც.

ბოროტმოქმედთა დასაჭურისება

გერმანიის რეიხსტაგთან დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს კანონპროექტი ყველა გაუსწორებელ ბოროტმოქმედთა დასაჭურისების შესახებ.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 21 ნოემბერი

დღეს, 21 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მუშათა რადიო-გაზეთი; ტრანსლიაცია ამხ. რუბენის მოხსენებისა—„პარტიის მუშაობა სოფლად და საშეფო საზოგადოების ამოცანები“; ამხ. ქურულოვის მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ; კონცერტი სტუდიიდან; ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია რუსულ და ქართულ ენებზე.

იურიდიული დახმარება

მაკრინე კონჯაძეს

კითხვა

ვარ 55 წლის ქვრივი და მინდა ვიშვილო 17 წლის ვაჟი, შემიძლია თუ არა და როგორ მოვიქცე, რომ ვიშვილო ეს ვაჟი?

პასუხი

შვილად აყვანა უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც ნაჩვენებია ცაკისა და სახკომსაბჭოს № 66 დადგენილებაში 1926 წ. 22 სექტემბრიდან (კან. კრ. 1927 წ. № 5, მ. 110), და ამისათვის სათანადო განცხადებით უნდა მიმართოთ ადგილობრივ სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს.

პ. თ. ხაინდრავას.

კითხვა:

ვართ სამი ძმა და ორი და. ვცხოვრობთ გაუყოფელად ერთ ოჯახში 8 სული ქალ. ხონის გახაკირა უბანში (სოფ. ივახდიდში), გვაქვს ეზო 2 ქცევა. ორი ძმა მიწის მუშაკოთ, რომელთაც გვქონდა მოცემული ადგილობრივი მიწკომის მიერ აღნიშნული ადგილი საეზოდ. ეხლა გთხოვთ გაგვიმარტოთ აქვს თუ არა უფლება ჩვენი უფროსი ძმის ყოფილ ცოლს, მზითევის ვალში, ჩამოგვართვას ჩვენ 2 ძმას და ორ დას, მამა-პაპის ქონების კანონიერ მემკვიდრეებს, მთელი ჩვენი უძრავი და მოძრავი ქონება, მაშინ როდესაც მისი ვალის დასაკმაყოფილებლად ადგილობრივი სასამართლოს აღმასრულებლის მიერ აწერილი იყო, მხოლოდ მოძრავი ქონება და ეზოს ნაწილი ზომით 700 კვ. საჟენი. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს ქონებისას, როგორიც არის: რკინის ჭიშკარი, ეზოს ირგვლივ მესრით შეკავება, ხეხილის ბაღი, ეზოს დანარჩენი ნაწილი მესრით გადაკავებული, ჭა თავის მოწყობილობით და ბევრი სხვა წვრილმანი, რომელიც სრულად არ ყოფილა აწერილობაში მოხსენებული, ხონის სასამართლოს აღმასრულებელმა ყოველივე ესენი ჩააბარა ქალს ზემოხსენებულ ვალში. ჩვენ კი 8 სული გადაგვყარა ქუჩაში. განმეორებით გთხოვთ გაგვეცით პასუხი სამართლიანია თუ არა ხონის სასამართლოს აღმასრულებლის ასეთი მოქმედება და თუ არა, მიგვითითეთ ვის მივმართოთ.

გთხოვთ გაგვიმარტოთ აგრეთვე: როგორი საჯარო ვაჭრობა ითვლება კანონიერად, რომელმა მხარემ უნდა გადაიხადოს სახაზინო ბაჟები და რამდენი ხნის ვადაში დღიდან საჯარო ვაჭრობისა.

პასუხი:

თქვენი ქონება თქვენი ძმის ვალში ვერ გაიყიდება, თუნდაც თქვენი ძმა გარდაცვალებული იყოს, რადგან თქვენ-თქვენი ძმის მემკვიდრე არა ხართ. მიწის გაყიდვა, როგორც ასეთის არ შეიძლება არც შეთანხმებით და არც საჯარო ვაჭრობით. გაყიდვა შეიძლება მხოლოდ იმ ქონების, რაც შეტანილია აწერილობაში. სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს კერძო საჩივრის საშუალებით სახალხო სასამართლოში, ხოლო თუ ვადა გასულია შეიძლება შეტანილ იქნეს განცხადება რესპუბლიკის პროკურორის სახელზე ზედამხედველობის წესით. თქვენი მეორე კითხვა ძლიერ ზოგადია და იმაზე პასუხის მიცემა საძნელოა, რადგან იმ საკითხზე თუ როგორი ვაჭრობა ითვლება კანონიერად შეიძლება დაიწეროს მთელი წიგნი. ამასთანავე გაუგებარია, თუ რა სახაზინო ბაჟებზეა შეკითხვაში ლაპარაკი.

პარტიული კალენდარი

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი, 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, მიმღებ კომისიის სხდომაზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს: გერვასი იაკობაშვილი, სტეფანე რომანოვა, ივანე მურუნოვი, ელენე ჭავჭანიძე-შამათავა, გრიგოლ გოზავა, გიორგი სოლომონია, გრამიტონ ლევიძე, ბიკტორ ჯორბენაძე; ბარბალე ჩილინგაროვა; სარქის გასპაროვი, ლუარსაბ გუგუშავა, ალექსანდრე მამალაძე, დომენტი ფხალაძე, გიორგი ბაქრაძე; ალექსანდრე საჩანელი, სიმონ კურტანიძე, ქეთო ნუცუბიძე, მიხეილ კალანტაროვი, რუბენ ათაბეგოვი, ალექსანდრე მარტინოვსკი, აშოტ მარტიროსიანი, სერგო ბაგრატიონი, ბარბალე ქილიფთარი, ალექსანდრე დოჩიძე, დავით ნარეკლიშვილი, ალექსანდრე სოლხანოვი, ესტატე შაუტაშვილი, მარიამ ლოზოვა, პალადი ბაქრაძე, ალექსანდრე დონდუა, ივანე ნოვოკრეშჩენკოვი, საჩე ჯაფაროვი.

ქ. გალის 9 წლედის მასწავლებლობა, [illegible] ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე, დაუღალავი მუშაკის, გალის 9 წლედის მასწავლებლის ამხანაგ

იოსებ მიზდოს-ძე ლაგვილავას

უდროოდ გარდაცვალებით, თანაგრძნობას უცხადებს მიცვალებულის მშობლებსა და ნათესავებს. დაკრძალვა 22 ნოემბერს. 6 1867

სახკინმრეწვის კინოები
განთიადი — ბოევიკი ჩემი შვილი ანა სტენის მონაწ.
არფასტო, სოლეი, აპოლო — პრემიერა მსოფლიო ფილმი თეთრი არწივი მეიერხოლდის, კაჩალოვის და ანა სტენის მონაწ.
პალასი — უცხოეთის მხატვრული სურათი საყვარელი მაწანწალა კოლინის, დიუკლოს მონაწილეობით
მინიონი — განსაკუთრებული წარმატება, დადგმის მეორე კვირა მისი კაპრიზი ოსი ოსვალდის მონ.
დარბაზი — მხატვრული სურათი კაფე ფანკონი
პროლეტარი ავლაბარი — ჩეხოვის საუკეთესო კომედია იანკი კონსული
პირველი სეანსის დასაწყისი 6 საათზე 30 წუთზე. სალარო ღიაა 5 ს. 30 წუთიდან 0—12

სახელმწ. აკადემიური ოპერა
(1928—29 წლის სეზონი)
დღეს, 21 ნოემბერს მე-3 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა ქ. გ. დერჟინსკაიას მონაწილეობით აიდა
22 ნოემბერს მე 5 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა ვ. რ. სლივინსკის მონაწილეობით ევგენი ონეგინი
დაწვრილებით აფიშებში. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ყველა საბონემენტო წარმოდგენებზე ბილეთების ნაწილი რჩება სალაროში ჩვეულებრივი წესით გასასყიდათ.
მზადდება დასადგმელად გედის ტბა ბალეტი. მუსიკა ჩაიკოვსკის
2—1 6. 1864

ცირკი კოლოსი
ტელეფ. № 8-64
დღეს, ახალი გასტროლები
ფართო პროგრამა 3 განყოფილებათ
ჟონგლიორი ქალები 4 კრონეცი
ცხოველების მწვრთნელი კნოკი
მუსიკალური სატირიკოსი ნიკოლოზ ტამარინი
და კიდევ 10 ატრაქციონი
დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.
სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.
წაიკითხეთ აფიშები!!
3—2
დირ. ი. ზ. კუდრიავცევი, რწმუნებული ქ. მ. ბროდზიცკი
6. 1857 3—2. მმართველი მ. ი. ტადე.

ჩამოვიდა და დღეიდან ღიაა ყოველდღე
დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე
„ჟოკეი კლუბის“ (ყ. არტოს) ბაღში
საბჭოთა კავშირში უდიდესი
მოძრავი სამეცნიერო-საჩვენებელი
სამხეცე „ცხოველთა სამეფო“ ნატურალისტ ზოოლოგის ვ. ი. ბოიკოს ხელმძღვ-ბით
დიდძალი ყოველგვარი ზღვისა და ხმელეთის მხეცები, ფრინველები, მაიმუნები, ქვემძრომნი.
მხეცების კვება საღამოს 9 საათზე. 0—3 6. 1839

საქ. სახვაჭრობა
ფიჭვის და ნაძვის დახერხილ მასალაზე
კოჭებზე, ფიცრებზე და რეიკებზე
იღებს სასწრაფო შეკვეთებს
რასაც აცნობებს:
სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და ყველა მომხმარებლებს
მიიღება შეკვეთები:
მაგარ და ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის მასალაზე
რუსეთში გასაგზავნათ
შეკვეთები: თბილისი კეცხოველის ქუჩ. № 5.
2—1 6. 1849. სახვაჭრობა

იყიდება სახლი ქალ. ოზურგეთში, ალმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.
0—7 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

27 ნოემბერს 12 საათზე № ქართულ საარტილერიო ლეგიონის შტაბში (საბურთალო)
მოხდება გაყიდვა 10 დაწუნებულ ცხენისა
1-ლ რიგში შეიძლება გადაცვლა კარგ ცხენებზე, მე-2-რე რიგში დაითმობათ შეფასებულ ფასში წ/არმიელების ოჯახებს, ღარიბ გლეხებს, კომუნებს და სხვა და მე-3 რიგში თუ დარჩა ცხენები—გაიყიდება საჯარო ვაჭრობით 4944

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. 6. 1865

ფ. მახარაძე
თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა
მოსამზადებელი ხანა (1870—1890)
ფასი 25 კაპ.
იყიდება გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34).
0—3. მთავარი კანტორა.

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, დილის 11 საათზე სასახლის ქ. № 3
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ, გაიყიდება ხალიჩები, ბუფეტები, ფარდაგები. კამოდები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. 6. 1866

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი გ. ტლაშაძე
აცხადებს, რომ ის 1928 წ. 2 დეკემბერს დღის 1 საათზე ადგილობრივ სოფ. საქაშეთში საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. სვიმონ გიორგისძე ტიტვინიძის მოძრავ ქონებას: 23 ძირ ფუტკარს დადან-ბლატის სკებით შეფასებულს 460 მან., 40 ფუთ ვაშლს - 40 მან., ქსნის კრამიტს—1500 ცალი - 225 მან., 120 ცალ ხილის ყუთს—30 მან. და ფიშტახტებს—150 მან. სულ შეფასებულ 905 მან. დიმიტრი ჩიჟავაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. უკეთუ ამ დღეს საჯარო ვაჭრობა არ შედგა - გადადებული იქნება 9 დეკემბრისათვის 1928 წ. 4949

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

კბილის ექიმი დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 6. 6 25—1

ექიმი ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. გარდა კვირისა. სანაპირო ქ. № 7 (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 6. 7 25—1

ექიმი ი. ვ. ხანდამოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა. ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესანგრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად 25—1 6. 5

ექიმი ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12 ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 3 25—15

ექიმი ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის) მიღება: დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ. 4598 25—1

ექიმი პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 6. 1. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 2. 25—2

ექიმი—ვენეროლოგი ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული. 4903 25—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 -12 - საღ. 7 1/2—8 1/2 საათ ტელეფ.—12—67. 6. 3 25—2

ლოგოპედი ა. ა. პაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 13.2 13—1 6. 1809

ა. გ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

თვალის ექიმი მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 6. 4 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან. ვენერიული და კანის სნეულებანი იღებს: დილა-საღამოს. 6. 8 25—1

ექიმი ს. ანდრეევისა
დაბრუნდა ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ელსმენი—11—78. 6. 25—

დაიკარგა: დამზღვევ სალაროს წიგნაკი, სიღარიბის მოწმობა და პირადობის მოწმობა პეტრე გიორგისძე ათათიას სახელზე, ჩ. გ. 4938
დაიკარგა: საწევრო წიგნაკი № 10/67 გაცემული ამხ-ბა „მწყემსი“-ს მიერ სარდიონ ხედელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4940
დაიკარგა: საწევრო წიგნაკი № 1/67 გაცემული ამხ-ბა „მწყემსი“-ს მიერ პავლე გეჯას-ძე ბეწუკლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4939
დაიკარგა: მეტრიკული მოწმობა ვახტანგ ყარამანის-ძე გორგაძის სახელზე, ჩ. გ. 4937
დაიკარგა პირადობის მოწმობა და სააღრიცხვო ბარათი ირაკლი ბენდელიანის სახელზე, ჩ. გ. 4942
დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 12123 და კავშირის წიგნაკი № 3318 ზაქარია ნიკოლოზის-ძე კახელაძის სახელზე, ჩ. გ. 4941
დაიკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 42531 სარდიონ ბახტაძის სახელზე, ჩ. გ. 4948
დაიკარგა: მეტრიკული მოწმობა ივანე გერმანეს-ძე დისაშიძის სახელზე, ჩ. გ. 4948
დაიკარგა: საანგარიშო (დასაზღვევი) წიგნაკი, გაცემული „გრუზგოსტორგის“ მიერ გრიგოლ სამსონის-ძე მაზათაძის სახელზე, ჩ. გ 4945
დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 18792 გაცემული პროფ. ივანე თიკანაძის სახელზე, ჩ. გ. 4943
დაიკარგა: დროებითი სამხედრო მოწმობა, გაცემული ქალ. ონის კომისარიატიდან—სერგო კიმოთეს-ძე მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 4936
დაიკარგა: მე-ქვე ლეგიონის მიერ გაცემული შეშის ორდერი № 37 ნიკოლოზ გულივერდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4950
დაიკარგა: პარტბილეთი № 086216 ისაკ ლამბაროვის სახელზე, ჩ. გ. 4951

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.